გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

№41 (797) 12 - 14 აპრილი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

20 გვერდი 40 თეთრი

ბიძინა ივანიშვილი

„ყველა მინისტრი ვალდებულია, პრესაში გამოქვეყნებულ ფაქტებზე რეაგირება მოახდინოს!“

„ეს პარლამენტი ქართველი ხალხის ნების გამომხატველი არ არის“

რატომ არ აქვს სამართლიანობის განცდა, რას მოითხოვს „ოცნებისგან“ და რა კითხვები უჩნდება ივანიშვილის მთავრობის მისამართით გია ბურჯანაძეს

ჰოლანდიელი ექსპერტების სკანდალური დასკვნა

შეჩერდება თუ არა ხუდონჰესის მშენებლობა, რა საფრთხე ემუქრება სვანეთს და რატომ ეწინააღმდეგება ექსპერტებს კახი კაღაძე

„60 წელი შევწირე ამ თეატრს და მიუხედავად ასაკისა, გაჩერებას არ ვაპირებ!“

14 აპრილს, მოზარდ მაყურებელთა თეატრის წინ, რეზო თავართქილაძეს ვარსკვლავს გაუხსნიან

თიბისი ბანკი TBC BANK

ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

იპოთეკური სესხი ლარში ყველაზე დაბალ პროცენტში: 10.75%-დან!

PayPal-ი თიბისი ბანკის ბარათების მფლობელებისათვის უკვე გააქტიურებულია!

ჩა ხდება?!

მაძღენი ყმნეოა და მაძღენი თანდეჭყლი,
ჭეშოვეშჩა სულ მალაც ცხმა ყაცი...
დალალეს ცხოვრეჭა და ძხაშზე ვადეჭყლი
საძჭოხლო, ძიაქვთ საყაცით.

ექსკლუზიურად „ვერსიაში“

თემურ ჭკუასელის ლექსები

გვ. 11

სპეციალური რეპორტაჟი ტრაბზონიდან

თვალებდათხრილი ღვთისმშობელი, სახეწაშლილი წმინდანები, წარწერებით აჭრელებული ფრესკები, დამახინჯებული ჯვრები და ღოცვისთვის დაწესებული გადასახადი მართლმადიდებლურ ტაძრებში

ლევან ხვედელიძე, სპეციალურად „ვერსიისთვის“ ავსტრიიდან რეპორტაჟი გვ.9

შს მინისტრი ატლანტიკური საბჭოს აღმასრულებელ ვიცე-პრეზიდენტს შეხვდა

11 აპრილს, შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ატლანტიკური საბჭოს აღმასრულებელ ვიცე-პრეზიდენტს, დეიმონ ვილსონს შეხვდა. ატლანტიკური საბჭო ხელს უწყობს ტრანსატლანტიკურ თანამშრომლობასა და საერთაშორისო უსაფრთხოებას, იკვლევს ტრანსატლანტიკური და გლობალური უსაფრთხოების საკითხებს, ნატო-ს ტრანსფორმაციასა და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის საკითხებს. შეხვედრაზე შინაგან საქმეთა სამინისტროში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებები განიხილეს. მინისტრმა ატლანტიკური საბჭოს აღმასრულებელ ვიცე-პრეზიდენტს სამინისტროს განვითარების 2013 წლის სტრატეგია და უწყებაში მიმდინარე რეფორმები გააცნო. ამასთანავე, ისაუბრეს ევროატლანტიკურ ინტეგრაციასა და სამომავლო თანამშრომლობაზე.

ნინო ბურჯანაძე ხელისუფლებას „პოლიტიკური პარტიების შესახებ“ კანონში ცვლილებებს სთხოვს

„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი, ნინო ბურჯანაძე ხელისუფლებას „პოლიტიკური პარტიების შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანას სთხოვს. მისი თქმით, მაშინ, როცა ხელისუფლება მესამე პოლიტიკური ძალების გაძლიერებაზე საუბრობს, ამისთვის მან კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადადგას. ბურჯანაძემ ხაზი იმასაც გაუსვა, რომ „დემოკრატიული მოძრაობა“ ყოველთვის ძლიერი პარტია იყო. **„რატომ არის ნაციონალური მოძრაობა მეორე პოლიტიკური ძალა. პოლიტიკური ძალის რიგითობა უნდა განსაზღვროს საზოგადოებამ და მოსახლეობამ, მხოლოდ მათ შეუძლიათ, რომელიმე პარტიას მიანიჭონ პირველი ან მეთხუთმეტე ნომერი“,** — აცხადებს ბურჯანაძე და დასძენს, რომ ქვეყანაში ყველაზე მძიმე პოლიტიკური მდგომარეობის დროსაც, მის პარტიაში 30 000-ზე მეტი ადამიანი იყო რეგისტრირებული, აქედან დაპატიმრებულია 45.

„ინტერპრესნიუსი“

მანანა კობახიძე: „ლავროვის შეფასებები სააკაშვილის ქმედებებზე მეორეხარისხოვანია“

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი ლავროვმა RTVI-სთან ექსკლუზიურ ინტერვიუში განაცხადა, რომ 2008 წლის აგვისტოს ავანტიურა რომ არა, რუსეთი საქართველოსთან მეგობრობის კუთხით მნიშვნელოვან ნაბიჯებს გადადგამდა. მისი თქმით, რუსეთს ყოველთვის სურდა მეზობელ ქართველებთან მეგობრობა, თანამშრომლობა და პრობლემების გადაჭრაში დახმარება, თუმცა ურთიერთობას მუდმივად ძაბავდა მიხეილ სააკაშვილი: **„ვფიქრობ, მან შეიტანა დამანგრეველი წვლილი ბევრი ქართველი ახალგაზრდის სულსა და გონებაში. იგი მუდმივად ატარებდა ყოველდღიური ცხოვრებიდან რუსული ენის, რუსული კულტურისა და ისტორიულ კავშირებთან დაკავშირებული მეხსიერების წაშლის კურსს, რომელიც ჩვენს ქვეყნებს აკავშირებდა. ამისთვის ერთი მაგალითიც კმარა. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებული კონფლიქტების ისტორიას დაწვრილებით არ მოვყვები, მაგრამ ის, რომ ოსებმა პირველი საელჩო სანკტ-პეტერბურგში გახსნეს, ხოლო აფხაზები რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ჯერ კიდევ გეორგიევსკის ტრაქტატამდე შევიდნენ, ფაქტია. ყველამ ვიცით, როგორ დაიპყრეს ისინი საბჭოთა პერიოდში, როდესაც აფხაზეთი და საქართველო გახდნენ თანასწორუფლებიანი მოკავშირე რესპუბლიკები, ხოლო შემდეგ, სტალინმა აფხაზეთი საქართველოს გადასცა. თავად გეორგიევსკის ტრაქტატი კი გახდა ქართველების მიმართვის შედეგი, რომლებიც რუსეთის მფარველობას ითხოვდნენ. მიხეილ სააკაშვილმა თავის ერთ-ერთ ემოციურ გამოსვლაში ამ მოვლენას ჩვენი ურთიერთობის ისტორიაში რუსეთის მიერ საქართველოს პირველი ოკუპაცია უწოდა“.**

პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე ლავროვის მიერ გაკეთებულ განცხადებას გამოეხმაურა. მისი შეფასებით, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს უფლება აქვს, საკუთარი პოზიცია, საკუთარი აზრი დააფიქსიროს როგორც სააკაშვილზე, ასევე საქართველოს ახალ ხელისუფლებაზე. მისივე თქმით, დღევანდელი მთავრობა ორიენტირებულია არა ლავროვის განცხადებებსა და შეფასებებზე, არამედ საქართველოს ინტერესებზე: **„სააკაშვილის ქმედებებს როგორ აფასებს ლავროვი, მეორეხარისხოვანია მთავარია, ჩვენი საზოგადოება როგორ შეაფასებს საკუთარი პრეზიდენტის მოქმედებებს. არ ვიცი, ლავროვი აღიარებაში რას გულისხმობს, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა თქვა, რომ 2008 წლის ომის თაობაზე კითხვები არსებობს: რამდენად ადეკვატური იყო ხელისუფლების მოქმედებები, როგორც აგვისტოში, ისე წინა პერიოდში. შესაბამისად, ეს იმის აღიარებას არ ნიშნავს, რომ რუსეთი მართალია. რუსეთის აგრესია და საქართველოს ტერიტორიის ოკუპაცია უაპელაციოა და აღნიშნულ საკითხზე არავინ დავობს. უბრალოდ, საკუთარი ხელისუფლების მიმართ საზოგადოებასა და მოქმედ ხელისუფლებას შეიძლება კითხვები გააჩნდეს, ხოლო ლავროვი რა ინტერპრეტაციას მისცემს ამას, მეორეხარისხოვანია“.**

„ინტერპრესნიუსი“

პატიმრის წამებისა და გაუპატიურების ბრალდებით, სასჯელაღსრულების დაწესებულების ყოფილი თანამშრომლები დააკავეს

ბრალდება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 15 დაწესებულების ყოფილ თანამშრომლებს წაუყენეს, რომელთაც, მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, ბრალად ედებათ მსჯავრდებულისთვის არაადამიანური მოპყრობა და წამება. პატიმრის წამების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურაში აღიძრა. გამოძიებით დადგინდა, რომ დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების უფროსმა ლევან ლეჟავამ, ამავე დაწესებულების დირექტორმა შოთა თოლორდავამ, უსაფრთხოების განყოფილების უფროსმა გიორგი ფარჯანაძემ და პატიმრობის განყოფილების უფროსმა დიმიტრი ჩხეიძემ 2012 წლის 24 თებერვალს, დაახლოებით 22:00 საათზე, მსჯავრდებულ პ.ო-ს, ამავე დაწესებულების ადმინისტრაციული შენობის სავარჯიშოდ განკუთვნილ ოთახში შეუკრეს ხელ-ფეხი და სასტიკად სცემეს: **„სცემეს, მათ შორის რეზინის ხელკეტით. პატიმრის მიმართ არაერთხელ გამოიყენეს ელექტროშოკი, რის შემდეგაც წყლით სავსე ჭურჭელში რამდენჯერმე ჩააყოფინეს თავი და რეზინის ხელჯოხით გააუპატიურეს“,** — აღნიშნულია პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

უწყების ცნობით, სასამართლო განჩინების საფუძველზე, დაკავებულნი არიან ლევან ლეჟავა და გიორგი ფარჯანაძე. დიმიტრი ჩხეიძისა და შოთა თოლორდავას ადგილსამყოფელის დადგენის მიზნით კი, შესაბამისი ღონისძიებები ტარდება.

გოგიტა აბაშიძის გარდაცვალების ფაქტზე პასუხისმგებლობა სოფლის ექიმს დაეკისრა

ერთი წლის გოგიტა აბაშიძის გარდაცვალების ფაქტზე პასუხისმგებლობა დაეკისრა სოფლის ექიმს, რომელსაც 4 თვით ლიცენზია შეუჩერდა. საქართველოს ჯანდაცვის მინისტრმა, დავით სერგეენკომ, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მახოში, ერთი წლის გოგიტა აბაშიძის გარდაცვალების ფაქტი ჯანდაცვის სისტემაში არსებულ პრობლემას დაუკავშირა. ჯანდაცვის მინისტრის განცხადებით, გოგიტა აბაშიძე დაუბალანსებელი კვების შედეგად გარდაიცვალა.

დავით სერგეენკომ სოციალურ მუშაკებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ სოციალური მუშაკები კანონის ფარგლებში მოქმედებდნენ, თუმცა გოგიტა აბაშიძის ფაქტთან დაკავშირებით გარდაცვალებამდე განგაში არ აუტეხავთ.

ჯანდაცვის მინისტრის აზრით, ქაღალდზე კარგადაა დაწერილი სოფლის ექიმის პროექტი, თუმცა რაც დაწერილია იმის ნახევარი რომ სრულდებოდეს, პროექტი წარმატებული იქნებოდა.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, გოგიტა აბაშიძის გარდაცვალების ფაქტი პირველი არ არის და მსგავსი შემთხვევა 2012 წლის დეკემბერში საგარეჯოს რაიონშიც დაფიქსირდა.

„ინტერპრესნიუსი“

შსს-ს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა აქციაში „გაიღე სისხლი — გადაარჩინე სიცოცხლე“ მიიღეს მონაწილეობა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლები ჩაერთნენ საქველმოქმედო აქციაში „გაიღე სისხლი – გადაარჩინე სიცოცხლე“.

11 აპრილს იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოსთან არსებულ „სისხლის ბანკში“ შსს-ს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ, ლევან მაჭავარიანმა სისხლი ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის ჩააბარეს.

აქციის მიზანია, შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაწილეობით, ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის საჭირო სისხლისა და სისხლის კომპონენტების დეფიციტი შემცირდეს. აქცია პერმანენტულ ხასიათის მიიღებს და საპატრულო პოლიციის სხვადასხვა დანაყოფის თანამშრომლები, მთელი წლის განმავლობაში, ყოველ კვირას ჩააბარებენ სისხლს.

11 აპრილსვე, აქციის პარალელურად, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა „მშობელთა სახლში“ ლეიკემიით დაავადებული ბავშვები მოინახულეს და მათ საჩუქრები გადასცეს.

ჰოლანდიელი ექსპერტების სკანდალური დასკვნა — შეჩერდება თუ არა ხუდონჰესის მშენებლობა

მაია მიშელაძე
593-51-90-12

რა დასკვნა მოამზადეს ჰოლანდიელმა ექსპერტებმა, რატომ ეწინააღმდეგება კახი კალაძე მათ და რატომ არ აქვს მყარი პოზიცია ხათუნა გოგალაძეს?

საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს ინიციატივით, ჰოლანდიელმა ექსპერტებმა ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პროექტის გარემოზე ზემოქმედების ასპექტები შეისწავლეს. პრეზენტაცია „ქორთიარდ მარიოტში“ გაიმართა, რომელსაც გარემოს დაცვის მინისტრი ხათუნა გოგალაძე, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი კახა კალაძე, დეპუტატები, ხუდონჰესის პროექტის განმახორციელებელი კომპანია „ტრანსელექტრიკა ჯორჯიას“ წარმომადგენლები, ადგილობრივი სპეციალისტები და ენერგეტიკოსები ესწრებოდნენ. შეხვედრაზე გამოიკვეთა, რომ ჰოლანდიელ ექსპერტებს სრული ინფორმაცია არ აქვთ, გარემოს დაცვის სამინისტროს ხუდონჰესთან დაკავშირებით მყარი პოზიცია არ გააჩნია და ენერგეტიკის სამინისტროსთან კოორდინირებულად ვერ ან არ მუშაობს. ყველას ერთად კი, სვანეთის მკვიდრ მოსახლეობასთან კომუნიკაცია აკლია. მეტიც, 30 წელია, საქართველოს მოსახლეობას ერთი, კონკრეტული კითხვა აწუხებს — საერთოდ, სჭირდება თუ არა ქვეყანას ხუდონჰესის პროექტი, რა ეკონომიკური ეფექტი გააჩნია მას და ყველაზე მთავარი — ელოდება თუ არა სვანეთს ეკოლოგიური კატასტროფა! „ვერსია“ ამ კითხვებზე კომპეტენტურ პასუხებს გთავაზობთ, თუმცა მანამდე, იმ პრესკონფერენციის შესახებ, რომელსაც აზრთა სხვადასხვაობა და ვნებათაღელვა მოჰყვა.

ურთიერთგამომრიცხავი შეფასებები ხუდონჰესზე

ხუდონჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით, საზოგადოების მაღალი ინტერესის გამო, გარემოს დაცვის სამინისტრომ ნიდერლანდების მთავრობას, საექსპერტო მომსახურების უზრუნველყოფის თხოვნით მიმართა. შესაბამისად, ნიდერლანდების გარემოზე ზემოქმედების კომისიამ NCEA საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფი საქართველოში გამოგზავნა. ექსპერტები სამი დღის განმავლობაში იმყოფებოდნენ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, სადაც ხუდონჰესის მშენებლობის ადგილი მოინახულეს და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდნენ. სრული დასკვნა ერთ თვეში მომზადდება, მანამდე კი, ექსპერტებმა წინასწარი შეფასებები გაგვაცნეს.

ჰოლანდიელი ექსპერტების შეფასებით, პროექტი, რომელიც ინვესტორებმა წარადგინეს, დასასაბუთებელია, რადგან არგუმენტირებული არ არის, რატომ უნდა ააშენოს ქვეყანამ ხუდონჰესი. პროექტში განხილული არ არის, რამდენად დაკავშირებულია ხუდონისა და ენგურის კაშხლები და ამ ორი ჰესის რეზერვუარი ერთმანეთთან. რაც მთავარია, ჰოლანდიელი ექსპერტები შეხვდნენ ხაიშისა და მესტიის მოსახლეობას, რომლებიც ინფორმირებულები არ არიან, შესაბამისად, არც მთავრობას ენდობიან, არც ინვესტორებს. გარდა ამისა, ხუდონჰესის მშენებლობის შემთხვევაში, მოსახლეობის განსახლების გეგმა არ შეესაბამება საერთაშორისო პრაქტიკას, ამიტომ ჰოლანდიის ექსპერტთა ჯგუფი გარემოს დაცვის მინისტრს, ხათუნა გოგალაძეს ურჩევს, მინიმუმ, ერთი წელი გადაწყვეტილება არ მიიღოს!

საქართველოს ენერგეტიკოსთა ასოციაციის თავმჯდომარე მირონ ფირცხელანი, „ვერსიასთან“ საუბრისას, ხუდონჰესის პროექტს უარყოფითად აფასებს. ენერგეტიკის ექსპერტი მიიჩნევს, რომ ამ პროექტში მხოლოდ ინვესტორის ინტერესებია გათვალისწინებული, რომელმაც ხუდონზე გამომუშავებული ელექტროენერგია, საქართველოს ხელისუფლებას 18 თეთრად უნდა მიყიდოს.

მირონ ფირცხელანის პოზიციას კატეგორიულად არ იზიარებს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი **კახა კალაძე**, რომელმაც „ვერსიას“ განუცხადა, რომ ეს სრული სისულელეა. მინისტრის თქმით, უკვე გადაწყვეტილია, რომ სახელმწიფო, ხუდონჰესზე გამომუშავებულ ელექტროენერგიას 5,81 ცენტად შეისყიდის, არადა, დღევანდელი ფასებით, ზამთრის პერიოდში, ელექტროენერგიაში 6 ცენტს ვიხდით. რაც შეეხება ჰოლანდიელი ექსპერტების შეფასებას, კალაძემ აღნიშნა, რომ მათ სრული ინფორმაცია არ აქვთ: **„ჩვენი სამინისტრო მზადაა თანამშრომლობისთვის, რათა საბოლოოდ, დადებითი და სრულყოფილი დასკვნა მივიღოთ, სადაც ხუდონჰესის ტექნიკურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური შედეგები დეტალურად გაიწერება. ჩვენი მთავარი მიზანია, ქვეყანა ენერგოდამოუკიდებელი გახდეს და ამის რესურსი გაგვაჩნია. ყველაფერს გავაკეთებთ, უახლოეს მომავალში საქართველო არა მარტო ენერგოდამოუკიდებელი, არამედ ექსპორტიორიც იყოს. ვერ დავეთანხმები ექსპერტებს, რომ ეს პროექტი ერთი წლით გაჩერდეს, რადგან გიმეორებთ, მათ სრული ინფორმაცია არ აქვთ! მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი მოსახლეობის მოსაზრებებიც გავითვალისწინოთ, რადგან ხელისუფლების ამოცანაა, სოციალური პრობლემები დადებითად გადაწყდეს“.**

საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარემ **გია ცაგარეიშვილმა** „ვერსიას“ განუცხადა, რომ ენერგეტიკოსების, ექსპერტებისა და გარემოს დამცველების ვნებათაღელვა ბუნებრივი პროცესია, რადგან ჭეშმარიტება კამათში იბადება: **„დაუშვებელია გარემოს დაცვის სამინისტროზე ზეწოლა, რადგან ამას უარყოფითი შედეგი მოჰყვება. უნდა ვიმუშაოთ როგორც მოწვეულ, ასევე ადგილობრივ სპეციალისტებთან. მინდა, თქვენმა მკითხველმა კარგად გაიგოს, რომ არც გარემოს დაცვის სამინისტრო და არც კომიტეტი მშენებლობების წინააღმდეგი არ არის. ისეთ მშენებლობებს ვეწინააღმდეგებით, რომლებსაც საცხოვრებელ გარემოზე უარყოფითი ზეგავლენა აქვთ, ეწინააღმდეგება გარემოს დაცვას და ბიომრავალფეროვნებას მოსპობით ემუქრება. ყველა რისკი მინიმუმამდე უნდა დავიყვანოთ და ამის შემდეგ უნდა ავაშენოთ ნებისმიერი ჰესი, თან არა ჩვენი ბიომრავალფეროვნების განადგურებისა და ადგილობრივი მოსახლეობის გადასახალების ხარჯზე“.**

„ვერსია“ გარემოს დაცვის მინისტრ **ხათუნა გოგალაძესაც** ესაუბრა:

— ქალბატონო ხათუნა, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ გარემოს დაცვის სამინისტროს ხუდონჰესთან დაკავშირებით მყარი პოზიცია არ აქვს. არავინ იცის, გვჭირდება ეს პროექტი თუ არა. ჰოლანდიელმა ექსპერტებმაც აღნიშნეს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ინფორმირებული არაა, რის გამოც უნდობლობას უცხადებს მთავრობასაც და ინვესტორსაც. რას აკეთებთ ადგილობრივებთან კომუნიკაციისთვის?

— გეთანხმებით, ადგილობრივებთან მჭიდრო კომუნიკაცია აუცილებელია, ამის გარეშე, სრულიად უწყინარი საკითხებიც კი საშიშ ფორმას იღებს. ხშირად, არაინფორმირებულობის გამო, ჰგონიათ, საოცრება ხდება, მით უმეტეს, როდესაც ასეთ მსხვილ პროექტზეა საუბარი. რაც შეეხება სამინისტროს მყარ პოზიციას, ვერ დაგეთანხმებით, მხოლოდ იმას გეტყვით, რომ თუ სწორი და ზუსტი ინფორმაცია არ გვექნება, პოზიციის ჩამოყალიბება შეუძლებელია. ჰოლანდიელი ექსპერტები იმიტომ ჩამოვიყვანეთ, არსებული ინფორმაცია დამოუკიდებელი ექსპერტიზითა და მათ მიერ მოკვლეული შედეგებით შეგვევსო. როდესაც ინფორმაცია არ არსებობს, შეუძლებელია, ვინმეს ხისტი პოზიცია ჰქონდეს.

— უკაცრავად, მაგრამ „ტრანსელექტრიკ ჯორჯიას“ ანგარიში წაკითხული გაქვთ?

— ეს არის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) პროექტი, რომელიც საკმაოდ მოცულობითი დოკუმენტია. რეზიუმე წაკითხული მაქვს, მაგრამ რომ გითხრათ, ყველა ტექნიკური დეტალი ვიცი და აბზაცების მიხედვით მაქვს განხილული-თქო, მოგატყუებთ. ასე რომ ყოფილიყო, მაშინ საერთაშორისო ექსპერტების მოწვევა აღარ დაგვჭირდებოდა.

ხუდონჰესი სვანეთის კლიმატს არ შეცვლის!

რა ანგარიში მოამზადა ხუდონჰესის პროექტის განმახორციელებელმა კომპანია „ტრანსელექტრიკ ჯორჯიამ“? ემუქრება თუ არა სვანეთს ეკოლოგიური კატასტროფა? რატომ არ ფლობენ ჰოლანდიელი ექსპერტები სრულყოფილ ინფორმაციას ხუდონჰესის პროექტზე და რატომაა ხუდონი საქართველოს ენერგოუსაფრთხოებისა და ენერგოდამოუკიდებლობისთვის აუცილებელი? „ვერსიის“ კითხვებს, პროფესორი **დავით მირცხულავა** პასუხობს.

— ბატონო დავით, გარემოს დაცვის სამინისტროს პოზიცია არ აქვს, სამწუხაროდ, ენერგეტიკის სამინისტროსთან კოორდინაციაც ვერ შევნიშნე, რადგან კახა კალაძეს სრულიად განსხვავებული პოზიცია აქვს, სვანეთის მკვიდრებს ინფორმაცია არ აქვთ. საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენელი კი, რბილად რომ ვთქვათ, არც „მწვადს წვავს და არც შამფურს“. თქვენ მაინც ამიხსენით, ბოლოს და ბოლოს, გვინდა ხუდონჰესის აშენება თუ არა?

— პირველ რიგში, ვთქვათ, საქართველოს სჭირდება თუ არა ეს პროექტი. დარწმუნებული ვარ, გარემოს დაცვის სამინისტრო დაინტერესებულია, კვალიფიციური შეფასება ჰქონდეს, რასაც ჰოლანდიელი ექსპერტების ამ პროცესში ჩართვაც ადასტურებს. ერთადერთი შენიშვნა მაქვს — ექსპერტები თვენახევრის მანძილზე ნამდვილად ვერ მოახერხებდნენ უკვე ჩატარებული სამუშაოების გაცნობას და ამიტომ არ გააჩნიათ მათ სრული ინფორმაცია. 2009-2010 წლებში, მსოფლიო ბანკის დაკვეთით, გარკვეული სამუშაოები ჩატარდა, რაც ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემაც აღნიშნა. გარდა ამისა, 10-მდე უცხოურ კომპანიას აქვს ამ ტიპის სამუშაო განხორციელებული, შესაბამისი ანგარიშებიც არსებობს, რომლებიც ჰოლანდიელ ექსპერტებს არ უნახავთ. რაც შეეხება კახა კალაძეს, ის ინფორმირებულია და საწინააღმდეგო პოზიციაც სრულიად ბუნებრივად აქვს. გარემოს დაცვისა და ენერგეტიკის სამინისტროებიც, ქართული საზოგადოებაცა და ჩვენც, რიგითი მოქალაქეები, დაინტერესებულები ვართ, ნებისმიერი დასკვნა, რაც ხუდონჰესის პროექტს ეხება, სრულყოფილი იყოს. რაც შეეხება ადგილობრივ მოსახლეობასთან კომუნიკაციას, ეს აუცილებელია. გვჭირდება თუ არა ეს პროექტი, ექსპერტები ვერ გვეტყვიან, რადგან ეს მათი საქმე არ არის, მათი ფუნქცია მხოლოდ რეკომენდაციების გაცემაა.

— სჭირდება თუ არა საქართველოს ელექტროენერგია, რომელიც ხუდონჰესზე უნდა გამომუშავდეს?

— რა თქმა უნდა, სჭირდება, რადგან ისედაც დეფიციტური ქვეყანა ვართ და ზამთარში ელექტროენერგიას ვყიდულობთ. თუ დღევანდელ ენერგეტიკულ ბალანსს გადავხედავთ, ჩვენ გვაქვს გაზზე მომუშავე სადგურები, გვაქვს ჰიდროენერგეტიკა, მაგრამ თუ ჯამურ ენერგეტიკულ ბალანსს გადავხედავთ, შეშის წვას იგივე მოცულობა უჭირავს, რაც ჰიდროენერგეტიკის წილია, ეს კი ჩვენი ბუნების სრული განადგურებაა.

დასასრული მე-5 გვერდზე

ვერსიანიუსი

Transparency International Georgia

საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო

მთავრობა ჩამორთმეული ქონების დაბრუნების პროცესს აჭიანურებს

არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ განცხადებით, მთავრობა ჩამორთმეული ქონების მესაკუთრეებისთვის დაბრუნების პროცესს აჭიანურებს. ორგანიზაციის იურისტის, გია გვილავას განმარტებით, მთავრობის ცვლილების შემდეგ, საკუთრების ხელყოფის ფაქტები ძველი სიმწვავით აღარ არის, თუმცა პრობლემა კვლავ არსებობს, რაც ძირითადად, მიწების გართულებულ რეგისტრაციას უკავშირდება.

ამასთან, გია გვილავა განმარტავს, რომ წინა მთავრობის პირობებში ჩამორთმეული ქონება, რომელიც სახელმწიფოს ბალანსზეა, მის მფლობელებს ამ დრომდე არ უბრუნდებათ. გვილავას განმარტებითვე, ეკონომიკის სამინისტროსთან ამ თემაზე კონსულტაციები აქვთ, თუმცა სამინისტროსგან კონკრეტული პასუხი არ მიუღიათ.

საკუთარი ქონების დაბრუნებას სამინისტროსგან, ამ დრომდე, ვერ ახერხებს „ალბატროს ჯგუფის“ ხელმძღვანელი.

„კომერსანტი“

„ეს პარლამენტი ქართველი ხალხის ნების გამომხატველი არ არის“



რატომ არ აქვს სამართლიანობის განცდა, რას მოითხოვს „ოცნებისგან“ და რა კითხვები უჩნდება ივანიშვილის მთავრობის მისამართით გია ბურჯანაძეს

ერუსუდან შელია
557-100-768

ამბობს, რომ სახალხო კრება არჩევნების შემდეგ გამოცხადებულ ასდღიან მორატორიუმს აგრძელებს, თუმცა ხელისუფლების მისამართით მწვავე კითხვების დასმასაც არ ერიდება. მეტიც, მიიჩნევს, რომ პრემიერი საკუთარმა გარემოცვამ იზოლაციაში მოაქცია, ხოლო პარლამენტი ხალხის ნების გამომხატველ ორგანოდ ვერ იქცა. რა შენიშვნები აქვს მმართველი გუნდის მიმართ და როდის დასახელდება საპრეზიდენტო კანდიდატად ნინო ბურჯანაძე? „ვერსიის“ კითხვებს სახალხო კრების აღმასრულებელი საბჭოს წევრი გია ბურჯანაძე პასუხობს.

— ოქტომბრის არჩევნების შემდეგ სახალხო კრებამ ასდღიანი პოლიტიკური მორატორიუმი გამოაცხადა, მაგრამ იმის გამო, რომ „ოცნება“ „ჩვენიანია“ და მათზე ბევრი რამით ვართ დავალებულნი, ამ ას დღეს, სამი თვეც დავამატეთ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მმართველი გუნდის მისამართით კითხვები არ გვაქვს. პირიქით, ამ ხნის განმავლობაში არაერთი საკამათო თემა დაგროვდა და პასუხებს, საზოგადოებასთან ერთად ჩვენც ველოდებით. მმართველ გუნდს ექვსი თვის განმავლობაში გარკვეული საკითხების მოგვარება მარტივად შეეძლო, თუმცა სამწუხაროდ, ბევრი მიმართულებით სტაგნაციამდეც მივედით. აღმაშფოთებელია, როცა სისხლის სამართლის დამნაშავე ვანო მერაბიშვილი კულტურის სამინისტროში მინისტრს ხელებს უშლის და კულტურული ძეგლების დაცვაზე ესაუბრება. სამართლიან ქვეყანაში, ის მინიმუმ გამოძიების კითხვებს უნდა პასუხობდეს.

— ვანო მერაბიშვილი პროკურატურაში რამდენჯერმე დაიბარეს, მაგრამ მალევე გამოუშვეს და ახლა ხელისუფლებას ნიშნის მოგებითაც ეუბნება, ნაცმოძრაობის აქტივისტების ნაცვლად, ისევ მე დამკითხეთო. გამოდის, მის წინააღმდეგ კომპრომატები არ არსებობს თუ შეთქმულების თეორიებთან გვაქვს საქმე?

— სწორედ ეს ფაქტი მაშფოთებს და არ მესმის, რაში სჭირდება ვანო მერაბიშვილის ბრალეულობას ექვსთვიანი გამოკვლევა, როცა 26 მაისს მის მიერ გაცემული ბრძანება საზოგადოებამ პირდაპირ ეთერში იხილა? ჩანს, ნაციონალებს ადამიანების 9 წლის განმავლობაში წამება არ ეყოთ და საზოგადოებისთვის ნერვების მოშლას დღესაც ცდილობენ. 19 აპრილს მათ მიერ დაგეგმილი აქციაც საჯაროდ დაანონსებული პროვოკაციაა — როგორც ვიცი, ისინი სხვადასხვა ცნობილი ტელევიზიების, „ბი-ბი-სისა“ და „სი-ენ-ენის“ კორესპონდენტების, ასევე ევროპის სახალხო პარტიის წარმომადგენლების ჩამოყვანას გეგმავენ, რათა მთელ მსოფლიოს აჩვენონ, თითქოს მათ პოლიტიკურად დევნიან. სამწუხაროა, რომ ხელისუფლებაც ახალ რეალობას გვაჩვევს და თანდათან გვაგუებს აზრს, რომ ნაცმოძრაობა დამნაშავე პოლიტიკური ძალა კი არა, ოპოზიციაა. მე, როგორც რიგითი მოქალაქე, ვითხოვ, „ოცნებამ“ აღიაროს და ხმამაღლა განაცხადოს, როგორ აღიქვამს ნაცმოძრაობას, შემდეგ ხალხიც შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს.

— რა აღიარებას ელოდებით, როცა მმართველი გუნდი ღიად აფიქსირებს პოზიციას, რომ ნაცმოძრაობასთან კოჰაბიტაცია ქვეყანაში ევროპული სტანდარტის დასამკვიდრებლად, ფაქტობრივად, აუცილებელი პირობაა?

— გასაგებია, მაგრამ პოლიტიკოსების კოჰაბიტაციის ფონზე, საზოგადოებამ ნაცმოძრაობის მიერ დაგეგმილი პროვოკაციები მიიღო, რაც საბოლოო ჯამში, სახელმწიფოს ნორმალურ ფუნქციონირებაზე ნეგატიურად აისახება. ფაქტია, საზოგადოებამ ხელისუფლებისგან სიკეთე ჯერ ვერ დაინახა. ჩუმაყელმა ან ღუდუმეთელმა გლეხმა ისიც კი არ იცის, სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით გამოყოფილი უპროცენტო სესხი მას რა ვალდებულებას აკისრებს. ამ შემთხვევაში ორ ვარიანტს განვიხილავ: ეს ან საბოტაჟია, ან ხელისუფლებაში კადრების არაკვალიფიციურობასთან გვაქვს საქმე. ხელისუფლებასთან კიდევ ერთი კითხვა მაქვს: ვენეციის კომისიის დასკვნას ამდენ ხანს რატომ ველოდებოდით და სასამართლოების შესახებ კანონი პარლამენტმა თუნდაც დეკემბერში რატომ არ მიიღო? ახლა პარლამენტის გადაწყვეტილებას პრეზიდენტი ვეტოს დაადებს, რომელიც საკმაოდ რთული პროცედურების გავლით უნდა გადავლახოთ, დრო ხელოვნურად იწელება და ამასობაში, ნაცმოძრაობას პროვოკაციების საშუალებას ვაძლევთ, გაქცეულებიც კი უკან ბრუნდებიან. რა ედგა ანტიმონოპოლიური კომისიის შექმნას წინ? ამასაც ვენეციის კომისიის დასკვნა ხომ არ სჭირდება? რატომ არ მუშაობს მმართველი გუნდი ამ მიმართულებით? ერთ კონკრეტულ მაგალითსაც მოგიყვებით: მარტის დასაწყისში, ჩემმა მამიდაშვილმა ჯანდაცვის სამინისტროში დარეკა და ოპერაციის დაფინანსება ითხოვა. უპასუხეს, სიაში აპრილის ბოლოს ჩაგწერთო. მაინტერესებს, ვინ აიღებს პასუხისმგებლობას თუ ადამიანის ჯანმრთელობა მანამდე გაუარესდება? მსგავსი ფიქტიური მდგომარეობა მიშას დროსაც გვქონდა, რომელიც 5-ლარიან დაზღვევას გვთავაზობდა.

— ანუ ძველ და ახალ ხელისუფლებას შორის განსხვავებას ვერ პოულობთ?

— ამ ორ ძალას შორის ერთადერთი რეალური განსხვავება თავისუფლებაა. დარწმუნებული ვარ, დღეს განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო, არავის დაიჭერენ. ზოგჯერ მეშინია, ბიძინა ივანიშვილი ვიწრო პოლიტიკური გუნდის იზოლაციაში არ მოექცეს. დათო უსუფაშვილი კარგი პოლიტიკოსია, მაგრამ მას და რესპუბლიკურ პარტიას საზოგადოებისთვის მიუღებელი მსოფლმხედველობა აქვს. მეტიც, მიმაჩნია, რომ ჩვენი პარლამენტი ერის ნების გამომხატველი არ არის.

— ამ პარლამენტს მხარს არჩევნებამდეც უჭერდით და მერეც. ახლაც აღნიშნეთ, „ჩვენიანები“ არიანო. პოზიციას იცვლით?

— სხვათა შორის, იგივეს ვამბობდი არჩევნებამდეც. კოალიციის გამარჯვებაში მეც საკმაოდ დიდი წვლილი შევიტანე, ამიტომ ვფიქრობ, გამარჯვებული კაცი ვარ, მაგრამ ღიად კიდევ ერთხელ გავიმეორებ — ამჟამინდელი მოწვევის პარლამენტი ქართველი ხალხის ნების გამომხატველი არ არის.

— ნინო ბურჯანაძემ აღნიშნა, ბიძინა ივანიშვილთან ურთიერთობას პრემიერის ირგვლივ შეკრებილი ვიწრო წრე ხელს უშლისო. ბურჯანაძეს საპრეზიდენტო კანდიდატად მოიაზრებენ. გამოდის, პრემიერისთვის ის საინტერესო ფიგურად ჯერ კიდევ ვერ იქცა?

— დიახ, ცუდია, რომ ბიძინა ივანიშვილს ნინო ბურჯანაძესთან კონტაქტი არ აქვს, წესით, მისი გამოცდილების მქონე პოლიტიკოსს სახელმწიფო სათავისოდ უნდა იყენებდეს. ვფიქრობ, ისევ კომუნიკაციის პრობლემასთან გვაქვს საქმე. საპრეზიდენტო კანდიდატთან დაკავშირებით კი, სახალხო კრება უახლოეს მომავალში იმსჯელებს და საბოლოო გადაწყვეტილებას საზოგადოებას მალე ამცნობს. მანამდე გეტყვით, ჩემი აზრით, ქვეყნის დაბალანსების რესურსი დღეს ნინო ბურჯანაძეს რეალურად გააჩნია. ბიძინა ივანიშვილი ორ წელიწადში პოლიტიკიდან წასვლას გეგმავს. ჩემთვის გაუგებარია, ქვეყნის სადავეებს ვის უტოვებს? ფაქტია, მხოლოდ ივანიშვილი ვერ მოუვლის სახელმწიფოს — ქვეყნის განვითარებაზე ადამიანების გაფართოებულმა ჯგუფმა უნდა იზრუნოს, მით უმეტეს, როცა თითქმის ყველა სფეროში პრობლემებია, ნაცმოძრაობამ ქვეყანა გაანადგურა და საკუთარ ერს გენოციდი მოუწყო. დღეს სახელმწიფოს მშენებლობა ნულიდან უნდა დავიწყოთ, რომელსაც სამართლიანი საფუძვლის ჩაყრა სჭირდება. სამწუხაროდ, დღეს ნამდვილად არ მაქვს განცდა, რომ სამართლიანი ქვეყნის მოქალაქე ვარ და კანონი მიცავს.

— სამართლიანი ქვეყნის მშენებლობა აუცილებლად ნაციონალების დაპატიმრებას გულისხმობს?

— რა მორალით ან რომელი კანონის საფუძველზე უნდა დაიჭირო ჩვეულებრივი მოქალაქე, თუნდაც ხულიგნობის მუხლით, როცა დამნაშავეები გარეთ არიან? მაინცდამაინც ნაციონალები კი არ უნდა დავიჭიროთ, უბრალოდ, ეს ვითარება ანარქიას ემსგავსება. საზოგადოებას ივანიშვილისთვის ნაციონალების შეწყალება არ მოუთხოვია, ხალხმა არჩევნებამდე თავი იმიტომ გადადო, რომ ქვეყანაში სამართლიანობა აღმდგარიყო, რაც რეალურად, სახელმწიფოს ქვაკუთხედს წარმოადგენს. თუ საქართველოში ერთი ადამიანიც კი თავს დაჩაგრულად მიიჩნევს, სახელმწიფო ვერ აშენდება, მით უმეტეს, ნაცმოძრაობის წარმომადგენლები თავს დამნაშავეებადაც არ მიიჩნევენ, პირიქით, იმაზე მეტს ყელყელაობენ, ვიდრე ექვსი თვის წინ. ეს ადამიანები არც აგვისტოს ომში მიიჩნევენ თავს დამნაშავედ: სააკაშვილმა განაცხადა, 2008 წელს ქვების გროვა დავკარგეთო. აბა, ერთი იმ ადამიანებს ესაუბროს, ვისაც შვილები გაუუპატიურეს და მიცვალებულების დამარხვის საშუალება არ მისცეს. გამოსაძიებელია, რა მოხდა კოდორის ხეობაში, სადაც ქართველის გარდა, არავინ შესულა. სამწუხაროდ, იმის ნაცვლად, მმართველმა გუნდმა ამ მიმართულებით სერიოზულად იფიქროს, თანამდებობებზე დანიშვნის შემდეგ ყველა მათგანმა ახალი მანქანა იყიდა. ადრეც ასე ხდებოდა და იცით, ეს რისი ბრალია? არც ერთ ხელისუფლებას პასუხი არ მოვთხოვეთ. შესაბამისად, ერთ წრეზე ვტრიალებთ.

— წულუკიანის თქმით, აგვისტოს ომთან დაკავშირებით, შესაძლოა სააკაშვილიც დაიკითხოს. ეს არაფერს ცვლის?

— დომუხოვსკიმაც დაკითხა ედუარდ შევარდნაძე, მაგრამ რა შეიცვალა? სამი წლის მერე ის პრეზიდენტად მოგვევლინა. სამწუხაროა, რომ ბიძინა ივანიშვილს საკუთარი გარემოცვა მწვავე კითხვებს არ უსვამს და არც ქვეყანაში არსებულ რეალურ პრობლემებზე ესაუბრება.

ვერსიანიუსი

დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი გაზრდილია!

წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით, დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი გაზრდილია. შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის წარმომადგენლებმა დღემდე რეგისტრირებული დანაშაულის ერთიანი კვარტალური ანგარიში და ახალი მეთოდოლოგია წარადგინეს, რომელსაც სამინისტრო 2013 წლის იანვრიდან იყენებს.

დანაშაულთა გახსნის მაჩვენებელი მარტისთვის 21,9-დან 25,53%-მდეა გაზრდილი, ხოლო იანვარ-მარტის პერიოდისთვის — 28,8-დან 32,75%-მდე.

კრიმინალური ელემენტების გააქტიურების ტენდენცია შეინიშნება ბოლო ორი წლის განმავლობაშიც. 2011 წლის იანვართან შედარებით 2012 წლის იანვარში დანაშაულის საერთო რაოდენობა 10,6%-ით, თებერვლის თვეების შედარებისას 19,5%-ით, 2012-2011 მარტის თვეებში — 4,7%-ით, იანვარ-მარტში კი 20,2%-ით გაიზარდა.

მხოლოდ შეწყვეტილ სისხლის სამართლის საქმეთა ხვედრითი წილი, რომელიც ადრინდელ ანგარიშში არ ხვდებოდა, მიმდინარე წლის კონსოლიდირებულ მონაცემებში უკვე აღირიცხება, საშუალოდ რეგისტრირებული მონაცემების 5-6%-ს წარმოადგენს, რაც ახალი მეთოდოლოგიის შემთხვევაში შესაბამისი თანაფარდობით ზრდის დანაშაულის საერთო რაოდენობასაც. აღნიშნული კოეფიციენტის გათვალისწინებით, 2013 წლის პირველ კვარტალში წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან მიმართებაში მხოლოდ 10,3%-იანი ზრდა ფიქსირდება.

რაც შეეხება ახალ მეთოდოლოგიას. სამინისტროში აღნიშნეს, რომ დანაშაულის სტატისტიკის ახალი მეთოდოლოგია თანამედროვე, ევროპული სტანდარტების მიხედვით შემუშავებული მოდელია, რომელსაც მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები იყენებენ.

ქვეყანაში საზოგადოებრივი უშიშროებისა და უსაფრთხოების მაღალი დონე მთლიანობაში შენარჩუნებულია, ხოლო კრიმინოგენული ვითარება 2010 წელს არსებული ვითარების თანაზომადია და ხარისხობრივად აღემატება 2009 წლის და ადრეული წლების მდგომარეობას.

განსხვავება ძველ და ახალ მეთოდოლოგიას შორის არის ის, რომ წარმოების შეწყვეტის სისხლის სამართლის საქმეები, მიუხედავად შეწყვეტის საფუძვლისა, სტატისტიკურ მონაცემებში 2013 წლამდე არ აისახებოდა.

ამასთან, იმავე პერიოდისთვის საქმის გახსნილად გამოცხადების ერთადერთ საფუძველს ბრალის წარდგენის შესახებ დადგენილება წარმოადგენდა. თუმცა, ვინაიდან 2013 წლამდე მოქმედ სააღრიცხვო სისტემას არ გააჩნდა ბრალის კომპონენტის გარეშე საქმის გახსნილად ჩათვლის მექანიზმი, რათა არ მომხდარიყო გაუხსნელი საქმეების რიცხვის გაუმართლებელი გაზრდა, ასეთი დანაშაულობები ერთიანი კონსოლიდირებული რაპორტის ფორმაში საერთოდ არ აისახებოდა.

„ინტერპრესნიუსი“

PayPal-ზე თიბისი ბანკის ბარათების მიბმა დღეიდან უკვე შესაძლებელია!

PayPal-ი თიბისი ბანკის ბარათების მფლობელებისათვის უკვე გააქტიურებულია!

დღეიდან თიბისი ბანკის ყველა ტიპის პლასტიკური ბარათი უკვე შეგიძლიათ მიაბათ PayPal-ის სისტემას, რაც მოგცემთ საშუალებას, აიხდინოთ ოცნება და შეიძინოთ თქვენთვის სასურველი ნივთი ისეთი ვებ-მაღაზიიდან, რომელზეც მანამდე ხელი არ მიგიწვდებოდათ.

www.paypal.com არის გადახდის საშუამავლო სისტემა, რომელიც იძლევა შესაძლებლობას, მოახდინოთ ონლაინშეძენა მეტად უსაფრთხოდ ან უბრალოდ იყიდოთ ისეთი ვებმაღაზიიდან, რომელზეც საქართველოში დამზადებული პლასტიკური ბარათები არ მიიღება და ფუნქციონირებს მხოლოდ PayPal გადახდის სისტემით.

დღემდე PayPal-ის ვებგვერდზე, ქვეყნების ჩამონათვალში საქართველო არ შედიოდა. ამიერიდან, შესაძლებელია შეხვიდეთ www.paypal.com-ზე, აირჩიოთ საქართველო, დარეგისტრირდეთ და უშუალოდ საიტიდან მიაბათ თიბისი ბანკის ნებისმიერი ბარათი PayPal-ის სისტემას. ეს თქვენ მოგცემთ საშუალებას, გააკეთოთ შენაძენი ისეთი საერთაშორისო პოპულარული ვებმაღაზიებიდან, როგორებიცაა eBay, Walmart, overstock.com და ა.შ.

PayPal-ის გადახდის სისტემა ფუნქციონირებს როგორც შუამავალი თქვენს ბარათსა და ვებ მაღაზიას შორის. PayPal-ზე ბარათის მიბმის შემთხვევაში, ვებმაღაზია, რომლიდანაც აკეთებთ შენაძენს, მიმართავს PayPal-ს, ხოლო PayPal-ი მას აწვდის იმ ბარათის მონაცემებს, რომელიც მიბმულია მის სისტემაზე.

შესაბამისად, PayPal-ით გადახდა თქვენ გაძლევთ უნიკალურ შანსს, განახორციელოთ ონლაინ შოპინგი ნებისმიერი ვებმაღაზიიდან, რომელიც იღებს PayPal-ის გადახდებს, ნებისმიერ დროს, მაქსიმალურად უსაფრთხოდ და დაცულად. ამისათვის, თქვენ გჭირდებათ თიბისი ბანკის ნებისმიერი ტიპის პლასტიკური ბარათი, PayPal-ის საიტზე რეგისტრაცია და სასურველი ნივთი თქვენს ხელშია!

სასიამოვნო ინტერნეტ შოპინგს გისურვებთ!

ჰოლანდიელი ექსპერტების სკანდალური დასკვნა — შეჩერდება თუ არა ხუდონჰესის მშენებლობა

მე-3 გვერდიდან

შესაბამისად, იმაზე საუბარი, უნდა განვითარდეს თუ არა ჰიდროენერგეტიკული რესურსი ქვეყანაში, არასწორია. ზამთარში დიდი დეფიციტი გვაქვს და ამას რომ შევებრძოლოთ, ახალი ენერგეტიკული რესურსი უნდა ავაშენოთ. რაც შეეხება ბუნებრივ გაზზე მომუშავე სადგურების განვითარებას, ვერავის დავეთანხმები, რადგან ბუნებრივი აირი საქართველოს ადგილობრივი რესურსი არ არის, ქვეყანამ კი ადგილობრივი რესურსები უნდა განავითაროს. ნურავინ ჩათვლის, რომ ჩვენ, ენერგეტიკოსები, გარემოს დაცვას ვეწინააღმდეგებით, მაგრამ აუცილებელია, რომ გარემოს დაცვის ზემოქმედება მაღალ დონეზე, საერთაშორისო და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით შეფასდეს. მოხარული ვარ, რომ ხუდონჰესის პროექტი გარემოს დაცვის ქართული კანონმდებლობით კი არ უნდა განხორციელდეს, რასაც დახვეწა სჭირდება, არამედ — საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით. ეს იმას ნიშნავს, რომ გაცილებით მაღალ დონეზე გავდივართ. ეს პროექტი ენერგეტიკულად აუცილებლად გვჭირდება, რადგან დამატებით, ესაა 700 მეგავატი სიმძლავრის ჰესი, რომელიც თითქმის 1 450 000 000 კილოვატ საათს გამოიმუშავებს. ადგილობრივმა მოსახლეობამ ამ პროექტიდან სარგებელი უნდა მიიღოს. გარდა იმისა, რომ სამუშაო ადგილები შეიქმნება და მოსახლეობა დასაქმდება, ბიზნესი სხვადასხვა დარგიც განვითარდება და ადგილობრივ ბიუჯეტში საკმაოდ დიდი თანხაც შევა. ფაქტობრივად, თავისი სიმძლავრით, ხუდონჰესი საქართველოს მეორე ჰიდროელექტროსადგური ხდება. ვფიქრობ, ადგილობრივი მოსახლეობა ამ პროექტით მაქსიმალურ სიკეთეს მიიღებს, რაც შეეხება გარემოზე ზემოქმედებას, ამ პროექტის ნეგატიური გავლენა მინიმიზირებული უნდა იყოს.

— მოსახლეობის განსახლება და 10-12 სოფლის დატბორვა გარდაუვალია. პარალელურად, გარემოზე ზემოქმედების საფრთხე ნულამდე უნდა დავიდეს. როგორ განხორციელდება ეს ყველაფერი?

— განსახლების დარგის სპეციალისტი არ ვარ, მაგრამ სოფლების გარკვეული რაოდენობა დატბორვის ზონაში ხვდება. მთლიანობაში, 200-ზე მეტი ოჯახია განსასახლებელი, ჯამში, 600-700 ადამიანზეა საუბარი და მათთვის უნდა შეიქმნას სამომავლო ცხოვრების საუკეთესო პირობები, ვგულისხმობ როგორც საცხოვრებელ სახლს, ასევე იმ საქმიანობასაც, რასაც ეს ხალხი აკეთებს. ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რასაც მოსახლეობის განსახლების მიმართულებით, მსოფლიო ბანკისა და საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტები ითხოვს. ადგილობრივებმა მსუყე კომპენსაციები უნდა მიიღონ და მათი პირობები გონივრულად უნდა დაკმაყოფილდეს.

— ჰოლანდიელმა ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ენგურისა და ხუდონის რეზერვუარების ურთიერთკავშირი ბოლომდე შესწავლილი არაა. ეს რას ნიშნავს?

— ზუსტად ამან გამიჩინა ეჭვი, რომ მათ სრული ინფორმაცია არ აქვთ. როგორ შეიძლება, ეს ყველაფერი გათვალისწინებული არ ყოფილიყო? ხუდონისა და ენგურის წყალსაცავების ენერგეტიკული მუშაობის სცენარები დამუშავებულია და დიდი ხანია არსებობს, რაც ზოგადად, ამ პროექტის შექმნისა და განვითარების ერთ-ერთი საფუძველია. შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ღრმად პატივცემულ ექსპერტებს სრული ინფორმაცია არ აქვთ და არც არსებული ანგარიშები წაუკითხავთ. თქვენი კითხვაც იმას ადასტურებს, რომ ინფორმაციის დეფიციტი აქვთ, თორემ მათ კვალიფიკაციაში ეჭვი არავის ეპარება!

— როგორც ჩანს, ჰოლანდიელ ექსპერტებს არც „ტრანსელექტრიკა ჯორჯიას“ ანგარიში უნახავთ, თქვენ თუ შეხვდით მათ?

— სამწუხაროდ, არ შევხვედრივარ, მაგრამ ექსპერტები მათაც კი არ შეხვდნენ, ვინც 30 წელია ხუდონჰესის პროექტზე მუშაობს. გაუგებრობა მოხდა, რაც იმის ბრალია, რომ ლიმიტირებული დრო ჰქონდათ. ასეთი მოცულობის ანგარიში რომ წაიკითხოთ, ერთი კვირა მაინც გჭირდებათ. დეტალურად გაცნობას ერთი თვე უნდა. სხვათა შორის, შენიშვნებიც მინიმალური იქნებოდა, ეს ანგარიშები რომ ჰქონოდათ. ვიცი, რომ მაღალი დონის სპეციალისტები არიან, მაგრამ მათთან უნდა ჰქონდეთ კომუნიკაცია, ვინც ეს პროექტი კარგად იცის.

— შესაძლებელია, ხუდონჰესმა სვანეთის კლიმატი შეცვალოს?

— სხვათა შორის, ჰოლანდიელ ექსპერტებს ამ საკითხზე ყურადღება არ გაუმახვილებიათ, რადგან ეს ნაწილი კარგად შეისწავლეს და ნახეს, რომ ამ პროექტს კლიმატის ცვლილებაზე მინიმალური გავლენაც კი არ აქვს. მეტსაც გეტყვით, ენგურის წყალსაცავიც კი არ ცვლის კლიმატს და რა თქმა უნდა, არც ხუდონჰესი შეცვლის! იგივე შემიძლია გითხრათ, სხვადასხვა დაავადებების გავრცელებაზეც. მართალია, ეს ჩემი სფერო არ არის, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ სვანეთს არც ეს პრობლემა ემუქრება.

— ჩემს ცნობიერებაში, ეროვნული მოძრაობა 1987-1988 წლებიდან დაიწყო, როდესაც „მწვანეთა მოძრაობის“ მაშინდელმა ლიდერმა, ზურაბ ჟვანიამ ხუდონჰესის შეჩერების მოთხოვნით აქციები წამოიწყო... ცოტა ხნით პროექტი შეჩერდა, მაგრამ მოგვიანებით, პოზიციები შეიცვალა. დღემდე მაწუხებს კითხვა, რამდენად საჭირო და მნიშვნელოვანია ხუდონჰესის პროექტი საქართველოსთვის?

— მართალია, იმ პერიოდში იტალიაში ვიყავი, მაგრამ მანამდე ოპონირებას ვუწევდი მათ, ვინც ხუდონჰესის შეჩერებას ითხოვდა. თუ გახსოვთ, მაშინ ძირითადი მოთხოვნა იყო, ამ პროექტის მშენებლობისას, სეისმოლოგიური ზემოქმედება გაეთვალისწინებინათ. ხუდონჰესის მაშინდელი პროექტი 8-ბალიან ინტენსივობაზე იყო გათვლილი. დღევანდელი პროექტი 9-ბალიან ინტენსივობაზეა. აქედან გამომდინარე, გარემოს დაცვითი შეფასება დადებითია და არანაირი ეკოლოგიური კატასტროფა არ გვემუქრება! კიდევ ერთი, ენგურჰესი და ვარდნილჰესი გალის ტერიტორიაზე, ოკუპირებულ ზონაში გვაქვს, ხუდონჰესის შექმნით კი საქართველო ყველაზე დიდი და მძლავრი მდინარის — ენგურის ენერგეტიკული პოტენციალის კონტროლს იბრუნებს! პრაქტიკულად, იმ გასაღებს ვიბრუნებთ, რომლითაც ეს ენერგეტიკული პოტენციალი უნდა ვმართოთ და დომინანტური პოზიცია შევინარჩუნოთ.

10 აპრილს, პრემიერ-მინისტრმა ცენტრალური ტელევიზიებისა და გაზეთების მთავარ რედაქტორებს საკუთარ ბიზნეს-ცენტრში უმასპინძლა. მთავრობის პირველი პირი მედიასაშუალებების ხელმძღვანელების კითხვებს ორსაათნახევარზე მეტხანს პასუხობდა. „ვერსია“ რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს გთავაზობთ, რომელიც ჟურნალისტებისა და ბიძინა ივანიშვილის შეხვედრისას წამოიჭრა.

ბიძინა ივანიშვილის შეხვედრა მედიასაშუალებების ხელმძღვანელებთან

ეწევა თუ არა ბიძინა ივანიშვილი სიგარეტს?

ხელისუფლება ანტინიკოტინის კამპანიას იწყებს

რედაქტორებთან შეხვედრა, პრემიერმა მცირე მოხსენებით დაიწყო. ივანიშვილის თქმით, აპრილის ბოლო კვირიდან, ხელისუფლება ანტინიკოტინის კამპანიას იწყებს, რომლის ფარგლებშიც, სიგარეტის გამოყენებაზე კონტროლი გამძაფრდება. პარალელურად, რადგან კაფე-ბარებსა და რესტორნებში ძალიან გახშირდა მოზარდების მიერ ალკოჰოლის, უმეტესად კი, არყის გამოყენება, იწყება ანტიალკოჰოლური კამპანიაც.

პრემიერის თქმით, პირველ ეტაპზე, მაქსიმალურად დაეხმარებიან მწეველებს, რომ თამბაქოზე უარი თქვან, გამკაცრდება კონტროლი ისეთ ადგილებში, სადაც მოწევა აკრძალულია, ასეთი ადგილების რიცხვი გაიზრდება, ალკოჰოლური სასმელის გაყიდვა-მოხმარებაზეც გამკაცრდება კონტროლი და ამას მოსახლეობა გაგებით უნდა მოეკიდოს. უკვე მეექვსე თვეა, ხელისუფლებაში ვართ და ბევრი სასიკეთო ნაბიჯიც გადავდგით, მაგრამ ჯანმრთელობისა და ჯანსაღი წესის გარეშე არაფერი გამოგვივაო, — განაცხადა ივანიშვილმა და ლოგიკურიც იყო, რომ „ვერსია“ დაინტერესდა, ეწევა თუ არა სიგარეტს პრემიერი. მაია ფურცელაძის (გაზეთი „ვერსია“) მარტივმა კითხვამ, „თავად თუ ეწევით?“ პრემიერი გულახდილობის განწყობაზე დააყენა: „ვეწეოდი, მაგრამ მაგარი მწეველი არასოდეს ვყოფილვარ. ვეწეოდი დაახლოებით 10 წლის განმავლობაში. მახსოვს, როდესაც დავქორწინდი, მეუღლემ მთხოვა, არ მოწიოო და იმის მერე აღარ მომიწევია. ძალიან მერიდება მწეველების, მათი გაღიზიანება არ მსურს, ამიტომ ისეთ კამპანიას დავიწყებთ, დავეხმარებით მათ, უარი თქვან თამბაქოზე. სხვათა შორის, მთავრობაშიც გვყავს მწეველი მინისტრები და ყოველდღე ვახსენებ მათ ამის შესახებ. საფრანგეთის ელჩმა მითხრა, საოცარი ქვეყანაა საქართველო, აქ ცხოვრებას ვაპირებ და თუ კაცი ხარ, მოსაწევი ადგილები არ აკრძალოო. მიყვარს ეს ქვეყანა, რადგან მოწევა ყველგან შემიძლიაო. საზოგადოებას მოვუწოდებთ, თავი შეიკავოს მოწევისგან, ხელების გრეხვა აქ არც გამოვა. მახსოვს, მურთაზ ხურცილავას დაბადების დღეზე რესტორანში 15-20 წუთი დავრჩი, უხერხული იყო უფრო ადრე წამოსვლა, ადამიანები არ ჩანდნენ, ისეთი ბოლი იდგა. თავს ვიკლავთ. ის კი არა, იაპონელებმა გამოიგონეს ასეთი მოწყობილობა — სუფრასთან როგორც კი კაცი სიგარეტს მოუკიდებს, ჭერიდან ჩამოდის პლასტიკური კოლბა, რომელიც თავზე ჩამოეცმევა. ძალიან ეფექტური იქნება, მით უმეტეს საქართველოში, სადაც ქართველ კაცს, ქეიფის დროს, გარეთ გასვლა არ უყვარს. აქ უნდა დამემონტაჟებინა, მაგრამ გადავიფიქრე (გულიანად იცინის). უნდა ვეცადოთ, ჯანმრთელი საზოგადოება გვყავდეს და ამას აუცილებლად მივაქცევთ ყურადღებას ისევე, როგორც მოზარდებში ალკოჰოლის გამოყენებას“.

პრესა არის მედიატორი საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ გაკეთებული სენსაციური განცხადება — გაზეთებს არ ვკითხულობო, ყველას კარგად ახსოვს. სწორედ ამ ერთმა ფრაზამ შექმნა ფონი, როცა წლების განმავლობაში ჩინოვნიკებს მიეცათ უფლება, რეაგირება არ მოეხდინათ პრესაში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებზე. „ვერსია“ დაინტერესდა, როგორი დამოკიდებულება აქვს მედიის, კონკრეტულად პრესის მიმართ, პრემიერ ბიძინა ივანიშვილს.

მაია ფურცელაძე, გაზეთ „ვერსიის“ გამომცემელი და მთავარი რედაქტორი.

კოლეგები დამეთანხმებიან, რომ ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ვითარება შეიცვალა და საზოგადოების უდიდესი ნაწილი პრესას მიიჩნევს მედიატორად საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის. როგორია თქვენი და თქვენი ხელისუფლების დამოკიდებულება, რამდენად აქვთ თქვენი გუნდის წარმომადგენლებს მითითება, მკაცრი რეაგირება მოახდინონ პრესაში გამოქვეყნებულ ფაქტებზე, რამეთუ სხვა გზა, სხვა მექანიზმი იმისა, რომ რეალურად გაიგოთ, რა ხდება საზოგადოებაში, არ არსებობს. საზოგადოებას აძლევთ თუ არა პირობას, რომ გამოქვეყნებული ფაქტების დადასტურების შემთხვევაში, ყველაფერზე რეაგირებას მოახდენთ?

ბიძინა ივანიშვილი: „სააკაშვილმა ბოლო დროს, მედიასთან თითქოს დაიწყო შეხვედრები და თქვა, ჩემი ერთ-ერთი შეცდომა იყო, მედიას რომ არ ვხვდებოდიო. მას დაავიწყდა მიზეზი, რატომ არ ხვდებოდა ჟურნალისტებს — იმიტომ, რომ ძალიან ბევრი მწვავე კითხვა არსებობდა, რომლებზეც პასუხი არ ჰქონდა. მედიის წარმომადგენლებს არ ხვდებოდა კი არა, ვერ ხვდებოდა.

რა თქმა უნდა, მედია უნდა იყოს მედიატორი და მისი ფუნქცია უნდა გაძლიერდეს. ამას შესახებ ხშირად ვახსენებ მთავრობას: ამას წინ, შეხვედრა მქონდა რეგიონული მედიის ჟურნალისტებთან, ძალიან მწვავე კითხვები დასვეს. პირადად ვახსენებდი ყველა მინისტრს, ყველა წამოჭრილ საკითხზე მოეხდინათ რეაგირება. ზოგჯერ მედიაც აჭარბებს, მაგრამ ჩვენ არ გვაქვს უფლება, წინასწარ ვთქვათ, აჭარბებს თუ არა, ყურადღება აუცილებლად უნდა მივაქციოთ ყველა ფაქტს. ყველა მინისტრი ვალდებულია, ჩემი ჩათვლით, ასე მოიქცეს და ყველა მწვავე კითხვას უპასუხოს, საჭიროების შემთხვევაში, გააკეთოს განმარტებები. აი, ასეთია ჩემი დამოკიდებულება, რომელიც არ შეიცვლება. სხვანაირად, საქართველო ვერ იქნება დემოკრატიული. თუ ვინმეს აქვს იმის ეიფორია, რომ მედიის გარეშე შეიძლება დემოკრატია და დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება, ძალიან დიდ შეცდომას უშვებს“.

გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, სასკოლო სახელმძღვანელოების წონა და ფორმატი შემცირდება

მინისტრთა კაბინეტიდან გიორგი მარგველაშვილი ერთადერთი იყო, რომლის გვარიც პრემიერმა შეხვედრისას რამდენჯერმე ახსენა. ივანიშვილი განათლების მინისტრის მიმართ აღფრთოვანებას აშკარად ვერ მალავდა. მიზეზიც ჰქონდა — ამ უკანასკნელის დამსახურებაა, მოსწავლეებს უფასო სახელმძღვანელოები რომ გადაეცემათ. „ვისარგებლებ შემთხვევით, მადლობას გადავუხდი განათლებისა და მეცნიერების მინისტრს გიორგი მარგველაშვილს ამის გამო. ეს ჩემთვის იყო დიდი საჩუქარი ისევე, როგორც მოსახლეობისთვის. ამ საკითხზე გიორგი დიდი ხანია მუშაობს და ჩემი დახმარების გარეშე ისე, რომ დამატებითი ფინანსები არ მოუთხოვია, საკუთარი ბიუჯეტით მოახერხა ეს. საერთოდ, გიორგის პიროვნებით მოხიბლული ვარ, საოცარი კაცია. თავდაუზოგავად მუშაობს, რათა დაეხმაროს ქვეყანას“. ივანიშვილმა მედიასაშუალებების ხელმძღვანელებს ისიც გაუმხილა, რომ რეგიონებში მოგზაურობისას, სამი კითხვიდან ერთი სახელმძღვანელოებს ეხებოდა. შეიძლება, ვიღაცისთვის ეს 100-160 ლარი არ იყოს დიდი თანხა, მაგრამ სამწუხაროდ, მინიმუმ 90%-სთვის ეს დიდი შეღავათია, 650 000 მოსწავლე მიიღებს უფასოდ სახელმძღვანელოს და გარწმუნებთ, მინიმუმ 600 000-სთვის ეს შეღავათია. პრემიერმა ისიც გაამხილა, მარგველაშვილს სურს, საერთაშორისო ტენდერი არ გამოცხადდეს და სახელმძღვანელოები აუცილებლად ქართველმა გამომცემლებმა დაბეჭდონ.

ეს თემა, გარკვეულწილად, „ვერსიამ“ გააგრძელა. ცხადია, ძალიან სასიხარულოა, მოსწავლეები წიგნებს უფასოდ რომ მიიღებენ, მაგრამ არსებობს კიდევ ერთი პრობლემა, რომელზეც „ვერსია“ წერდა და რომლის შესახებაც, პრემიერიც ჩავაყენეთ საქმის კურსში.

მაია ფურცელაძე, გაზეთ „ვერსიის“ გამომცემელი და მთავარი რედაქტორი.

„გავიზიარებ მოსახლეობისა და თქვენ სიხარულს, მაგრამ აქვე მინდა, ერთი პრობლემა წამოვჭრა, რომელიც ალბათ, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს გიორგი მარგველაშვილმა და დღევანდელმა ხელისუფლებამ. წლების განმავლობაში, საუბარი იყო სასკოლო სახელმძღვანელოების ფორმატზე, ზომასა და წონაზე. ჟურნალისტები იმ ზომამდეც კი მივედით, რომ ავწონეთ მოსწავლის ჩანთა. ყველა ექსპერტი ადასტურებს, რომ იმ სიმძიმის ყოველდღიურად ტარება, რაც ბავშვებს უწევთ, იწვევს ოსტეოქონდროზსა და სხვა უამრავ დაავადებას მოზარდებში. იქნებ ამაზეც გვეზრუნა და ბარემ, ჯანსაღი სახელმძღვანელოები მივაწოდოთ ბავშვებს“.

პრემიერმა განაცხადა, რომ ამ მხრივ განათლების მინისტრი მოახერხებს სასურველი გადაწყვეტილების მიღებას. უკვე მეორე დღეს, 11 აპრილს, განათლების მინისტრმა გიორგი მარგველაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ სასკოლო სახელმძღვანელოების მოცულობა შემცირდება: „უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკებები სტამბებთან, რომ მოხერხდეს წიგნების დაშლა უფრო მცირე ერთეულებად და, შესაბამისად, ბავშვები არ იყვნენ განწირულები სქოლიოზისთვის“. მარგველაშვილმა დასძინა, რომ დაგეგმილია წიგნებისა და სამუშაო რვეულების განცალკევებაც, რათა სახელმძღვანელოს შეძენა ყოველწლიურად არ გახდეს აუცილებელი.

„ყველა მინისტრი ვალდებულია, პრესაში გამოქვეყნებულ ფაქტებზე რეაგირება მოახდინოს!“

სამთავრობო ცვლილებები არ იგეგმება, თუმცა კითხვები არსებობს

მთავრობის პირველ პირს მედიასაშუალებების პირველ პირებთან იმაზეც მოუწია საუბარი, რამდენად კმაყოფილია მთავრობის მუშაობით, რას მიიჩნევს 6-თვიან პერიოდში მთავრობის ყველაზე წარმატებულ ნაბიჯად, სად ხედავს სუსტ რგოლს, რა რეაგირებას მოახდენს პრემიერი სახალხო დამცველის ანგარიშში მთავრობის მისამართით დაფიქსირებულ გარკვეულ შენიშვნებზე, მოსალოდნელია თუ არა სამთავრობო ცვლილებები? კონკრეტული პასუხის გაცემამდე, პრემიერმა იმაზე ისაუბრა, რომ სახალხო დამცველის ანგარიშს ნებისმიერი მთავრობის თითოეულმა წევრმა პატივი უნდა სცეს, გაეცნოს მას და ზოგადად, ამ ინსტიტუტს ანგარიში უნდა გაუწიოს.

ბიძინა ივანიშვილი: **„რაც შეეხება ზოგადად მთავრობას, კარგი იქნება, თუ თქვენ შემახსენებთ, რომელი მინისტრი არ მოგწონთ. პირადად მე, მიმაჩნია, რომ საკმაოდ ეფექტური მთავრობა, კარგი მინისტრები გვყავს. კითხვები არსებობს ერთ-ორ მინისტრთან დაკავშირებით... ჯერ არ ვიჩქარებ მათ დასახელებას, მით უმეტეს, არანაირი კატასტროფა არ ხდება... თუ რამე პრობლემაა, სჯობს, შიგნიდან დავარეგულიროთ. მეც ვეხმარები მათ, არავითარი სამთავრობო ცვლილებები არ იგეგმება. რა თქმა უნდა, კითხვები არსებობს და მეც მაქვს. არის რაღაც ცდომილებები, ერთ სამინისტროში იმაზე მეტი კითხვაც არსებობს, ვიდრე საჭიროა, ამას ვიკვლევთ და მერე ყველაფერს გაცნობებთ“.**

„მოდით, ეს კომპრომატები, ეს სირცხვილი ერთად დავწვათ!“

რამდენიმე თვეში საქართველო კვლავ საარჩევნო მარათონში ჩაებმება და საქართველოს მოქალაქეები ქვეყნის პირველ პირს აირჩევენ. ამ ფონზე, ცხადია, საზოგადოებას უკვე აინტერესებს, ქართულ პოლიტიკურ რეალობაში ყველაზე წონადი ძალის — „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი ვინ იქნება. საზოგადოების ინტერესის დაკმაყოფილებას ლაშა ტუღუში შეეცადა, რომელიც ქვეყნის სხვადასხვა სტრუქტურაში განსახორციელებელი რეფორმებითაც დაინტერესდა და იმითაც, როდის განადგურდება წინა ხელისუფლების პერიოდში დაგროვილი კომპრომატები:

„ამ მასალების ნაწილმა გაჟონა მედიაში და შემზარავი, სამარცხვინო ლაქაა ჩვენი ქვეყნისთვის. იქნებ ღირდეს, დამატებითი სამართლებრივი მექანიზმის შექმნა, დაწესდეს რაღაც ტიპის სამოქალაქო კონტროლი, რათა მომავალში, მსგავსი რამ აღარ განმეორდეს?“ — ტუღუშის ამ სურვილ-ინიციატივას პრემიერი მიესალმა და ბატონ ლაშას შესთავაზა, კომპრომატების განადგურებისა და ზოგადად, ამ პრობლემის გადაჭრაში, შესაბამის სტრუქტურებთან ერთად, აქტიურად თავადაც ჩაერთოს. ბიძინა ივანიშვილი: „გთხოვთ, დაგაკავშირებთ შესაბამის ადამიანებთან და დავაჩქაროთ ეს საკითხი. ის მასალები, ჩვენი საზოგადოების სირცხვილია. სამწუხაროა, რომ განუკითხავი მოსმენები და სერიალები წინა ხელისუფლების პირობებში ცხოვრების წესად იქცა. ამ მასალებისთვის, ბოლო დროს, აღარ მიმიქცევია ყურადღება. მოდით, ერთად მოვიშოროთ და დავწვათ ეს სირცხვილი. სხვათა შორის, იმაზეც მქონდა „ომი“, რომ იქნებ საერთოდ აიკრძალოს ეს ტენდენცია, მაგრამ დამარწმუნეს, რომ ზოგჯერ მოსმენა სახელმწიფოს უშიშროებისთვისაა საჭირო, ყველა ქვეყანა იყენებს ამ მეთოდს და სასამართლოსთვისაც აუცილებელია“.

რაც შეეხება „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატს. პრემიერის თქმით, ეს საკითხი ჯერ საბჭოს დონეზეც არ განხილულა, რადგან არ სურდათ, საკონსტიტუციო ცვლილებებზე, სასამართლოების შესახებ კანონზე მსჯელობისას, საზოგადოების ყურადღება სხვა მიმართულებით გადაეტანათ. ახლა კი, როცა ამ მხრივ პრობლემები ნელ-ნელა მოაგვარეს, ამაზე იმსჯელებენ და მაისში კოალიციის კანდიდატსაც გააცნობენ საზოგადოებას. ივანიშვილმა ისიც გაამხილა, რომ თვითონ ამ მხრივ არჩევანი უკვე გაკეთებული აქვს, თუმცა დასახელებისგან თავი შეიკავა, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ გადაწყვეტილება ჯერ გუნდთან უნდა შეათანხმოს და დაამტკიცოს.

ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკის აღზევებაა

არჩევნების შემდეგ, საქართველოში შექმნილი საინვესტიციო გარემოს შესახებ, არაერთგვაროვანი წარმოდგენა შეიქმნა. საზოგადოების ნაწილს მიაჩნია, რომ ხელისუფლებაში ბიძინა ივანიშვილის მოსვლამ ძალიან ბევრ ბიზნესმენს გაუჩინა სურვილი, ჩვენი ქვეყნის მასშტაბით ინვესტიციები განახორციელონ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური ოპონენტები კი ამტკიცებენ, რომ ასე არაა, პირიქით ნაციონალების „ეპოქაში“ დაწყებულ გრანდიოზულ პროექტებს შეჩერება ემუქრება, ინვესტორები კი საქართველოდან უკანმოუხედავად გარბიან. პრემიერთან შეხვედრისას **მაკა ანთიძე (სააგენტო „როიტერი“)** დაინტერესდა, როგორი საინვესტიციო გარემოა დღეს საქართველოში, რამდენად იძლევა ეს გარემო ოპტიმიზმის საფუძველს და რამდენად რეალურია 2-მილიარდიანი ინვესტიციების მოზიდვის გეგმა 2013 წელს?

„ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება ეკონომიკის აღზევება“, — ამ ფრაზით დაიწყო პასუხი კითხვაზე პრემიერმა და ისაუბრა იმაზე, რომ შეიძლება კანონი შეცვალო ძალიან სწრაფად, სამართლიანობის აღდგენაც მოხდეს ძალიან სწრაფად, მაგრამ ინერტულობიდან გამომდინარე, შეუძლებელია, ეკონომიკაში რამდენიმე თვეში გაატარო პრინციპული ცვლილებები: **„ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ და გავაკეთებთ, რათა საქართველოში გაუმჯობესდეს საინვესტიციო კლიმატი. შემიძლია დავაფიქსირო, როგორ ვხვდები ბიზნესმენებს, როგორ ვსაუბრობთ... დღესაც მთხოვეს, დიდი კომპანია ჩამოდის და იქნებ 15 წუთით შეხვდეთო. დავოსში შევხვდი ამ თურქული კომპანიის წარმომადგენლებს, 300 მილიონს დებდა რომელიღაც პროექტში და ახლა უნდა, კიდევ 300 მილიონი დაამატოს. დავოსშივე შემპირდა, თქვენი მოსვლის შემდეგ, მინდა, გავაორმაგო ინვესტიციებიო. შევახსენებ მოსახლეობას, ეკონომიკასთან დაკავშირებით ახალი მთავრობის პოლიტიკის შედეგს მხოლოდ მეორე წელს ვიგრძნობთ, ხოლო მესამე წელიწადი უნდა იყოს კარგი. არ დაგიმალავთ, მეც განვიცდი — არ არსებობს ზუსტი პროგრამა, რომ აუცილებლად ასე მოხდება. ჩვენ დავაფუძნეთ თანაინვესტირების ფონდი და ამაზე ძალიან აქტიურად ვმუშაობთ — ვცდილობ, საინტერესო და ცნობილმა ბიზნესმენებმა მიიღონ მონაწილეობა მის ფორმირებაში, რისი საშუალებითაც, თავიდან, 3 მილიარდს გამოვაცხადებთ. ბიზნესს სჭირდება სტაბილური პოლიტიკურ-ეკონომიკური გარემო და მის უზრუნველსაყოფად ყველაფერს ვაკეთებთ. გვაქვს ძალიან დაბალი საგადასახადო კომპლექსური გადასახადები —16% და ამ მხრივ მეოთხე ადგილზეა საქართველო. ჩემი თხოვნით, სააკაშვილმა რამდენიმე ეკონომიკური სწორი ნაბიჯი გადადგა, მაგრამ მერე, თავად დაიწყეს ბიზნესის მართვა და ყველაფერმა ფასი დაკარგა. საქართველოს აქვს უნიკალური მდებარეობა, კლიმატი... 16% კომპლექსური გადასახადი, გარწმუნებთ, ძალიან ცოტაა და ამ მხრივ საქართველო ძალიან მიმზიდველია. ბევრია გასაკეთებელი, რადგან ჩვენი ბაზარი ევროპულივით არაა — აქ ყველა ნიშა არაა შევსებული. დიდი იმედი მაქვს, რომ საქართველოში ძალიან მალე უნდა დაიწყოს ეკონომიკური აღზევება, თუმცა მაინც ვფრთხილობ და ვშიშობ, რამეთუ გარეფაქტორებიც არსებობს, რომლებიც ჩვენზე არაა დამოკიდებული“.**

„კოალიციაში ანტაგონიზმი ნამდვილად არ არის“

როდემდე შეძლებენ პოლიტიკურ თანაცხოვრებას პარტიები, რომლებიც აქამდე ერთ მოედანზე არ „თამაშობდნენ“ და ზოგჯერ, ერთმანეთის მტრებადაც მოიაზრებოდნენ? როდემდე შეძლებს მათი ერთადერთი გამაერთიანებელი — ბიძინა ივანიშვილი მათ შეკავშირებას? როდის გაავლებენ ისინი ზღვარს საკუთარ იდეოლოგიებს შორის და, შესაბამისად, როდის დაიშლება კოალიცია? ან, საერთოდ, პოლიტიკური თვალსაზრისით, რამდენად მისასალმებელია, რომ ქვეყნის მმართველი ძალა, ისეთი „პოლიტიკური აჯაფსანდალია“, როგორიც კოალიციაა და მასში ერთმანეთის მიმართ „ანტაგონისტურად“ განწყობილი პარტიები არიან? „პოლიტიკური აჯაფსანდალი“ და „ანტაგონიზმი“ — პასუხის გაცემისას, ბიძინა ივანიშვილი ირაკლი მეტრეველს („ფრანს პრესი“) მხოლოდ ამ ეპითეტებში ვერ დაეთანხმა. თქვენს ადგილას, შედარებით რბილი ვიქნებოდი შეფასებებისასო, გულწრფელად უთხრა და ასევე გულწრფელად უპასუხა: **„გეთანხმებით, პარტია იდეოლოგიას უნდა ეყრდნობოდეს. საქართველოში ასეთი რამ არ არსებობდა და დღესაც, ამ მხრივ დიდი კითხვის ნიშანია, თუნდაც ჩემი მისამართითაც — მეც იდეოლოგიით არ მოვსულვარ იმიტომ, ჩამომეყალიბებინა პარტია, მეწარმოებინა პოლიტიკური ბრძოლა და თავი პოლიტიკოსად გამომეცხადებინა. მე მოვედი იძულებით, თავი ვალდებულად ჩავთვალე, რომ ქვეყნისთვის სამსახური გამეწია. ჩემი იდეოლოგია ისეთივეა, როგორიც საქართველოს ნებისმიერი მოქალაქისა — ქვეყანა უნდა იყოს თავისუფალი, დემოკრატიული და ევროპული ტიპის. თქვენი კითხვა ობიექტურია, მაგრამ მე ცოტა მსუბუქ სიტყვებს ვიხმარდი კოალიციასთან დაკავშირებით. ანტაგონიზმი ნამდვილად არ არის აქ, უბრალოდ, არსებობს განსხვავებული აზრი და ეს ნორმალურია. რეალურად, ამ 20 წლის განმავლობაში, პარტიებს იდეოლოგიურად ჩამოყალიბება-განვითარება არ ეწერათ. იდეოლოგიური პარტიებიც არსებობდნენ, მაგალითად „რესპუბლიკელები“, „ფორუმი“, მაგრამ ისინი საკმაოდ სუსტები იყვნენ. შეიძლება, უცნაური იყოს, რომ მოვუწოდებ პოლიტიკურ პარტიებს, განვითარდნენ და მეტად გააქტიურდნენ. შეიძლება ეს კითხვებს აჩენს და უხერხულობასაც იწვევს, მაგრამ ეს იმიტომ ხდება, რომ არ მივიჩნევ თავს პოლიტიკოსად და არც მომავალში ვაპირებ დიდ პოლიტიკურ ბრძოლას. მინდა, რაც შეიძლება სწრაფად დავბრუნდე საზოგადოებაში და საზოგადოებასთან ერთად დავეხმარო ჩვენს ქვეყანას განვითარებაში... გარწმუნებთ, არც „ფორუმსა“ და „რესპუბლიკელებს“ შორის და საერთოდ, კოალიციის შიგნით, არ არის ანტაგონიზმი. შეიძლება, პარტიებს არ ჰქონდათ დახვეწილი იდეოლოგია და არაა გამორიცხული, ამიტომაც გახდა უფრო მარტივი კოალიციის შედეგებება. არ მინდა, კოალიციის ის პარტიები გავაღიზიანო, ვისაც დიდი ისტორია აქვს, მაგრამ პარტიებს აკლდათ დახვეწა ქმედებაში. აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, კოალიცია შედგა და სანამ იქნება ძლიერი ოპოზიცია გარედან, კოალიცია შენარჩუნდება. თუ ძლიერი ოპოზიცია არ იქნება — დაიშლება“.**

პრემიერმა არც ის გამორიცხა, რომ კოალიციაში წარმოიშვას ოპოზიციური ძალა. მისი თქმით, თუ სუბორდინაცია იქნება დაცული, არც ეს შექმნის პრობლემას, თუმცა დღევანდელი გადასახედიდან, **„გუნდი აბსოლუტურად შეკრულია და ერთ აზრზე დგას“.**

სოსო ცისკარიშვილი: „ქვეყნის პრესტიჟისთვის ბევრად უკეთესი იქნება, თუ პრეზიდენტი გამოძიებასთან თანამშრომლობის სურვილს გამოთქვამს“



მედიასაშუალებების რედაქტორებთან პრემიერ-მინისტრის შეხვედრის შემდეგ შექმნილ შთაბეჭდილებებს ექსპერტთა კლუბის პრეზიდენტი სოსო ცისკარიშვილი გვიზიარებს.

— ბატონო სოსო, თქვენი აზრით, ამ შეხვედრაზე პრემიერის მთავარი გზავნილები საზოგადოებისთვის რა შეიძლება ყოფილიყო?

— ჩემი აზრით, საყურადღებო იყო პრემიერ-მინისტრის განწყობა, რომელმაც რამოდენიმეჯერ ახსენა, რომ ახალ მთავრობას თავის აწევისა და პრობლემათა უფრო ფართო წრის მიმართ ყურადღების მიქცევის წინაპირობა აქვს. რამოდენიმეჯერ გაუსვა ხაზი იმას, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები და კონსტიტუციურ ველში დაბრუნება გახდა საფუძველი, რათა პრეზიდენტს თუ არ მოსწონს მთავრობის საქმიანობა, შეუძლია, დაითხოვოს. მან რამოდენიმეჯერ შესთავაზა პრეზიდენტს, გადადგას ეს ნაბიჯი, თუ მას ახალი მთავრობა არ მოსწონს, თუ კრიტიკა საფუძვლიანია, მისი მხრიდან რაიმე ტიპის მოქმედებაში უნდა გამოიხატოს და იმის გათვალისწინებით, რომ პარლამენტი პრეზიდენტის შეთავაზებულ ახალ მთავრობას არ დაამტკიცებს, პარლამენტიც დაითხოვოს და ახალი საპარლამენტო არჩევნები დანიშნოს, მაგრამ საქმე ისაა, რომ ახალ არჩევნებზე საზოგადოების ვერდიქტი ნაცმოძრაობის მიმართ უფრო მკაცრი იქნება, ვიდრე გასული წლის პირველ ოქტომბერს იყო.

რედაქტორებთან შეხვედრაზე პრემიერს არ უსაუბრია არც ერთ ისეთ თემაზე, რომელზეც შეიძლება ითქვას — რა დროს ამაზე ლაპარაკია. ყველა თემა აქტუალური იყო, ვინაიდან პრემიერი მედიასაშუალებების მთავარ რედაქტორებს შეხვდა და მაგიდის ირგვლივ ვიხილე ამა თუ იმ მედიასაშუალების თავკაცები, მქონდა მოლოდინი, რომ ეს იყო საუკეთესო საშუალება, მათ პრემიერთან მედიის წინაშე მდგომ პრობლემებზე ღიად და გულწრფელად ესაუბრათ. არ გამოვრიცხავდი, ასეთი შეხვედრა დახურული ყოფილიყო. რეალურად, რედაქტორები და ჟურნალისტები ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდებიან. ისინი, ვინც მაგიდის ირგვლივ იჯდა, ქართული ჟურნალისტიკის ნაღებს წარმოადგენდნენ, კითხვებით აქტუალურ თემებს შეეხნენ, გულდასაწყვეტია, რომ თავიანთი რესურსი მედიის პრობლემებზე სასაუბროდ პრემიერთან შეხვედრაზე არ გამოიყენეს.

რაც შეეხება გზავნილებს, ჩემი აზრით, მთავარი მაინც პოლიტიკურ ოპონენტებთან ტოლერანტულად ქცევა და, ზოგადად, პოლიტიკურ ველში კონსტრუქციული ოპონირების აუცილებლობა იყო. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ აქტუალიზაცია იმ პრობლემისა, რასაც ცხოვრების ჯანმრთელი წესი ჰქვია. მე, როგორღაც 15 წლის წინ მივუსაჯე ჩემს თავს სიგარეტისთვის თავის დანებება და ამ სასჯელს პატიოსნად დღემდე ვასრულებ. მინდა, მოვუწოდო ყველას, მოიძიონ საკუთარ თავში ძალა და უარი თქვან მავნე ჩვევაზე, დაიცვან თავი და გარშემომყოფნი მავნე ჩვევისგან.

— იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანის განცხადებამ, რომ აგვისტოს ომთან დაკავშირებით, პრეზიდენტის დაკითხვას არ გამორიცხავდა, ოპოზიციურ სპექტრში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ივანიშვილმა ამ თემაზე განაცხადა — „აგვისტოს ომის გამოძიება არ დააზიანებს არც საქართველოს და არც პრეზიდენტის იმიჯს“. ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აგვისტოს ომის ახალი გამოძიება იმაზე კი არ იქნება ორიენტირებული, თუ ვინ დაიწყო ომი, არამედ იმაზე, რა შეცდომები დაუშვა საქართველოს ხელისუფლებამ 2008 წლის აგვისტოში?

— როგორც ვიცით, ასეთი გამოძიების აუცილებლობა წარმოჩინდა მას შემდეგ, რაც ჰააგის სასამართლოს პროკურორების მხრიდან გამოითქვა ინტერესი პრეზიდენტ სააკაშვილთან გასაუბრებისა და ასეთი ვალდებულება იუსტიციის სამინისტრომ იკისრა. ეჭვი არ მეპარება, ჩვენი ქვეყნის პრესტიჟისთვის ბევრად უკეთესი იქნება, თუ საქართველოს პრეზიდენტი გამოძიებასთან თანამშრომლობის სურვილს გამოთქვამს. კარგი იქნება, თუ თავად შეხვდება ქალბატონ წულუკიანს ან მის მიერ შერჩეულ პირებს და მოუთხრობს ყველაფერს, რისი თქმაც სურს. სასურველია, ეს იყოს სიმართლე. ამით უფრო შევინარჩუნებდით იმიჯს საერთაშორისო ასპარეზზე, ვიდრე ჩვენს პრეზიდენტს დაკითხავს რომელიმე პროკურორი ჰააგის სასამართლოდან. ქვეყნისთვის ეს უფრო სამარცხვინო იქნებოდა. არავისთვისაა კმაყოფილების მომგვრელი ის ფაქტი, რომ ქვეყნის პრეზიდენტი დაიკითხოს, მაგრამ თუ ამ მოთხოვნის მიმართ რეაქცია ისტერიული იქნება, ეს იმას მიანიშნებს, რომ პრეზიდენტს რაღაც დანაშაული აქვს ჩადენილი. მოდით, პრეზიდენტის დაკითხვის შესაძლებლობას ძალიან მშვიდად მოვეკიდოთ. სააკაშვილი არც პირველი და არც უკანასკნელი პრეზიდენტი იქნება, რომელიც გამოძიებასთან ითანამშრომლებს.

— შსს-სა და პროკურატურის მუშაობასთან დაკავშირებით, პრემიერმა განაცხადა, რომ ამ სტრუქტურების მიმართ მასაც აქვს კითხვები, „ძველი კადრების ერთბაშად გათავისუფლება ვერ ხერხდება, ეს პროცესი ეტაპობრივად განხორციელდება, მაგრამ იქვე დასძინა, რომ ვიდრე საზოგადოებაში უსამართლობის გრძნობა იქნება, ხელისუფლება სამართლიანობის აღდგენაზე იზრუნებს. თქვენი აზრით, საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ახალი ხელისუფლებიდან სამართლიანობის აღდგენას ელოდება, ადეკვატურად აღიქვამს ამ თემაზე პრემიერ-მინისტრის კიდევ ერთ შეგონებას?

— სრულიად გასაგებია რამოდენიმე მინიშნება, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული სამართლიანობის აღდგენასთან. არა მგონია, ვინმეს ეჭვი ეპარებოდეს იმაში, რომ სამართლიანობის აღდგენას უპირველეს ყოვლისა სჭირდება სამართლიანი სასამართლო. სწორედ ასეთი სასამართლოს ჩამოსაყალიბებლად გადადგა სერიოზული ნაბიჯები პარლამენტმა. სწორედ ეს გახლავთ მიზეზი, რომ საპარლამენტო უმცირესობა ვერა და ვერ მშვიდდება. უმცირესობა აპირებს ჩივილს იმის გამო, თითქოს ვენეციის კომისიის რეკომენდაციები არ შესრულებულა. სინამდვილეში, პარლამენტმა ვენეციის კომისიის ყველა კომპონენტი გაითვალისწინა. იუსტიციის საბჭოც სამართლებრივ საფუძველზე და არა რომელიმე პოლიტიკოსის ნება-სურვილის მიხედვით დაკომპლექტება.

ამიტომ თქმა იმისა, რომ პროკურატურა სასამართლოს გაპატიოსნებამდე ფეხს ითრევს, არასწორი იქნება. პროკურატურა ცდილობს, საზოგადოების ყურადღების ცენტრში დარჩეს, თუმცა ჯერჯერობით, პროკურატურას სატრაბახო არაფერი აქვს. პროკურატურის მხრიდან ნებისმიერი ხმაურიანი გამოძიება მხოლოდ კიდევ ერთი ფუჭი გასროლა იქნება. ვიდრე სასამართლო სანდო სისტემა არ გახდება, სამართლიანობის აღდგენაზე საუბარი ნაადრევია. სამართლიანი სასამართლოს პირობებში, პროკურატურამ უნდა დაადასტუროს თავისი პროფესიონალიზმი და მოქალაქეობრივი ღირსება.

— პრემიერმა ქართულ პოლიტიკაში მესამე პოლიტიკური ძალის გაჩენის სურვილი გამოთქვა და განაცხადა, რომ ამ თემაზე ირმა ინაშვილსა და სალომე ზურაბიშვილს ესაუბრა, იმავე თემაზე აქტიურობა ნინო ბურჯანაძესაც შეუთვალა. ასევე განაცხადა, რომ არანაირი სურვილი არ აქვს ნაცმოძრაობის განადგურებისა, მაგრამ უმცირესობის ლიდერები თავად ისე იქცევიან, რომ „ამ პარტიას კარგი პერსპექტივა არა აქვს“. თქვენი აზრით, არსებულ რეალობაში რამდენად დიდია პოლიტიკურ ასპარეზზე ძლიერი მესამე პოლიტიკური ძალის გამოჩენის ალბათობა იმ ადამიანების გააქტიურების შედეგად, ვისაც პრემიერი ესაუბრა? და კიდევ, რას შეიძლება ნიშნავდეს განსხვავებული პოლიტიკური ძალებისთვის მოწოდება გააქტიურებისკენ?

— პრემიერ-მინისტრმა ოპონენტებისა და სავარაუდო კონკურენტებისადმი პოლიტიკური ჰუმანიზმის არასტანდარტული მიდგომა გამოხატა. პრაქტიკულად, პოლიტიკურ ველში მათი გააქტიურება დალოცა. ძნელად თუ მოიძებნება მსოფლიო პოლიტიკის ისტორიაში მაგალითი, რომ ვინმე ასე ჰუმანურად ეპყრობოდეს ოპონენტებსა თუ სავარაუდო მოწინააღმდეგეებს. რაც შეეხება სამივე ქალბატონისთვის შეთავაზებას, არ გამოვრიცხავ, რომ ეს ხდებოდა მარტში, როცა ჩვენ ჯერ დედის დღეს, ხოლო შემდეგ ქალთა დღესასწაულს ვზეიმობთ. რასაკვირველია, ამას იუმორით ვამბობ, მაგრამ თავისთავად ის ფაქტი, რომ არსებობს კოალიცია, პრემიერი გამორიცხავს რაიმე ახალი სუბიექტებით მის გამდიდრებას, რადგან შიდაკოალიციური კოჰაბიტაცია არ არის სახარბიელო, თუმცა სიმყარე ამ კოალიციისა, ჯერჯერობით, ეჭვქვეშ არ დგას. მრავლად გვაქვს მაგალითი იმისა, თუ რამდენად დიდი მოტივაცია აქვს ივანიშვილს, პროცესებში მონაწილეობდნენ ისეთი ოპონენტები, რომლისთვისაც ისინი მიუღებელი და განსხვავებული აზრის მატარებელნი არიან.

როდესაც ექსპერტთა კლუბში მსგავს შეხვედრებს ჰქონდა ადგილი, ივანიშვილი სწორედ განსხვავებული აზრის მქონე ექსპერტების მონაწილეობას ითხოვდა დისკუსიებში. იგი ყოველთვის მზადაა, მოისმინოს განსხვავებული აზრი და შეაჯეროს თავის დიამეტრალურად განსხვავებულ ხედვას. როცა პოლიტიკური დისკუსია მრავლად იქნება პოლიტიკურ ველში ასეთი მესამე პოლიტიკური ძალა აუცილებლად გამოჩნდება. ცხადია, რომ ამგვარ მესამე პოლიტიკურ ძალას დანიშნავს არა ივანიშვილი, არამედ საქართველოს მოსახლეობა. ივანიშვილმა რამდენიც უნდა ისაუბროს გააქტიურებაზე, მხოლოდ ის პოლიტიკური ძალა შეძლებს მესამე ძალის როლის მორგებას, რომელიც ქართული საზოგადოებისთვის მისაღები იქნება.

— 19 აპრილისთვის ნაცმოძრაობის დაანონსებულ აქციასთან დაკავშირებით, პრემიერ-მინისტრმა იმ მოქალაქეებს, ვინც ნაცმოძრაობას მხარს არ უჭერს პროცესებზე დისტანციიდან, მაგრამ ტოლერანტურად თვალყურის დევნებისკენ მოუწოდა. პრემიერმა არც ის გამორიცხა, რომ პროვოკაციის ავტორებიცა და შემსრულებლებიც ნაცმოძრაობის აქტივისტები იქნებიან. როგორ აღიქვით პრემიერ-მინისტრის მოწოდება საზოგადოებისადმი?

— ბატონი პრემიერისგან ნებისმიერი სხვა ტიპის განცხადება, კრიტიკის საგანი უთუოდ იქნებოდა. მან საზოგადოებას თავშეკავებისკენ იმიტომაც მოუწოდა, რომ სახეზე გვაქვს ნაცმოძრაობის ნამსხვრევების მხრიდან ახალი ხელისუფლებისთვის ზიანის მუდმივად მიყენებისა და მოქმედი ხელისუფლებისთვის ყველაფრის გადაბრალების სურვილი. ყველაფერი ეს გვაფიქრებინებს, რომ მშვიდობიანი და „დავარცხნილი“ 19 აპრილის აქცია, ნაცმოძრაობის ინტერესებში არ შედის.

ერთია, არ უნდა მოხდეს საბაბის მიცემა იმისთვის, რომ ქუჩებში დაპირისპირება შედგეს, მეორე მხრივ, არც ის გამოდგება, რომ მოვიშველიოთ ანდაზა — მიუშვი გიჟი ნებასა, თვით შეეყრება სნებასა. ვგულისხმობ იმის აუცილებლობას, რომ პოლიცია სათანადოდ იყოს მობილიზებული და მზად პროვოკაციების თავიდან ასაცილებლად.

„ინტერპრესნიუსი“

ვერსიანიუსი

ქართველი მეწარმეები რუსეთის ბაზარზე ღვინის შეტანას ლოჯისტიკისა და დისტრიბუციის პრობლემების გამო ვერ ახერხებენ

ამის შესახებ რუსეთის მთავარმა სანიტარმა, გენადი ონიშენკომ რუსულ „ინტერფაქსს“ განუცხადა. მისი თქმით, ქართველი მეწარმეები ჯერაც ვერ ჩამოყალიბდნენ, ვინ უზრუნველყოფს გადაზიდვებს და ვინ – გავრცელებას. „როსპოტრებნადზორის“ ხელმძღვანელი, არ გამორიცხავს, თავად ეწვიოს საქართველოს, რათა პირადად გაეცნოს ღვინის ხარისხის კონტროლის ადგილობრივ სისტემას. ამასთან, მან ხაზი გაუსვა, რომ საქართველოში მისი ვიზიტი აპოლიტიკური იქნება.

ცოტა ხნის წინ ონიშენკომ რუსეთის ბაზარზე შესვლის ნება დართო „ქინძმარაულის მარანსა“ და „დუგლაძის ღვინის სახლს“. თუმცა, „როსპოტრებნადზორის“ ინპექტორებმა საქართველოში მეორე ვიზიტისას 12 ქართული საწარმო დაბლოკეს.

„ინტერპრესნიუსი“

13 აპრილს საქართველოს აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე ეწვევა

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე ტარა სონენშაინი 13 აპრილს საქართველოს ეწვევა. ინფორმაციას აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი ავრცელებს. სონენშაინის ვიზიტი საქართველოში 13-დან 16 აპრილის ჩათვლით გაიმართება. მის ფარგლებში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს შეხვდება და ფულბრაიტის პროგრამის გაფართოების შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმს მოაწერს ხელს.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, ტარა სონენშაინი ასევე შეხვდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს. მათთან აზრის გამოხატვის თავისუფლებასა და დამოუკიდებელი მედიის მნიშვნელობაზე ისაუბრებს. სახელმწიფო მდივნის მოადგილე ასევე გაესაუბრება ქალ-ჟურნალისტებს, მთავრობის მაღალჩინოსნებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს.

თბილისამდე ტარა სონენშაინი რუსეთისა და უკრაინის დედაქალაქებს ეწვევა.

„ინტერპრესნიუსი“

სპეციალური რეპორტაჟი ტრაბზონიდან

თვალებდათხრილი ღვთისმშობელი, სახეწაშლილი წმინდანები, წარწერებით აჭრელებული ფრესკები, დამახინჯებული ჯვრები და ღოცვისთვის დაწესებული გადასახადი მართლმადიდებლურ ტაძრებში

ლევან ხვედელიძე,
„ვერსიისთვის“ ავსტრიიდან

ყველა ხელისუფლების სენია პიარისთვის გარკვეული ნაბიჯების გადადგმა და არც ახალი ხელისუფლებაა ამ მხრივ გამონაკლისი. განსხვავებული, ივანიშვილის მთავრობა, არც ხალხის მაჯისცემაზე მიყურადებითაა — დღესაც ბევრ უსიამოვნო სიურპრიზს გვიმზადებენ ისე, რომ აზრს არ გვეკითხებიან. ასე მოხდა სომხებთან დაკავშირებით — კაცმა არ იცის, შარშან, სომხეთის პრეზიდენტის სტუმრობის შემდეგ, რა მოილაპარაკეს და რელიგიური სტატუსი რატომ მიეცათ მათ. არადა, სწორედ სომხები და ჩეჩნები იყვნენ, აგვისტოს ომის შემდეგ, რუსეთს უფლება რომ მისცეს, თავიანთ ტერიტორიებზე საქართველოს საზღვრებთან დაეყენებინათ C300 რაკეტები, რომლებიც შემდეგ ჩვენსკენ მომართეს. ახლახან, ლამის საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის არიეს ურთიერთობა.

არ იფიქროთ, რასიზმმა ან ქსენოფობიამ შემომიტია, ან რომელიმე ერის მიმართ მაქვს ბიოლოგიური სიძულვილი, ან საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების უფლებებს ვლახავ. სხვა თუ არაფერი, ქართველ კაცს, მეზობლის სიძულვილსა და არასათანადო სტუმარმასპინძლობაში ვერავინ დამდებს ბრალს, მაგრამ გადამეტებული არაფერი ვარგა და ეს მინდა, შევახსენო ჩვენ ხელისუფლებას.

არც ისე დიდი ხნის წინ, საქართველოს კულტურის სამინისტრომ აიღო ვალდებულება, ჩვენ ტერიტორიაზე სომხურ ძეგლებს რესტავრაცია ჩაუტარდეს. სამაგიეროდ კი, მიხედავენ თუ არა სომხები ქართულ ძეგლებს, არავინ იცის. „ვერსია“ ამ თემაზე უკვე წერდა. მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ სტატიის მომზადებისას, კულტურის მინისტრის მოადგილემ განგვიცხადა, არსად წერია, რომ ისინი ჩვენს სადავო ძეგლებს აღადგენენ, უბრალოდ, სიტყვაზე ვენდეთო.

„სიტყვაზე“ ნდობამ, მიზანმიმართულმა თუ უნებლიე გულუბრყვილობამ, დაუფიქრებლობამ, არაერთხელ გვაკბენინა სიმწრით მაჯაზე და თუ იმდენად ჭკვიანები არ ვართ, სხვის შეცდომებზე ვისწავლოთ რამე, საკუთარ შეცდომებს მაინც ხომ აღარ უნდა ვიმეორებდეთ?

ახლა რაბათის კომპლექსის გადაკეთება უნდათ, ვითომდა, თურქები ითხოვენო. შეიძლება ითხოვენ, მაგრამ უნდა დავუთმოთ? — ამ კითხვაზე ჩემი პასუხი მიკერძოებული და სუბიექტური რომ არ მოგეჩვენოთ, ერთ ფაქტს გიამბობთ, დასკვნები კი, თავად გააკეთეთ.

შარშან ტრაბზონში ვისვენებდი ოჯახთან ერთად და რომ იტყვიან, ჩამშხამდა. ისეთი შემზარავი ფაქტები ვნახე, მოსვენება და ყველაფრის ხალისი დავკარგე. ისე როგორ წამოვიდოდი — ორი მართლმადიდებლური ტაძარი მოვინახულე: აია სოფია და მონასტერი სუმელა, სადაც ძველი ქართული წარწერებიც აღმოვაჩინე. ჩემი ყურადღება მაშინვე მიიქცია აია სოფიას მთავარმა გუმბათმა, რომელზეც ჯვარია ჩამოხსნილი და მუსლიმანური მთვარე აქვს დადგმული. ცენტრალურ შესასვლელთან მათი რელიგიური დაფაა გაკრული, სადაც არაბულად ეწერა რაღაც და ვერც ვერავის მივაკვლიე, წარწერის შინაარსი რომ გადმოეცა. ძალიან განვიცადე, მაგრამ მთავარი საშინელება წინ მელოდა — ვანდალიზმის შემზარავი მაგალითი ტაძარში, ყველა ნაბიჯზეა: ფრესკების 80% განადგურებულია, ხოლო რაც შემორჩა, თვალები აქვს დათხრილი. ჯვრები ისეა დაჩიჩქნილი, ფორმა აქვს დაკარგული. ფრესკები წარწერებითაა აჭრელებული. როცა ტაძარში გადაღებულ ფოტოებს ვათვალიერებ, თავში ერთი კითხვა მიტრიალებს: ჩვენ მათთვის მეჩეთები უნდა ავაშენოთ ბათუმში, მათ კი, სამაგიერო ასე უნდა გადაგვიხადონ?

მართლმადიდებლურ ტაძარში შესვლა ფასიანია. სანამ მონასტერ სუმელაში ავედით, გახსნილი გზა შლაგბაუმით ჩაგვიკეტეს. ავტომობილზე ქართული ნომრები შეამჩნიეს თუ არა, 10 დოლარი რაში წაგვართვეს, არც ვიცი. მონასტერ სუმელაში შესვლის ფული ცალკე გადაგვახდევინეს. ჩვენი ტაძრებით ვაჭრობენ და ჩვენ უფლებაც არ გვაქვს, უფასოდ ვილოცოთ თურქეთში!

ვარძიისა და ჭოგნარიდან ეკლარის ქვას ჯერ ქუთაისში ამუშავებდნენ, შემდეგ აჩუქურთმებდნენ და მზა მასალას გზავნიდნენ რაბათის კომპლექსის დასასრულებლად. ახლა უნდა ვკითხოთ ვინმეს, რა როგორ გადავაკეთოთ?

„ვერსია“ გთავაზობთ ფოტომასალას, სადაც ნათლადაა ასახული, როგორი „პატივისცემით“ ეპყრობიან ჩვენს, მართლმადიდებლურ ტაძრებსა და ფრესკებს თურქეთში. ჩვენს მიერ დასმულ კითხვებზე, პასუხებს ალბათ თავად იპოვით. ხელისუფლება კი, იმედია, კარგად დაფიქრდება, სანამ გადაწყვეტს, რომელ მეზობელ ქვეყანასთან, რა დათმობებზე წავიდეს და რის ფასად.

ფოტორეპორტაჟის დასასრული მე-20 გვერდზე

თიბისი ბანკის იპოთეკური სესხი ლარში ყველაზე დაბალ პროცენტში: 10.75%-დან!

დაივიწყეთ ვალუტის კურსის მოულოდნელი ცვალებადობა! დღეიდან თიბისი ბანკი გთავაზობთ იპოთეკურ სესხს ლარში, თანაც ყველაზე დაბალი — 10.75% -იანი განაკვეთით.

თუ გსურთ ბინის, აგარაკის ან მიწის ნაკვეთის შეძენა, თიბისი ბანკის იპოთეკური სესხი ლარში სწორედ თქვენთვისაა. ეს არის სესხი, რომელსაც არ ახლავს არანაირი სავალუტო რისკი, აქვს ყველაზე დაბალი საპროცენტო განაკვეთი და არის ყველაზე მოსახერხებელი მათთვის, ვისაც შემოსავალი ეროვნულ ვალუტაში აქვს.

იპოთეკური სესხი ლარში არის თიბისი ბანკისა და ეროვნული ბანკის ერთობლივი პროდუქტი, რაც ამ სესხის საპროცენტო განაკვეთის სიმცირეს განაპირობებს.

კერძოდ, ამ ტიპის სესხის საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთისა და თიბისი ბანკის განაკვეთის ჯამის შესაბამისად.

ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთი ყოველთვიურად დგინდება. შესაბამისად, თიბისი ბანკის ლარის იპოთეკური სესხის საპროცენტო განაკვეთი შეიძლება შემცირდეს ან უმნიშვნელოდ გაიზარდოს, თუმცა ის, ზრდის შემთხვევაშიც, მკვეთრად დაბალი იქნება ბაზარზე არსებული იპოთეკური სესხების განაკვეთებთან მიმართებაში.

გახსოვდეთ, რომ თიბისი ბანკის იპოთეკური სესხი ლარში ყველაზე სტაბილური, იაფი და მოსახერხებელი სესხია ქართულ საბანკო სივრცეში!

ასე რომ, თქვენ აღარ ხართ დამოკიდებული ვალუტის კურსის არასასურველ ცვალებადობაზე, იხდით სესხს იმავე ვალუტაში, რომელშიც გაქვთ შემოსავალი და, რაც მთავარია, სარგებლობთ ყველაზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით.

10.75 პროცენტი 2013 წლის აპრილის თვისთვის სესხის საუკეთესო განაკვეთია! იჩქარეთ!

დედა 11 წლის გოგონას პორნოგრაფიული სურათებითა და ვიდეოფირებით ვაჭრობდა

შსს-მ არასრულწლოვანით ვაჭრობის ფაქტი გახსნა

2013 წლის თებერვლიდან შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლების მიერ, საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, მიმდინარეობდა გამოძიება არასრულწლოვანის გამოსახულების შემცველი პორნოგრაფიული ხასიათის სურათებისა და ვიდეოჩანაწერების უკანონო დამზადების, გავრცელებისა და გასაღების ფაქტზე.

გამოძიება პარალელურად მიმდინარეობდა ამერიკის შეერთებული შტატების, ისრაელისა და ავსტრალიის სპეცსამსახურების მიერ. ინფორმაციული უზრუნველყოფის მხრივ, გამოძიებას აქტიურად ეხმარებოდა აშშ-ს საელჩო საქართველოში და ინტერპოლის გენერალური სამდივნო.

სამთვიანი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და ქვეყნებს შორის კოორდინირებული მუშაობის შედეგად, სამართალდამცავი ორგანოებისთვის ცნობილი გახდა მსხვერპლისა და ბრალდებულების ვინაობა. გამოძიებამ დაადგინა, რომ მსხვერპლი არის საქართველოს მოქალაქე, 11 წლის მცირეწლოვანი გოგონა, რომელსაც 2 წლის განმავლობაში აიძულებდა დედა, მონაწილეობა მიეღო პორნოგრაფიული სურათებისა და ვიდეოფირების გადაღებაში. მცირეწლოვნის პორნოგრაფიულ მასალას ეს უკანასკნელი, მატერიალური გამორჩენის მიზნით, გარკვეული თანხის სანაცვლოდ, ყიდდა ქართული წარმოშობის ისრაელის მოქალაქე მამაკაცზე. აღნიშნული პიროვნება არაერთხელ იმყოფებოდა საქართველოში და თანამზრახველ დედასთან ერთად, მონაწილეობდა ფოტომასალის დამზადებაში. თავის მხრივ, იგი ისრაელში დაფიქსირებული IP მისამართიდან ტვირთავდა აღნიშნულ ფოტო და ვიდეომასალას სხვადასხვა ინტერნეტ-საიტზე და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ახდენდა მათ რეალიზაციას გარკვეული თანხის სანაცვლოდ.

სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, შეგროვდა უამრავი მტკიცებულება, რამაც უტყუარი გახადა დედისა და მისი თანამონაწილის ბრალეულობა. დანაშაულის სენსიტიურობიდან გამომდინარე და იმისთვის, რათა არ მომხდარიყო მტკიცებულებების განადგურება, დაუყოვნებლივ იქნა მიღებული ზომები, როგორც შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის, ასევე ისრაელის სამართალდამცავი ორგანოების მიერ და ორივე ქვეყანაში დაიგეგმა ბრალდებულების დაკავების ერთდროული ოპერაცია.

მიმდინარე წლის 8 აპრილს, საქართველოში დააკავეს მსხვერპლის დედა, საქართველოს 45 წლის მოქალაქე, ხოლო ისრაელში — ისრაელის მოქალაქე წარსულში ყაჩაღობისა და სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გაქცევისათვის ნასამართლევი, 42 წლის მამაკაცი.

არასრულწლოვნის დედა მოთავსებულია თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის წინასწარი დაკავების იზოლატორში და მის მიმართ მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1432-ე მუხლით, რაც გულისხმობს არასრულწლოვნით ვაჭრობას (ტრეფიკინგი). აღნიშნული დანაშაული 8-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება.

დაზარალებული 11 წლის გოგონა გადაყვანილია ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის თავშესაფარში. ამჟამად, რესოციალიზაციის მიზნით, მას გამოცდილი ფსიქოლოგების მიერ უტარდება სარეაბილიტაციო კურსი.

„ვერსიანიუსი“

14 აპრილი დედა ენის დღე!

ქართული მხოლოდ ენაა? — ქართული ქართველთ რწმენაა! — ამ სულისკვეთებით შეიკრიბა 1978 წლის 14 აპრილს, რუსთაველის გამზირზე, რამდენიმე ათასი ქართველი და საბჭოთა კავშირში პირველი მშვიდობიანი დემონსტრაცია გამართა. საბჭოთა ხელისუფლებისთვის მოულოდნელად, ეროვნული მუხტი იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ პროტესტმა შედეგი გამოიღო და ერთ მუშტად შეკრულმა საზოგადოებამ არ დაუშვა საბჭოთა კონსტიტუციის 78-ე მუხლში შეტანილი იმ ცვლილების დამტკიცება, რომლის მიხედვითაც, ქართული ენა სახელმწიფო ენის სტატუსს კარგავდა. ფაქტია, გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ეროვნული მოძრაობის აღმავლობას პირველი ბიძგი, სწორედაც რომ, 1978 წლის 14 აპრილმა მისცა. მაშინ ენის დაცვა, იმავდროულად, იყო ქართველთა მიერ საკუთარი იდენტურობის, იმ სახელმწიფოს დაცვა, რომელიც ჯერ კიდევ არ არსებობდა. გარდატეხა საბჭოთა სისტემით დათრგუნული საქართველოს მოქალაქეების ცნობიერებაში სწორედ 14 აპრილს მოხდა, 10 წლის შემდეგ, 1988 წლის ნოემბერში, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ლიდერობით, დაიწყო ეროვნული მოძრაობის პროცესი, რომელიც 1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენით დაგვირგვინდა. დღეს, სამოქალაქო თუ სამამულო ომგადატანილი, ტერიტორიებდაკარგული საქართველო, კვლავ დიდი არჩევანის წინაშე დგას და კვლავ გვიწევს, პოლიტიკური კონიუნქტურით დაკავებულ საზოგადოებას შევახსენოთ, რომ ილიას ნათქვამი „ენა, მამული, სარწმუნოება“ მხოლოდ ლოზუნგი არ არის და მხოლოდ დედა ენის მოფრთხილებით, წინაპართაგან შემონახული რწმენით შეგვიძლია დავიცვათ ხანდახან „ფურთხისღირსი“, მაგრამ მაინც ძალიან ძვირფასი სამშობლო.

ექსკლუზიურად „ვერსიაში“

ორი ლიბილი

მისმინე, ჯიმა!
რად უნდა ლექსებს წერა...
ჩაეარა სიტყვები გონების საცერში,
გაიღიმა და ლექსი ჩამოცრა...
ჩამოცრილს ცოტა თოვლიც ჩამოჰყვა,
თბილი, თბილი, როგორც ბებიის მზერა...
მეც გამეღიმა...

2012, მარტი

წასვლა

ნამჯის კალთაზე გავითიბე,
მზე იყო თბილი.
მშვიდი მდუმარებით დღე ჰგავდა ქარვას,
დამედო სუნი ნედლი ბალახის და
მსურდა ჯვრისწერა...
მოვარდა ქარი, დედოფალი,
ცალება მუქარით,
ნამჯა ჩამოშალა და
უკვალოდ გაქრა.
დიდხანს ამაოდ ვისრესდი თვალებს,
ცრუ მოლოდინში ქარვა დღეც ჩაქრა.
გაავდრდება!
გონებამ ინება...
ჯერ არ მოსული ავდარი კი,
როგორც ოკეანის თბილი დინება,
ჩემს ფიქრებს ერთვის...
იმ დინებაში ისრჩობოდა სუნი ბალახის...
უნდა წახვიდე!
ეს თურმე მე ვთქვი,
არა ხმამაღლა, არამედ ფიქრით,
წამოვდექი და წავედი კიდეც,
აქეთ კი არა,
იქით და იქით.

2012, მარტი

დამპირდი

რამდენი რამე ვისწავლე,
რამდენი გადამავიწყდა,
სუნთქვა რამდენჯერ შემეკრა,
რამდენჯერ აზრი გამიწყდა,
შემომიტია ცხოვრებამ,
გამიავდარა ფიქრები,
მე კი დაგტოვებ სამშობლოვ,
დამპირდი, რომ შენ იქნები...

2013, მარტი

არაგვთან

ღამე — სარეცელი დღის,
მთვარის შუქით ქსოვდა ძილს,
ლამის ფიქრიც მიამინა,
არაგვი კი — რბის და რბის...

2013, აპრილი

იბეჭდება პირველად

თემურ ჭკუასელის ლექსები



"ვერსია" ქართული ენის დღეს არაორდინალურად აღნიშნავს და იმ კაცის სულის ნაწილს გაზიარებთ, საკუთარ თავს რომ ყიღბლოს ყწოდებს, სინამდვილეში კი ერთ-ერთი ყველაზე იღბლიანი ქართველია. იღბლიანია, რადგან ყფალმა ყბოძა ყდიდესი ნიჭი, სიმღერით გაეთბო მიწა, სიტყვით მოფერებოდა სამშობლოს და, დღეს ყკვე როგორკ პოლიტიკოსსს, შეყძლია, იმ პაცარა სამოთხეს, ქართველები გყრიას რომ ყწოდებენ, მამყლიშვილის ხელი დაკცყოს.

"ვერსიის" (და არამხოლოდ) ყსაყვარლესი რესპოდენტი, ყყრნალისტი, ლეგენდარყული "ქართული ხმების" ერთ-ერთი დამაარსებელი, მწერალი, სკენარისტი და დღეს ყკვე პარლამენტის წევრი, ჩოხატაყრის მაჟორიტარი დეპყტატი, თემურ ჭკუასელი, ჩვენი დაჟინებული თხოვნით, საკუთარ ლექსებს ექსკლყზიყრად გთავაზობთ.

ბედისწერა

ო, როგორი გაიძვერა,
გახდა ჩემი ბედისწერა...
მე თვალებში ჩავხედე და
თვითონ ამარიდა მზერა.

2013, მარტი

დღეს ხედავ

მაჩუქეთ რამე! მაჩუქეთ რამე!
ან საღამო და ანდა ის ღამე,
ჩასაფრებული, როგორც მუდარა...
რადგან სულ მალე! რადგან სულ მალე!
წერტილის დასმას ლამობს სუდარა...
ჰოდა, ამიტომ მაჩუქეთ რამე!
თუნდაც საღამოს ბუნდოვანება,
ან დავანება ღამის ქარიზმის,
სურვილს იმ გზაზე სხვა რა უნდა რა,
მაჩუქეთ რამე! მიბოძეთ რამე!
დათმეთ ნაგლეჯი იმ სავალი გზის,
სადაც უაზროდ ჩახოცილა
გზააბნეული, ჩემული ამბიციები.
ინვალიდების ეავარჯნებად გადამექცა
მხნე სურვილები
და ამიტომაც მაჩუქეთ რამე!
შემომაჩეჩეთ ოღონდაც რამე,
თუნდაც ის ღამე —
ზეცაზე მხოლოდ კენტი მთიებით.
ვხედავ სისხლისგან როგორ იცლება
გორდიას კვანძი,
ბასრი სურვილით გადაჭრილი
ბოლომდე ლამის,
როგორც მალამო, მოდის საღამო,
ვით შვების განძი.
და მერე მისი მრავალწერტილი,
ლოდინი ღამის...
მაჩუქეთ რამე! მიბოძეთ რამე!
ნუ დაიზარებთ, შემოჰკრათ ზარებს!
არ ესინჯებათ ბედაურებს აღარც მაჯა და
აღარც კბილები...
და ამიტომაც მაჩუქეთ რამე!
მიბოძეთ რამე!
თუნდაც საღამო და მერე ღამე,
ეს იდუმალი და ალალი ბიძაშვილები.
როცა დადგება ეალეზე მთიები,
გაჭაღარავდნენ, როცა იები
და როცა ღამის ისმის სიმღერა —
ზამთარიაო, ჰეეე და...
მე მაშინ ვხედავ! მე მაშინ ვბედავ!
ისევ გათოშილ სურვილებს ვათბობ
და კიდევ ერთხელ ჩურჩულით არ ვთმობ,
მაჩუქეთ რამე! მიბოძეთ რამე!
ან საღამო და ანდა ის ღამე,
ჩასაფრებული, როგორც მუდარა...
დრო კი არ იცდის! დრო კი არ იცდის!
მალე, სულ მალე,
წერტილს დასვამს
ლურჯი სუდარა.

2013, 4 აპრილი

რა ხდება?!

პაძლენი ყზნეოა და პაძლენი თანლეჭყლი,
ქეძოეგპჩა სყლ პალაც ცხპა ყაცი...
ლაღალეს ცხოგპეჭა და ძხაპზე ეაძეჭყლი
საძქოჭლო, ძიაქვთ საყაცით.

2012, აპრილი

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

გამომცემლები და სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორები სასამართლოში იჩივლებენ

დიმიტრი შაშკინის რომელი ბრძანების საფუძველზე „მოიპარა“ გიორგი მარგველაშვილმა დასაბეჭდად გამზადებული წიგნების ელექტრონული ვერსიები?

განათლების მინისტრმა, გიორგი მარგველაშვილმა სკოლის მოსწავლეებსა და მშობლებს აუწყა — 2013-2014 წელს სასკოლო სახელმძღვანელოები მოსწავლეებს უფასოდ დაურიგდებათ, გამომცემლობებს კი მილიონ ლარს მივცემთ, რაც საკმარისი იქნებაო. ამ ინფორმაციამ არაერთი მშობელი თუ მოსწავლე გაახარა, მათ შორის ისინი, ვისაც სასკოლო სახელმძღვანელოების ყიდვის პრობლემა არ აქვს. სამაგიეროდ, არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ის გამომცემლები, ვინც წლების განმავლობაში მომგებიან პოზიციაში იყო და საკმაოდ სარფიანი ბიზნესით გამდიდრდა. გამომცემლობები, სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორებთან ერთად, განათლების მინისტრის ინიციატივას უპირისპირდებიან და აცხადებენ, რომ ეს მათი უფლებების დარღვევაა და თუ პრობლემა სამინისტროსთან მოლაპარაკებით არ მოგვარდა, სასამართლოში იჩივლებენ.

გამომცემლობა „დიოგენეს“ დირექტორი **თამარ ლეგანიძე** აცხადებს: **„წიგნის გამომცემლებსა და ავტორებს ერთიანი პოზიცია გვაქვს. გვსურს, განათლების სამინისტრომ გადახედოს თავის გადაწყვეტილებას, რომელიც აზარალებს ბიზნესს, ინტელექტუალური საკუთრების ხელშეუხებლობის უფლებას შელახავს და მკვეთრად გააუარესებს სწავლებისა და სახელმძღვანელოების ხარისხს. გვინდა, შევხვდეთ განათლების მინისტრსა და პრემიერს, რათა ბიზნესისა და ფინანსურ ჭრილში განვიხილოთ ეს პრობლემა. სამწუხაროდ, საზოგადოებაში თესავენ აზრს, თითქოს ჩვენ ვეწინააღმდეგებით კონსტიტუციით მინიჭებულ უფასო განათლების უფლებას. დაიწყო საუბარი იმაზე, რომ შეიქმნას ერთი სახელმწიფო გამომცემლობა და ერთი წიგნი, ხარისხი კი კონკურენციის გარეშე ვერ იქნება. აუცილებლად შევატყობინებთ საერთაშორისო საზოგადოებას, რა გაუგებრობას აქვს ადგილი ამ კუთხით საქართველოში“.**

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის თავმჯდომარე **თინათინ მამულაშვილი** იმ სქემას შიფრავს, რის მიხედვითაც განათლების სამინისტრომ გამომცემლებისა და ავტორების უკითხავად, წიგნების ელექტრონული ვერსიები სტამბებს გადასცა: **„დღეს მივიღეთ ოფიციალური წერილი განათლების სამინისტროდან, სადაც წერია, რომ აპირებენ, აამოქმედონ გრიფირების წესის მე-10 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, შეუძლიათ, გამომცემლებისა და ავტორების შექმნილი სახელმძღვანელოები მესამე პირებს გადასცენ. რაც შეეხება იმას, როგორ მოხვდა ავტორების წიგნები განათლების სამინისტროს ხელში: ეს დაიწყო 2 წლის წინ, როცა შემოიღეს გრიფირების ახალი წესი და ამ წესის თანახმად, სახელმძღვანელოების ავტორებსა და გამომცემლებს, კონკურსში მონაწილეობისთვის, უნდა წარედგინათ სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსიები ანუ ფაილები, რომლებსაც დასაბეჭდად გამოიყენებდნენ. დიმიტრი შაშკინმა გვითხრა, რომ ამ ფაილებს გამოიყენებდნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამომცემლობები ვერ მოასწრებდნენ სასწავლო წლის დასაწყისისთვის სახელმძღვანელოების დროულად დაბეჭდვას. სამწუხაროდ,სამინისტრო ამ ფაილების გამოყენებას აპირებს, რომელიც გრიფირების დროს მოიპოვა.**

გამომცემლებმა დავსახეთ ერთიანი სტრატეგია, რათა ავტორთა და გამომცემელთა ქონებრივი უფლებები არ აღმოჩნდეს მესამე პირების ხელში და არ დაირღვეს საავტორო უფლებები. ეს დიდ დარტყმას მიაყენებს საგამომცემლო სახლებს, რომლებიც საკმაოდ სწრაფად განვითარდა საქართველოში და ლიდერია ამ სფეროში მთელ რეგიონში.

ჩვენი ინფორმაციით, წიგნები, რომლებიც წლების განმავლობაში შექმნეს გამომცემლებმა და ავტორებმა, დასაბეჭდად გადაეცემა გარკვეული პრინციპით შერჩეულ 4 სტამბას, რომელთაც აიძულებენ, დაბალ ფასად დაბეჭდონ სახელმძღვანელოები... ეს სტამბები წაგებაზე იმუშავებს და არ გამოვრიცხავთ, საქმე სასამართლომდე მივიდეს“.

გამომცემლობა „ტრიასის“ ხელმძღვანელი **ელიზბარ არსენიშვილი** აცხადებს, რომ განათლების სამინისტრო უხეშად არღვევს ავტორთა და გამომცემელთა უფლებებს. **„ერთპიროვნული გადაწყვეტილებით, სასკოლო სახელმძღვანელოები ჩამოგვართვეს. სახელმძღვანელოების უფასოდ დარიგება ერთი მხრივ კია კარგი, მაგრამ მეორე მხრივ, ავტორებისა და გამომცემლების გვერდის ავლით გადასცემენ ჩვენს ნაშრომს მესამე პირს“.**

გამომცემლობა „ინტელექტის“ ხელმძღვანელი **ახმეგ კუდავა** მიიჩნევს, რომ განათლების სამინისტროს სურს, მიზერულ ფასად ჩაიგდოს ხელში სასკოლო სახელმძღვანელოები:

> **„განათლების მინისტრი ამბობს, რომ სამინისტრო 1 მილიონ ლარს გადასცემს გამომცემლობებს, თან 4 მილიონ წიგს ბეჭდავენ და გამოდის, ერთ ეგზემპლარში 25 თეთრს იხდიან, ავტორი კი ერთ ეგზემპლარში 1 თეთრს აიღებს. ეს არის ჩვენი ინტელექტუალური საკუთრების, ავტორებისა და გამომცემლების დაცინვა. არავინაა წინააღმდეგი, ბავშვებს წიგნები უფასოდ დაურიგდეს, მაგრამ საჩუქარი შეიძლება მისცე მხოლოდ საკუთარი ჯიბიდან, წართმეულის გაჩუქება არაკეთილშობილური საქციელია. სარჩელი უკვე მზადდება და სასამართლოში შევიტანთ. სტამბების ხელმძღვანელები ამბობენ, რომ აიძულებენ, სახელმძღვანელოები 1,80 თეთრად დაბეჭდონ, რაც შეუძლებელია. ჩვენ ვემზადებოდით სეზონისთვის, 80 ტონა ქაღალდი გვიდევს სტამბაში, მაგრამ ახლა პროცესები სხვანაირად წავიდა და 5 სტამბა უკვე დაიკეტა“.**

გამომცემლობა „ლოგოს პრესის“ დამფუძნებელი **ლაშა ბერაია** კი ამბობს, რომ ავტორები 20-ჯერ ნაკლებ თანხას მიღებენ. ამ ფონზე, დიდი ალბათობაა, წიგნის ავტორებმა უარი თქვან მუშაობაზე: **„არსებობს ასეთი განმარტება გრიფირების წესში — აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, სამინისტროს აქვს უფლება, შეზღუდოს ჩვენი კერძო საკუთრება და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს გადასცეს სახელმძღვანელოები. ეს მუხლი შემოიღეს შაშკინის დროს... დარწმუნებული ვარ, სასამართლოს მოვიგებთ. ხელისუფლება 15 მილიონი ლარის ეკონომიას სწევს ჩვენს ხარჯზე. თუ სახელმძღვანელოები ერთმა ავტორმა და ერთმა გამომცემელმა დაბეჭდა, სწრაფად დაეცემა ხარისხი. ეს საბჭოთა სისტემაში დაბრუნების ტენდენციაა და აღარც სერიოზული ავტორები ითანამშრომლებენ ჩვენთან. მოგვიწევს, ნაკლებადცნობილი ავტორების პოვნა, რაც მკვეთრად დაწევს სასკოლო სახელმძღვანელოებისა და სკოლებში სწავლების ხარისხს“.**

გამომცემელი ლაშა ბერაია წიგნების წონის პრობლემას მასზე დაბალი ფასით ხსნის: **„სახელმძღვანელოების წონის პრობლემა ვერ მოგვარდა გარკვეული მიზეზების გამო, არსებობდა საგნობრივი პროგრამები, რომელიც საჭიროებს მასალის გარკვეული მოცულობით დაფარვას. ეს იწვევდა იმას, რომ წიგნი 200-400-გვერდიანი ყოფილიყო. გვინდოდა წიგნების ტომებად დაყოფაც, მაგრამ ეს არ გამოვიდა, რადგან ფასი ძვირდებოდა. ამაზე თანახმა არავინ იყო“.**

განათლების სამინისტროს მიერ უფლებების დარღვევებზე საუბრობენ სახელმძღვანელოების ავტორებიც. მათემატიკის პირველი-მეთორმეტე კლასების სახელმძღვანელოების ავტორს, პროფესორ **თეიმურაზ ვეფხვაძეს** ის ფაქტი კი მოსწონს, რომ ბავშვებს წიგნები უფასოდ ექნებათ, მაგრამ აპროტესტებს, რომ მისი საავტორო უფლება ირღვევა: **„უმჯობესი იყო, შეგვთანხმებოდნენ. ჩემი ძირითადი საქმიანობა ლექციების კითხვა და სამეცნიერო მუშაობაა, მაგრამ ღამეები შეიძლება გავათენო, რომ სახელმძღვანელო დავწერო. ეს ანაზღაურება მეხმარებოდა, დამატებითი შემოსავალი იყო, ახლა კი მეუბნებიან, შემოსავალი 20-40-ჯერ ნაკლები იქნებაო. გამომცემლობები ძალიან ცუდ დღეში არიან. ისინი დაიხურებიან და მხატვრულ ლიტერატურასაც ვეღარ გამოსცემენ“.**

გამომცემლობა „დიოგენეს“ ისტორიის სახელმძღვანელოს ავტორთა ჯგუფის წარმომადგენელი **ბესიკ ლორთქიფანიძე**: **„გამომცემლობებთან საავტორო უფლების ხელშეკრულება გვაქვს გაფორმებული და დაბეჭდილი სახელმძღვანელოების თანხის 15-20 % გვეკუთვნის. ამიერიდან, საუკეთესო 10 000-იანი ტირაჟის შემთხვევაში, ავტორები მიიღებენ 360 ლარს. სახელმძღვანელოებს კი მინიმუმ, სამი ავტორი ჰყავს. ანუ თითოეული ავტორი წელიწადში 120 ლარს აიღებს. თვეში 10 ლარად ჩვენი შრომის ანაზღაურება, რბილად რომ ვთქვათ, დაცინვაა. მაინტერესებს, განათლების სამინისტროს, აწყობს ისეთი ავტორები, თვეში 10 ლარს რომ აიღებენ? ან თვითონ თუ იმუშავებენ თვეში 10 ლარად? განათლების ხარისხზე ეს ცუდად აისახება. კონკურენციის გარეშე ხომ არ არსებობს ხარისხიანი სახელმძღვანელოები“.**

ვერსიანიუსი

იშხანზე სამუშაოების ნაწილი დროებით შეჩერებულია

ამ ინფორმაციას ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი ბუბა კუდავა ავრცელებს. მისი თქმით, ამჯერად, ტაძრიდან გამოტანილი და გარეთ დაყრილი მიწის მასის ერთგვარი გადარჩევა (კერამიკის ფრაგმენტებისა და ქვების გამორჩევა) მიმდინარეობს: **„პრობლემა ისაა, რომ ეს სამუშაოებიც სპეციალისტების ზედამხედველობის გარეშე მიმდინარეობს. ჩანს, მუშებს ვიღაცამ აუხსნა, რა უნდა გაკეთდეს და ისინი ასრულებენ“.**

კუდავას განცხადებით, ყველაზე დიდი პრობლემაა, რომ იატაკის დადაბლების სამუშაოები აღარ ხორციელდება, თუმცა დიდ მონაკვეთზე მიწის მასა მოხსნილი და გამოტანილია. კუდავამ აღნიშნა, რომ გარე პერიმეტრზე იყრებოდა ტაძრიდან გამოტანილი მასა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ თურქეთის სახელმწიფოს მიმართა, რომ იშხანში სარესტავრაციო სამუშაოებში ქართველი სპეციალისტები ჩაერთონ. ცნობილია, რომ ტაძრის დასავლეთის მკლავთან დიდი ოდენობის მიწაა მოხსნილი და გამოტანილი.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელის, მერაბ ბოჭოიძის განცხადებით, იშხნის ტაძრის დასუფთავებისას აღმოჩენილ დეკორატიულ იატაკს დაზიანება ემუქრება: **„რთული თემაა, ვინაიდან საქმე ეხება სხვა ქვეყანაში არსებულ ტაძარს. იშხნის გაწმენდითი სამუშაოები ზედამხედველობის გარეშე ისეთი რთული პრობლემების წინაშე დადგომას იწვევს, რაც უკვე ვნახეთ. დანაკარგი დიდია. გაწმენდითი სამუშაოების დროს გამოჩნდა დეკორატიულ-ფერადოვანი იატაკი, რომელსაც დაყრილი მიწა იცავდა, ახლა კი ეს იატაკი მექანიკური და ატმოსფერული დაზიანების წინაშე დადგა, რაც ამ დასუფთავებითი სამუშაოებითაა გამოწვეული. იქაც ალბათ, დასუფთავების სამუშაოები ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ დაიწყო. ტენდერში კი ის იმარჯვებს, ვინც იაფად შეასრულებს ამ სამუშაოებს. როგორც კი დეკორატიული იატაკი გამოჩნდა, ეს სამუშაოები უნდა შეჩერებულიყო“.**

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ძეგლთა ატრიბუციის სამსახურის უფროსმა, გიორგი გაგოშიძემ გამოთქვა ვარაუდი, რომ იშხნის მონასტერში არსებული ფრესკების ნაწილები მიწასთან ერთად გაიტანეს: **„იშხანი მრავალფენიანი ძეგლია. მე-7 საუკუნეში აშენდა და ამის შემდეგ იგი რამდენჯერმე აიგო თავიდან, რაც ფრთხილ მიდგომას საჭიროებს. იქ მოზაიკის იატაკის აღმოჩენა სრულიად მოულოდნელი იყო; ამგვარი ფრაგმენტი ბაგრატის ტაძარშიცაა, მაგრამ პრობლემა მხოლოდ ეს არაა — ტაძრის კედლები შემკული იყო X-XV საუკუნეებში შესრულებული ფრესკებით, ეს იყო ტაო-კლარჯელი ბაგრატიონების ფრესკები, რომელთა ნამსხვრევები ტაძარში, მიწაში იქნებოდა ჩამარხული, ეს მასები კი, სავარაუდოდ, მიწასთან ერთად გაიტანეს. სამუშაოები სპეციალისტების ზედამხედველობით რომ შესრულებულიყო, ამ ფრესკების ნაწილი გადარჩებოდა“.**

„ვერსიანიუსი“

„60 წელი შევწირე ამ თეატრს და მიუხედავად ასაკისა, გაჩერებას არ ვაპირებ!“

ნათია ვასაძე
555-98-61-65

14 აპრილს, მოზარდმაყურებელთა თეატრის წინ, რეზო თავართქილაძეს ვარსკვლავს გაუხსნიან

სახალხო არტისტი, სახელმწიფო და კოტე მარჯანიშვილის პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენის მფლობელი — ეს მსახიობ რეზო თავართქილაძის ჯილდოების არასრული ჩამონათვალია. 60 წელია, მოზარდმაყურებელთა თეატრს „ემსახურება“. პარალელურად, სხვადასხვა თეატრებშიც მოღვაწეობს. სცენაზე შესრულებული აქვს 135-მდე როლი, გადაღებულია 10 მხატვრულ ფილმში. იყო საქართველოს რადიოკომიტეტის დიქტორი, არაერთი ტელეგადაცემის წამყვანი, რადიოსპექტაკლების მონაწილე.

გავიგე თუ არა, მოზარდმაყურებელთა თეატრის წინ რეზო თავართქილაძის ვარსკვლავი იხსნებაო, მსახიობთან შეხვედრა და ინტერვიუს ჩაწერა გადავწყვიტე. მიუხედავად იმისა, რომ კარგად ვიცი, მისი ინტერვიუებით ქართული პრესა განებივრებული არ არის და თავადაც არაერთხელ გაუსტუმრებივარ თავაზიანი უარით, ვცადე და მსახიობს კიდევ ერთხელ დავურეკე. ისევ უარის თქმა დააპირა: მეუხერხულება საკუთარ თავზე საუბარი, თავის ქებას ხომ არ დავიწყებ... ყვირილი და ტრაბახი ვისაც სჭირდება, იმან იყვიროს, მე უხმაუროდ მიყვარს საქმის კეთებაო. ჰოდა, სხვებმა იტრაბახონ, ბატონო რეზო და ჩვენ საქმეზე ვისაუბროთ-მეთქი — შევთავაზე ნახევრად ხუმრობით. ცოტა კი იყოყმანა, მაგრამ ბოლოს მითხრა, თეატრში მობრძანდით და იცოდეთ, მრავალწლიან ტრადიციას ვარღვევ — აღარც კი მახსოვს, ჩემი ინტერვიუ პრესაში ბოლოს როდის დაიბეჭდაო. უზომოდ გახარებული, ნახევარ საათში მოზარდ მაყურებელთა თეატრში გავჩნდი. ბატონი რეზო საგრიმიოროში დამხვდა. ერთი შეხედვითვე ჩანს — გულთბილი და თავმდაბალია. საუბარი ბავშვობის გახსენებით დავიწყეთ.

— ისეთ გარემოცვაში გავიზარდე, შეუძლებელი იყო, ამას ჩემი პროფესიის არჩევაზე გავლენა არ მოეხდინა. მამა ხელოვანი იყო — აზერბაიჯანში მოღვაწეობდა და ქართული თეატრი დააარსა ბაქოში. მეც იქ დავიბადე. საქართველოში 1933 წელს ჩამოვედით. ოთხი წლისა უკვე მასთან ერთად დავდიოდი თეატრში, რეპეტიციებსა და სპექტაკლებს ვესწრებოდი. ამ ასაკში უკვე დანამდვილებით ვიცოდი, რომ ყველაზე მეტად მსახიობობა მინდოდა. მოგვიანებით, პიონერთა სასახლეში, „დრამატულ წრეზე“ შევედი, სადაც არაჩვეულებრივი პედაგოგები, რუსთაველის თეატრის მსახიობები — ვახტანგ სულაქველიძე და ნოდარ ჩხეიძე მასწავლიდნენ. მათ განმიმტკიცეს რწმენა, რომ აუცილებლად სამსახიობოზე უნდა ჩამებარებინა. 1949 წელს ჩავაბარე გამოცდები და თეატრალურ ინსტიტუტში ჩავირიცხე.

— აქაც გაგიმართლათ, მაღალი რანგის პედაგოგები გასწავლიდნენ.

— მართლაც, უზარმაზარი სკოლა გავიარე. თეატრალურ ინსტიტუტში ჩემი პირველი პედაგოგი გახლდათ ქართული ხელოვნების ქალღმერთი, უბრწყინვალესი ქალბატონი ლილი იოსელიანი, ბოლო ორი წელი კი ჩვენი ჯგუფი მიხეილ თუმანიშვილმა ჩაიბარა. შეუძლებელია, არ გავიხსენო ჩემი მართლმეტყველების პედაგოგი, ქალბატონი მალიკო მრევლიშვილი. აი, ამ სამმა ადამიანმა გადაწყვიტა ჩემი ბედი ქართულ თეატრში. მათგან მხოლოდ ქალბატონი ლილია ცოცხალი და თუ რამე გამიჭირდება, დღემდე მასთან გავრბივარ რჩევისთვის. ისიც დედასავით მარიგებს და მანუგეშებს.

— ინსტიტუტის დასრულების შემდეგ, თეატრის ნაცვლად, რადიოში როგორ აღმოჩნდით?

— ცოტა კურიოზული ამბავია. სადიპლომო სპექტაკლზე რუსეთიდან კულტურის მოღვაწეები, რეჟისორები და მსახიობები გვესწრებოდნენ. სპექტაკლის ნახვის შემდეგ, ტამბოვის თეატრის ხელმძღვანელმა სურვილი გამოთქვა, ჩვენი ჯგუფი თავის თეატრში წაეყვანა. მაცდური შემოთავაზება იყო — რუსულს გვასწავლიდნენ, ბინით დაგვაკმაყოფილებდნენ და დამატებით სამსახურსაც გვიშოვიდნენ... მიუხედავად ამისა, არც ერთი ჩვენგანი არ დათანხმდა. ტამბოვის თეატრის ხელმძღვანელს მოსკოვშიც დაურეკავს და უთხოვია, საქართველოდან მსახიობების წამოყვანაში დაგვეხმარეთო. მოსკოვიდან ბრძანება მოვიდა, წელს უმაღლესდამთავრებული მსახიობები თუ ტამბოვში არ წავლენ, არც ერთ თეატრში არ გააფორმოთო. აკაკი ხორავამ გვითხრა: ცოტაც მოიცადეთ, მიწყნარდეს ეს ამბავი და მერე გაგანაწილებთ თეატრებშიო. ასე დავრჩით თეატრსმიღმა.

ტამბოვის თეატრის ხელმძღვანელმა სურვილი გამოთქვა, ჩვენი ჯგუფი თავის თეატრში წაეყვანა. მაცდური შემოთავაზება იყო — რუსულს გვასწავლიდნენ, ბინით დაგვაკმაყოფილებდნენ და დამატებით სამსახურსაც გვიშოვიდნენ... მიუხედავად ამისა, არც ერთი ჩვენგანი არ დათანხმდა. ტამბოვის თეატრის ხელმძღვანელს მოსკოვშიც დაურეკავს და უთხოვია, საქართველოდან მსახიობების წამოყვანაში დაგვეხმარეთო. მოსკოვიდან ბრძანება მოვიდა, წელს უმაღლესდამთავრებული მსახიობები თუ ტამბოვში არ წავლენ, არც ერთ თეატრში არ გააფორმოთო. აკაკი ხორავამ გვითხრა: ცოტაც მოიცადეთ, მიწყნარდეს ეს ამბავი და მერე გაგანაწილებთ თეატრებშიო. ასე დავრჩით თეატრსმიღმა.

ამასობაში, ჩემი ზოგი ჯგუფელი ფოტოგრაფიაში წავიდა, ზოგმა ოპერატორობა ისწავლა... ჩემს გარდა, მხოლოდ ორმა გააგრძელა სამსახიობო მოღვაწეობა — დალი მაცაბერიძემ და გულნაზი ბაქრაძემ. დანარჩენები სულ სხვა მიმართულებით წავიდნენ. ასეთ გაურკვევლობაში ვიყავი, როცა ინსტიტუტში რადიოკომიტეტის თავმჯდომარემ, ანტონ კელენჯერიძემ დარეკა და დიქტორად კარგი მეტყველების მსახიობის გაგზავნა ითხოვა. მალიკო მრევლიშვილმა მე შემარჩია. ასე მოვხვდი რადიოში, თუმცა თეატრზე ფიქრი არასოდეს შემიწყვეტია.

— მოზარდმაყურებელთა თეატრში როგორღა მოხვდით?

— იმ დროს, მოზარდმაყურებელთა თეატრის დირექტორი აკაკი შანიძე იყო. რადიოში მომისმინა, მომძებნა და გაბრაზებულმა მკითხა, მსახიობ კაცს რადიოში რა გინდაო? ნახევრად ხუმრობით ვუპასუხე: რას ამბობთ, ბატონო აკაკი, გადავრჩი, თორემ რადიოში კი არა, ახლა ტამბოვში ვიქნებოდი-მეთქი. დამაწერინა განცხადება და თეატრში მიმიღო. გამიმართლა, აქ რომ მოვხვდი. ამ თეატრს უზარმაზარი ვალდებულება აკისრია — ბავშვების სულიერი აღზრდა, ზნეობრივ მოქალაქეებად ჩამოყალიბება, ესთეტიკური თუ პატრიოტული გრძნობების გაღვივება... ამ თეატრში მოღვაწეობდნენ დიდებული მსახიობები — გოგუცა კუპრაშვილი, თამარ ფალიაშვილი, ვახტანგ არეშიძე, გიორგი დარისპანაშვილი, ნიკოლოზ ხორავა, ივანე ნინუა... რომელი ერთი ჩამოვთვალო. ბედნიერი ვარ, ამ მსახიობებთან ურთიერთობის საშუალება რომ მქონდა.

— პარალელურად, რადიოშიც მუშაობდით, არა?

— არა მხოლოდ რადიოში, კინოსტუდიაშიც მქონდა დამატებითი სამუშაო — დუბლიაჟს ვაკეთებდი. მოგვიანებით ტელევიზია დაარსდა და იქაც მივედი. სამი სატელევიზიო ციკლი მიმყავდა: „საესტრადო პანორამა“, „ცისფერი კაფე“ და „ოქროპირი“.

— ამ ყველაფერს როგორ ასწრებდით?

— მეგობრები მეუბნებოდნენ: ერთ-ერთ სამუშაოზე მაინც თქვი უარი, ხომ ხედავ, საქმეს ვეღარ აუდიხარო. დილიდან იწყებოდა გადაცემების ჩაწერა, თეატრში რეპეტიციები და სპექტაკლები, კინოსტუდიაში დუბლიაჟი... და ასე, გაუთავებლად. ამ რეჟიმს ჩემი ორგანიზმი ისე მივაჩვიე, დაღლასაც ვერ ვგრძნობდი.

— ტელევიზიაში დღეს არსებულ ვითარებას როგორ შეაფასებთ?

— რასაც ახლა ვიტყვი, აუცილებლად დაწერეთ — ქართული ენა თითქმის მიწასთანაა გასწორებული! გამართული ქართულით დღეს არც ტელევიზიაში მეტყველებენ, არც რადიოში და არც ქუჩაში. ინგლისურის ცოდნა რომ გახადეს პრიორიტეტული, სჯობს, ჯერ მშობლიურს მიხედონ. ენების ცოდნის წინააღმდეგი არ ვარ, ჩემს თანამემამულეს რაც მეტი ენა ეცოდინება, მით უკეთესი, მაგრამ ეს მშობლიური ენის ხარჯზე არ უნდა მოხდეს. 60 წელია, თეატრში ვარ და მართლმეტყველება რომ დამახინჯებული მქონდეს, თავს სცენაზე დგომის უფლებას არ მივცემდი — ეს მაყურებლის შეურაცხყოფაც იქნებოდა და საკუთარი თავის უპატივცემულობაც.

— დღემდე აქტიურად თანამშრომლობთ სხვადასხვა თეატრებთან. ოდესმე უარი გითქვამთ როლზე, ან როგორ როლზე არ დათანხმდებოდით?

— თითქმის ყველა თეატრში ვყოფილვარ მიწვეული — მარჯანიშვილში, თუმანიშვილში, სოხუმის დრამატულ და ახალგაზრდულ თეატრებში, სამეფო უბნის თეატრში, თენგიზ ჩანტლაძის თეატრში... თუ ფიზიკურად ვასწრებდი, როლზე არასოდეს ვამბობდი უარს. არ დაგიმალავთ, რაც წლები მემატება, უფრო მეტს ვფიქრობ, დავთანხმდე თუ არა ამა თუ იმ როლზე. ცოტა წუნია გავხდი ამ მხრივ. სხვა მოთხოვნილებაც გამიჩნდა — სცენიდან უნდა ვთქვა სათქმელი, ჩემი ხალხი გავამხნევო და თავისი სახე ვაჩვენო.

— პოლიტიკურ პროცესებში უნდა ერეოდეს თეატრი?

— ახლა უფრო განმიმტკიცდა აზრი, რომ თეატრი მხოლოდ გასართობი დაწესებულება არაა... რომ ამბობენ, ხალხი პოლიტიკით დაიღალა და თეატრში უნდა დაისვენოსო, არ ვეთანხმები. რა დროს დასვენებაა, ქვეყანა თუ თავზე გვენგრევა?! პირიქით, თეატრი უნდა იყოს ადამიანების დამრიგებელი და გვერდითმდგომი. ჩვენ უნდა მივცეთ ხალხს სწორი მიმართულება. ბევრ ქვეყანაში თეატრებს აქციებითა და გაფიცვებით მთავრობებიც კი შეუცვლია.

— მოზარდმაყურებელთა თეატრში შექმნილ ვითარებას როგორ აფასებთ?

— უსიამოვნო ამბავი მოხდა. თეატრი ნელ-ნელა დაადგა არაპროფესიონალურ გზას — აღარ იდგმებოდა ჩვეული სულისკვეთებით გაჟღენთილი სპექტაკლები, თანდათან მაყურებელიც დავკარგეთ... ამის გამო, რამდენიმე მსახიობმა პროტესტი გამოთქვა, მმართველმა კი მათ თეატრი დაატოვებინა. ესეც არ იკმარა და მოგვიანებით, კიდევ 40 მსახიობი გაუშვა თეატრიდან. ჩემთვის ხელი არავის უხლია, მაგრამ საკუთარი ნებით დავწერე წასვლის შესახებ განცხადება. ან როგორ შემეძლო დარჩენა იქ, საიდანაც ჩემი მეგობრები, პარტნიორები გაუშვეს?! მადლობა ღმერთს, სიტუაცია შეიცვალა. ახალმა მმართველმა ყველა თანამშრომელი დააბრუნა. გარდა იმისა, რომ ის შესანიშნავი რეჟისორი და მსახიობია, არაჩვეულებრივი მმართველიც აღმოჩნდა. მჯერა, მალე დააყენებს ფეხზე თეატრს.

— ახლახან, მოზარდმაყურებელთა თეატრის სცენაზე მაყურებელმა აღდგენილი „კუკარაჩა“ იხილა, რომელშიც თქვენც მონაწილეობთ...

— „კუკარაჩა“ 27 წლის წინ დადგა შალვა გაწერელიამ და მისი აღდგენა ბატონი შალვას გარდაცვალების წლისთავთან დაკავშირებით გადავწყვიტეთ. ამ საპასუხისმგებლო საქმეზე ოთარ ბაღათურიამ იმუშავა, რომელიც ადრე ამ სპექტაკლში რეჟისორის ასისტენტი და მურტალოს როლის შემსრულებელი იყო. ძველი მსახიობების დიდი ნაწილი ცოცხალი აღარაა, ამიტომ ბევრი რამის შეცვლა მოგვიწია, ცოტა დროშიც გაჭიანურდა, მაგრამ წარმატებული პრემიერა შედგა.

— 14 აპრილს, მოზარდ მაყურებელთა თეატრის წინ თქვენი ვარსკვლავის გახსნაა დაგეგმილი. როგორი განცდაა, როცა მშობლიური თეატრის წინ ვარსკვლავს გიხსნიან?

— 14 აპრილს ჩემი კი არა, ჩვენი „საერთო ვარსკვლავის“ გახსნაა. ყველა იმ ადამიანის, ვისაც კი მოზარდმაყურებელთა თეატრთან შეხება ჰქონია. მე რომ თეატრში მარტო ვყოფილიყავი, ვერაფერს გავაწყობდი — მეგობრების, პარტნიორების, რეჟისორების გარეშე წარმატებას ვერ მივაღწევდი. ამ ვარსკვლავის გახსნა კიდევ იმითაა მნიშვნელოვანი, რომ აკადემიურ თეატრებში მოღვაწე ზოგიერთმა ჩემმა კოლეგამ, ბოლოს და ბოლოს დაინახოს — მოზარდმაყურებელთა თეატრი არაპრესტიჟული არ არის და ის დიდ საქმეს ემსახურება — მოქალაქედ, პიროვნებად, მაყურებლად აყალიბებს ადამიანს. 60 წელი შევწირე ამ თეატრს და მიუხედავად ასაკისა, გაჩერებას არ ვაპირებ!

ვერსიანიუსი

რესტავრირებული ბაგრატის ტაძარი, შესაძლოა, მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების ნუსხაში დარჩეს

კულტურის ყოფილი მინისტრის, ნიკა რურუას თქმით, როდესაც იუნესკო-მ ბაგრატი მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში შეიყვანა, მას პირვანდელი სახე დაკარგული ჰქონდა. ტაძარი რუსულმა ზარბაზნებმა მიწასთან გაასწორეს, 60-იან წლებში კი იგი არქიტექტორ-რესტავრატორმა ცინცაძემ აღადგინა და სწორედ ასეთი სახით შევიდა ბაგრატი იუნესკო-ს სიაში

„იუნესკო-სთვის ცინცაძის ვერსია ავთენტურია, მისი მოწაფის, იტალიელი არქიტექტორის ანდრია ბრუნოს მიერ აღდგენილი ბაგრატიც ავთენტურია. თუ არა და, ისიც არ უნდა მიეღოთ ამ სიაში“, — აღნიშნა რურუამ.

კულტურის ყოფილი მინისტრისთვის მნიშვნელოვანია, რომ ბაგრატს სეისმური ძვრები და გამოქარვა არ ემუქრება, რეგიონში ყველაზე სეისმომედეგია და 9-10- ბალიან მიწისძვრას გაუძლებს: **„ბაგრატის ტაძრის აღდგენა ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე რომელიმე სიაში მისი ყოფნა. თუ კარგად იმუშავებს კულტურის სამინისტრო, ამ არგუმენტით, ბაგრატის ტაძარი, შესაძლოა, მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში დარჩეს“.**

„ინტერპრესნიუსი“

ოთარ კერვალიშვილი
შპს „ექსპერტიზა, მშენებლობა დიზაინის“ დირექტორი, დამოუკიდებელი ექსპერტი საგზაო დარგში, საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

„დარწმუნებული ვარ, ბიძინა ივანიშვილი საგზაო დარგსაც მიხედავს...“

საავტომობილო გზების ქსელის განვითარების საქმეში (საველე კვლევა-ძიება, დაპროექტება-მშენებლობა, პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვის ექსპერტიზა...) 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში მიღებული გამოცდილება საშუალებას მაძლევს, გამოვთქვა მოსაზრება ამ დარგში არსებული პრობლემების შესახებ და წარმოვადგინო მათი გადაჭრის გზები. გასული წლის დეკემბერში, საგაზეთო სტატიის მეშვეობით, საქართველოს რეგიონული მართვისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის, დავით ნარმანიას წინაშე დავაყენე საკითხი დარგობრივი (საავტომობილო გზებისა და ხიდების, წყალსადენების, ნაპირსამაგრი სამუშაოების...) პროექტების ექსპერტიზის სამსახურის აღდგენის შესახებ. ეს სამსახური, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით, 1990-2005 წლებში მოქმედებდა საავტომობილო გზების დეპარტამენტთან. ჩემ წინადადებას დღემდე არ მოჰყოლია გამოხმაურება.



მიზეზი შეიძლება ყოფილიყო ის, რომ მაშინ, ამ სამინისტროს ყოფნა-არყოფნის საკითხიც არ იყო გარკვეული. სამინისტრო მთავრობის შემადგენლობაში რჩება, მაგრამ ამ საკითხის გადაჭრა მაინც არ დამდგარა დღის წესრიგში.

ამ სამსახურის აღდგენა არ მოითხოვს საბიუჯეტო სახსრებს. იგი თვითონვე „შეინახავს“ თავს და მოგებასაც მისცემს სახელმწიფოს, რასაც ადასტურებს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსადმი წარდგენილი 5 წლის (2001-2005) განმავლობაში ჩატარებული სამუშაოების ანალიზი, სადაც ნათლად ჩანდა პროექტების ექსპერტიზაზე დახარჯული თანხების რაოდენობა და ექსპერტის მიერ გასინჯული პროექტების კორექტირების ეფექტურობიდან მიღებული შესაძლო ეკონომია. შეიცვალა წინა ხელისუფლების მიერ „გაცემული“ დირექტივა, რომ პროექტებს ექსპერტიზა უნდა ჩატარებოდა მხოლოდ სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში. ახლა უპირატესობა ენიჭება ალტერნატიულ და დამოუკიდებელ ექსპერტებს, რომელთაც სათანადო ლიცენზია აქვთ.

მაღალი კვალიფიკაციის, კეთილსინდისიერ ექსპერტს შეუძლია, დაბლოკოს უხარისხო პროექტი, რომლის განხორციელებამაც შეიძლება გამოუსწორებელი შედეგები გამოიწვიოს. მაგალითისთვის, გახმაურებული ე.წ. მილენიუმის პროექტიც გამოდგება, რომელიც ითვალისწინებდა სამხრეთ საქართველოში 80კმ-მდე სიგრძის საავტომობილო გზების რეაბილიტაციას. მშენებლობის ტენდერი მოიგო ებრაულმა კომპანია „აშტრომმა“, რომელსაც მალე შეექმნა ფინანსური პრობლემები პროექტის უხარისხობის გამო. მას ქონება დაუყადაღეს, მაგრამ ჩამორთმევა ვერ შეძლეს. საქმეს ლონდონის საერთაშორისო არბიტრაჟიც იხილავდა. დავა როგორ დასრულდა, ჩემთვის უცნობია. „აშტრომის“ ტექნიკა და ბაზა გორის რაიონში, შავშვებთან დღესაც უმოქმედოდაა, თუმცა ეს რა მოსატანია, როცა წინა ხელისუფლებამ მთავრობის მეთაურის მონაწილეობით, „ჩამოიტყუა“ და ქრთამის მიცემის ბრალდებით, ციხეში „გამოკეტა“ ორი ებრაელი ბიზნესმენი; დღემდე ციხეშია და თაღლითობის შეთითხნილი ბრალდებით სასჯელს იხდის კიდევ ერთი ქართველი ებრაელი ბიზნესმენი ნუგზარ დათიკაშვილი; რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკულია, მაგრამ არ გაათავისუფლეს. მასთან ერთად, უსამართლო, 8-წლიან სასჯელს იხდიდა ცნობილი ბიზნესმენი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი ბესარიონ ხვინთელიანი, რომელსაც წელს, 13 იანვარს შეეხო ამნისტია.

სამამულო საავტომობილო დარგის ერთ დროს აწყობილი სისტემის ნგრევამ კულმინაციას მიაღწია ბოლო ათწლეულში. წინა ხელისუფლების გუნდის აქტიური წევრის, საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის მაშინდელი თავმჯდომარის, რომან დალაქიშვილის დროს, საგზაო დარგმა დაკარგა სახელმწიფო დეპარტამენტის სტატუსი და საქვეუწყებო დაწესებულების სახით შეუერთდა (უკვე მერამდენედ) სხვადასხვა დასახელების სამინისტროს... ამ ექსპერიმენტმა არ გაამართლა, რასაც მოჰყვა ისიც, რომ მეტად საეჭვო ვითარებაში გასხვისდა საავტომობილო გზების დეპარტამენტის საინჟინრო კორპუსის შენობა, რომელიც უნიკალური პროექტია და XX საუკუნის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი გააჩნდა. ის, კულტურის სამინისტრომ, ადვილად გაყიდვის მიზნით, როგორღაც მოუხსნა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიიდანაც ამოშალა.

თუ ამ შენობის გაყიდვა აუცილებელი იყო, მასში განთავსებული (და სხვა) საგზაო ორგანიზაციები შეისყიდდნენ წილობრივი მონაწილეობით. მით უმეტეს, იმ დროს, ამ შენობის ნახევარი (4 000 კვმ-მდე) უკვე იყო, ამავე შენობაში განთავსებული ორი საპროექტო ინსტიტუტის — „საქსახგზაპროექტისა“ და „საქგზამეცნიერების“ — საკუთრება. ორივე, 700-მდე თანამშრომლით, წარმოადგენდა დარგის მოწინავე ინსტიტუტებს კავკასიაში. მათ გააჩნდათ მძლავრი, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სათანადოდ მომზადებული ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი. მათი დირექტორები დაიბარეს „საჭირო ადგილზე“ და საკუთრება „ნებაყოფლობით“ აჩუქებინეს ეკონომიკის სამინისტროსთვის, მათგან ერთმა, „ზედმეტად“ ხმამაღლა გამოთქვა უკმაყოფილება და მალევე „შეუკერეს“ საქმე. უდანაშაულოდ ციხეში გამოამწყვდიეს და ორი თუ სამი თვის შემდეგ, საპროცესო გარიგებით გამოვიდა გარეთ. მეორე დირექტორმა ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და უხმაუროდ დატოვა ფართი.

ასე „გამოთავისუფლებული“ საინჟინრო კორპუსის შენობიდან სასწრაფოდ გამოიყვანეს საავტომობილო გზების დეპარტამენტის აპარატი (მანამდე დეპარტამენტი საქვეუწყებო ორგანიზაციად აქციეს) და კიდევ ათიოდე საგზაო ორგანიზაცია, ასევე დეპარტამენტის კუთვნილი 10-ნომრიანი სასტუმრო — რომლებსაც მრავალწიანი იჯარა ჰქონდათ გაფორმებული ეკონომიკის სამინისტროს ქონების მართვის სააგენტოსთან.

თავდაპირველად, ამ შენობის სამიდან ერთ კოშკში განათავსეს ცენტრალური საარჩევნო (ე.წ. თარხნიშვილის) კომისია, რომლის წინააღმდეგ მასობრივი საპროტესტო გამოსვლები დაიწყო. ამ შენობაში „შეიჭრა“ ლევან გაჩეჩილაძე თანამოაზრეებთან ერთად და უბრახუნა თარხნიშვილს მაგიდაზე ხელი. კომისიის დასაცავად მეორე კოშკში დაბანაკდა ნიღბებითა და ჯავშანჟილეტებით აღჭურვილი სპეცრაზმი — იქვე ეძინათ, იქვე იკვებებოდნენ „მშრალი საკვებით“ და კიბის უჯრედები სავსე იყო კონსერვის ცარიელი ქილებითა და მუყაოს ყუთებით. შენობის მესამე კოშკის წინ, 24-საათიან რეჟიმში მორიგეობდა უცხოური მარკის, უზარმაზარი სპეცავტომანქანა. ეს ყველაფერი მაქვს ნანახი, რადგან ჩვენი საექსპერტო ორგანიზაცია ამავე შენობის მესამე კოშკის XIII სართულზე იყო.

ცესკო რამდენიმე თვეში სხვაგან გადავიდა. სპეცრაზმმაც დატოვა დისლოკაციის ადგილი. დაცარიელებული შენობა შეგნებულად გააპარტახეს. არადა, ახალგარემონტებული იყო. ამის შემდეგ, XX საუკუნის კულტურული მემკვიდრეობის ყოფილი ძეგლი, 17-სართულიანი უნიკალური შენობა (მისი ავტორები სახელმწიფო პრემიით არიან დაჯილდოებულნი), რომელიც პრესტიჟულ ადგილზე მდებარეობდა, მაშინდელმა მთავრობამ, ჩალის ფასად, საწყისი 22 მილიონის ნაცვლად, თუ არ ვცდები, 8 მილიონად გაყიდა. ორი წელი პნევმატური ჩაქუჩით ანგრევდნენ საინჟინრო კორპუსში განთავსებული საპროექტო ინსტიტუტების კუთვნილ სპეციალური დანიშნულების დაზგადანადგარებით აღჭურვილ კაბინეტ-ლაბორატორიებს, სადაც დამონტაჟებული იყო ბეტონისა და ასფალტბეტონის სიმტკიცის განმსაზღვრელი დანადგარები, მსოფლიო ბანკის კრედიტით შეძენილი ეკოლოგიური ლაბორატორია... შენობაში არსებული ორგანიზაციებიდან ზოგი გაუქმდა, ზოგი გადავიდა ქალაქის სხვადასხვა რაიონში ნაქირავებ ფართობებში.

ამ თაღლითურ გარიგებამდე ცოტა ხნით ადრე, ქართველი მეგზეველების დისკრედიტაციის მიზნით, ზედა ეშელონებში დაიგეგმა და შესრულდა საგზაო დარგის ხელმძღვანელ მუშაკთა „საჩვენებელი“ დაჭერა-დაპატიმრება, რომელიც დიდი ზარზეიმით ჩაატარა ამჟამად ძებნილმა „რეჟისორმა“ სოსო თოფურიძემ. 2007 წლის 6 ივნისს, ღამის 2 საათიდან 4 საათამდე, ამბროლაურში, გარდაბანში, ქუთაისში, ყვარელში, ჭიათურაში, ჩხოროწყუსა და სხვაგან, დააპატიმრეს საგზაო ორგანიზაციების 8 ხელმძღვანელი მუშაკი, რომლებიც დილის 10 საათზე შემოიყვანეს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საქტო დარბაზში და თათბირის დაწყების წინ, სოსო თოფურიძემ ხელმეორედ „დაიჭირა“ ისინი. „შეუთითხნეს“ ბრალდებები და 100-100 ათასზე მეტი ლარის საპროცესო გარიგებით, 2-3 თვის მერე გამოუშვეს ციხიდან. რამდენიმემ სტრესს ვერ გაუძლო და გარდაიცვალა.

ეს კარგად ასახავს, როგორ „ზრუნავდა“ წინა ხელისუფლება საგზაო დარგის განვითარებაზე, არადა არც ისე დიდი ხნის წინ, საბჭოთა კავშირში, ამ უზარმაზარ იმპერიაში, საავტომობილო გზების დარგის განვითარების ხუთი აღიარებული ცენტრიდან, თბილისი ერთ-ერთი იყო. დღესაც, საგზაო დარგში მოქმედებს 1984 წელს შემუშავებული ნორმატიული (სტანდარტული) სახელმძღვანელო დოკუმენტები. მოქმედებაშია ევროპის ქვეყნების სტანდარტული დოკუმენტებიც. როგორც ქალი არ შეიძლება იყოს ნახევრად ორსული, ასე არ შეიძლება მოქმედებაში გვქონდეს ნახევრად დსთ-სა და ნახევრად ევროპული ქვეყნების სტანდარტები, საკუთარი კი — არაფერი. არ მინდა, ვინმემ ბრალი დამდოს წარსული წყობის ნოსტალგიაში. უბრალოდ, მინდოდა მეჩვენებინა, როგორი ავტორიტეტი ჰქონდა უახლოეს წარსულში ქართველ ტექნიკურ ინტელიგენციას, რომელიც ასე ჩარეცხა და გააცამტვერა სატანურმა ხელისუფლებამ ათიოდე წელიწადში.

მეც ამ ტექნიკური ინტელიგენციის წარმომადგენელი ვარ. მე ციხეში არ მოვხვედრილვარ, ჩემთვის ქონება და ბიზნესი არ წაურთმევიათ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არ მქონდა, მაგრამ აქტიური შემოქმედებითი ცხოვრების მიმდევრისთვის, 9-წლიანი უმოქმედობა, არანაკლებ დამთრგუნველი და აუტანელია.

ქვეყნის სათავეში დღეს ახალი ძალაა. დარწმუნებული ვარ, ბიძინა ივანიშვილი ამ სფეროსთვისაც მოიცლის. პირველ რიგში, მას დამოუკიდებელი დარგის სტატუსს აღუდგენს, ხოლო შემდეგ, დაეხმარება ქართველ მეგზეველებს უკანონოდ გასხვისებული საინჟინრო კორპუსის დაბრუნებაში. სამთავრობო დონეზეა განსახილველი ქუთაისი-ალპანა- მამისონის გადასასვლელის გზის პროექტი. ამ გზით რაჭა, ორბელს გადმოღმა ლეჩხუმი და იმერეთის ნაწილი უკავშირდებოდა ქუთაისს, რომლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება ამ გზაზე უფროა დამოკიდებული, ვიდრე უაზროდ აშენებული პარლამენტის შენობაზე. მნიშვნელოვანია, ივანიშვილის მიერ რაჭაში წინასაარჩევნოდ გახმოვანებული ზემო იმერეთი-რაჭის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის დაპროექტება-მშენებლობის საკითხიც, რომელიც ეკონომიკურად გამოაცოცხლებს მიგრაციის დამღუპველი შედეგების გამო დაცარიელებულ და გაღატაკებულ რეგიონებს.

ვერსიანიუსი

პარლამენტის ძველ შენობაში სარემონტო სამუშაოები იწყება

მომავალი კვირიდან თბილისში მდებარე პარლამენტის შენობაში სარემონტო სამუშაოები იწყება. პარლამენტს შესაბამის ტენდერში გამარჯვებული კომპანია „ორნამენტი“ გაარემონტებს, რომელმაც სატენდერო პირობების გათვალისწინებით, სამუშაოები რემონტის დაწყებიდან 90 დღეში უნდა დაასრულოს.

პარლამენტის ვიცე-სპიკერის, ზვიად ძიძიგურის თქმით, შპს „ორნამენტთან“ დამატებითი რეგულაციებისთვის, დასაზუსტებელია რამდენიმე საკითხი, რაც 12 აპრილამდე მოხდება და 15 აპრილიდან რემონტიც დაიწყება.

ზვიად ძიძიგურის ცნობით, ახლო მომავალში გამოცხადდება ტენდერი ავეჯის შესყიდვასა და პარლამენტის C კორპუსის საძირკვლის გამაგრებით სამუშაოებზე.

გასულ კვირას გამოცხადდა ტენდერი დარბაზების რეკონსტრუქციის საკითხზე. პარლამენტის სასესიო დარბაზის, პირველი რესპუბლიკის სახელობის, ილია ჭავჭავაძის სახელობის დარბაზებისა და კინოდარბაზის რეკონსტრუქციისთვის 5 მილიონი ლარია გამოყოფილი.

„ინტერპრესნიუსი“

„საქართველომ არ უნდა თქვას უარი კალაშოვის ექსტრადიციაზე“

ამ სათაურით აქვეყნებს არაბული გამოცემა Albawaba სტატიას ესპანეთში გასამართლებული ქართველი კრიმინალური ავტორიტეტის, ზაქარია (შაქრო) კალაშოვის შესახებ.

როგორც სტატიაშია აღნიშნული, სულ უფრო გაურკვეველია, მოხდება თუ არა რუსული კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტის, კალაშოვის ესპანეთიდან საქართველოში ექსტრადირება, რათა სამშობლოში მისჯილი 18-წლიანი სასჯელი მოიხადოს. ამჟამად კალაშოვი, რომელიც არაბთა გაერთიანებულ საამიროებში დააკავეს და ესპანეთს გადასცეს, სწორედ იქ იხდის სასჯელს, თუმცა ზაფხულში, შესაძლოა, ის გათავისუფლებული ვიხილოთ საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობის აღდგენის გამო.

რუსეთისა და საქართველოს ორმაგი მოქალაქეობის მქონე კალაშოვი, იგივე „შაქრო მალადოი“ სასჯელს „სოლნცევსკაიას“, „იზმაილოვსკაიასა“ და „ბრატსკის“ დაჯგუფებებთან კავშირისა და ჩადენილი დანაშაულებისთვის იხდის, — წერს არაბული გამოცემა, — 2000 წელს ესპანეთში გადავიდა, სადაც დანაშაულებრივი ქსელი „თერთმეტის კლანი“ შექმნა და ესპანეთში მოქმედი რუსულ-ქართული მაფიის ლიდერი გახდა. 2005 წელს ესპანური პოლიციის მიერ ჩატარებული ოპერაცია „კრაზანას“ შემდეგ, რომლის დროსაც რუსეთის, საქართველოსა და უკრაინის მოქალაქეები დააკავეს, კალაშოვმა არაბთა გაერთიანებულ საამიროებში გაქცევა მოახერხა, თუმცა იქ დააკავეს და 2006 წელს ისევ ესპანეთს გადასცეს. პარალელურად, საქართველოში დაუსწრებლად გაასამართლეს და 18 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

არაბული გამოცემა, ესპანურ გაზეთებზე დაყრდნობით, აღნიშნავს — მიუხედავად იმისა, რომ კალაშოვი ციხეშია, მას **„ურთიერთობა აქვს ქუთაისის კრიმინალურ სამყაროსთან, რომელიც საქართველოში ყველაზე საშიშად მიიჩნევა“.**

სტატიაშია აღნიშნულია, რომ 2010 წელს, ესპანეთის სასამართლო დათანხმდა, 2013 წელს ადგილობრივ ციხეში პატიმრობის ვადის ამოწურვის შემდეგ, კალაშოვი საქართველოს გადასცეს, თუმცა ბოლო დროს, გაჩნდა კითხვები, მოიხდის თუ არა სასჯელს რუსულ-ქართული კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტი სამშობლოში. საქართველოს ახალი პრემიერი ბიძინა ივანიშვილი ძლიერი პრორუსული შეხედულებებით გამოირჩევა, — ნათქვამია სტატიაში, — ამის გამო, კალაშოვი, რუსეთსა და აშშ-ს შორის გავლენისთვის დაპირისპირების საგნად იქცა. რუსეთს არ გამოუხატავს სურვილი, დასაჯოს ადამიანი, რომელსაც რუსულ პოლიტიკურ წრეებთან აქვს ურთიერთობა. ამასთან, არსებობს აშკარა სამხილები, რომ რუსეთის შს მინისტრს, რომელიც წესით, მაფიის წინააღმდეგ უნდა იბრძოდეს, ახლომეგობრული ურთიერთობები აქვს კალაშოვის გარემოცვასთან.

Georgia should not give up on Kalashov extradition

Published April 9th, 2013 - 17:07 GMT

Rate Article: Recommend 4 Tweet 0 +1 0 comment (0)

Share: Facebook Twitter Google+ Linkedin Pinterest Delicious Stumbleupon Digg Reddit

kalashov

რუსეთის პოლიციისგან განსხვავებით, — ნათქვამია სტატიაში, — აშშ-ს კალაშოვის პატიმრობის სურვილი აქვს, რადგან მას ბრალი მიუძღვის ამერიკელი ალექსანდრე კრეინის გატაცებასა და მოკვლაში.

ერთი სიტყვით, — წერს არაბული გამოცემა, — გლობალური პოლიტიკიდან გამომდინარე, ადამიანი, რომელსაც ბრალი ედება გატაცებაში, მკვლელობაში, ფულის გათეთრებაში, კონტრაბანდასა და გამოძალვაში, შესაძლოა, თავისუფლებაზე ვიხილოთ. ეს კი მოხდება იმ ქართველების სამწუხაროდ, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მათი სამშობლოში კანონს პატივს სცემენ.

„ინტერპრესნიუსი“

ევროკავშირის ავტოპილოტს საქართველოში ბოლო უნდა მოეღოს

ევროპული გამოცემა Euobserver აქვეყნებს ჟანა კობზოვას სტატიას საქართველოს შესახებ, სათაურით „ევროკავშირის ავტოპილოტს საქართველოში ბოლო უნდა მოეღოს“. ავტორი აღნიშნავს, რომ ოქტომბრის არჩევნების შედეგად, საქართველო პოლიტიკური ტრანსფორმაციის არასწორ გზას დაადგა. ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაცია იმაზე პოლარიზებულია, ვიდრე არჩევნებამდე იყო, ხოლო ეკონომიკური სირთულე და ცხოვრების პირობების მნიშვნელოვნად გაუმჯობესების საზოგადოებრივი მოლოდინი, ახალი მთავრობისთვის დამატებით ზეწოლას ქმნის.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ დაწყებული დემოკრატიული პროცესის წარმატებით დასრულებისა და რთულ რეგიონში ევროკავშირის პარტნიორ ქვეყნად თავის დამკვიდრებისთვის, საქართველოს ევროკავშირის დახმარების ხელი იმაზე მეტად დასჭირდება, ვიდრე ოდესმე, — აღნიშნავს კობზოვა.

საქართველოს ახალი მთავრობა ბიძინა ივანიშვილის კოალიცია „ქართული ოცნების“ მიერ მიხეილ სააკაშვილის ნაცმოძრაობის დამარცხების შედეგად ჩამოყალიბდა. პოლიტიკური ტრანსფორმაციის სირთულეებს კი ის იწვევს, რომ ახლა საპარლამენტო არჩევნებში დამარცხებულებს გამარჯვებულებთან თანამშრომლობა უწევთ: სააკაშვილი ქვეყნის სათავეში რჩება ოქტომბრამდე.

მთავრობას რამდენიმე საკითხის მისაღებად პრეზიდენტის თანხმობა სჭირდება. **„პოლიტიკური ვითარება სავსეა დაძაბულობით, ერთმანეთის სიტყვიერი შეურაცხყოფითა და აგრესიული რიტორიკით. საოცარია, მაგრამ ქართველი პოლიტიკოსების უმრავლესობა სიტყვა „კოჰაბიტაციას“ უფრო ნეგატიური გაგებით იყენებს“.**

სტატიაში ნათქვამია, რომ ახალი მთავრობისგან ბევრ ქართველს დიდი მოლოდინი აქვს: ქვეყნის ეკონომიკის აღდგენა, სამუშაო ადგილების გაზრდა, სოციალური სერვისების გაუმჯობესება და სასამართლო სისტემისა და პოლიციის ბოროტად გამოყენების აღკვეთა, თუმცა აქამდე, ხელისუფლებას არ აქვს ცხადი გეგმა, როგორ შეასრულოს ეს. **„საფეხურებზე ასვლის სწავლას ყოველთვის დრო სჭირდება, თუმცა საქმეს ისეთი პირი უჩანს, კოალიცია არ იყო მართვისთვის მზად (რამდენიმე მწირი ინიციატივა არ ითვლება)“.** სტატიაში ნათქვამია, რომ ევროკავშირმა, მნიშვნელოვან ფინანსურ დახმარებასთან ერთად, საქართველოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სფეროებში საკუთარი გამოცდილებაც უნდა გაუზიაროს.

მთავრობამ ასევე უამრავი გამოძიება წამოიწყო ნაცმოძრაობის ყოფილი და ამჟამინდელი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ, — აღნიშნავს კობზოვა, — არსებობს ეჭვი, რომ ამით პოლიტიკურ ქულებს იწერენ. ახალი მთავრობის მაღალჩინოსნები წინა მთავრობას „კრიმინალში“ ადანაშაულებენ. რეგიონის რამდენიმე გამგებელი გადადგა და როგორც ამბობენ, გადაწყვეტილება „ქართული ოცნების“ აქტივისტთა ზეწოლის გამო მიიღეს.

მიუხედავად სამთვიანი პოლიტიკური კინკლაობისა, საქართველოს პარლამენტმა ერთობლივად მიიღო კანონი კონსტიტუციური ცვლილებების შესახებ, რომლის თანახმად, პრეზიდენტს უფლებამოსილება შეეზღუდა, პოლიტიკური დაძაბულობა არსებობს. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმის საკითხი ორ პოლიტიკურ ძალას შორის კვლავ განხეთქილების ვაშლია და მაინც, ამ დრომდე, ახალი მთავრობა ეკონომიკური

'Most citizens favour closer integration with the EU but believe the Union to be distant from the reality of their everyday lives' (Photo: Thomas Depenbusch)

OPINION

Putting an end to the EU autopilot on Georgia

08.04.13 @ 10:36

რეფორმებისა და პროევროპული საგარეო პოლიტიკის საკითხებში მეტწილად იმ კურსის გამტარებელია, რომელსაც წინა მთავრობა ატარებდა. **„მარტივად რომ ვთქვათ, საქართველო არ გახდა კავკასიური უკრაინა, რამაც ევროკავშირი უნდა დაამშვიდოს, მიუხედავად ქვეყანაში არსებული ხისტი პოლიტიკისა... აქამდე, საქართველოს ევროპულ გზაზე ევროკავშირის მხარდაჭერა რთულად გასარჩევი იყო პრეზიდენტ სააკაშვილისა და მისი პარტიის მხარდაჭერისგან“.**

ევროკავშირის პოლიტიკა ავტოპილოტზე მუშაობდა: რეგიონის სხვა ქვეყნების მსგავსად, ის მიმართული იყო საკუთარ კანონთა კრებულთან მიახლოებისკენ და არ აქცევდა ყურადღებას, როგორ აისახებოდა ეს საქართველოს ეკონომიკაზე. ეს უნდა შეიცვალოს, — წერს კობზოვა, — ევროკავშირმა თავისი როლი უნდა გააააქტიუროს და ქვეყანაში უფრო მიუკერძოებელი საყრდენი მოიპოვოს. ევროპა ასევე არ უნდა მოერიდოს მთავრობის კრიტიკას, თუ ამის საფუძველი ექნება. ყოფილ მაღალჩინოსნებზე გამოძიების დაწყება და სასამართლოში აღძრული სხვა საქმეები საქართველო-ევროკავშირის მომავალი ურთიერთობების განხილვისას მხედველობაში უნდა მიიღოს. ევროკავშირმა ქართულ საზოგადოებაზე საკუთარი გავლენა უნდა გაზარდოს, რადგან ქართველთა უმრავლესობა ევროკავშირში ინტეგრაციის სურვილს გამოთქვამს, მაგრამ სჯერა, რომ კავშირი მათი რეალობიდან შორსაა. სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველოს პოლიტიკური ძალა არჩევანის წინაშეა: ან ისწავლიან თანაარსებობასა და დემოკრატიულ პოლიტიკურ კულტურას, ან გააგრძელოს პოლიტიკისკენ სვლა კომპრომისების გარეშე. პირველი, საქართველოს უფრო დაახლოვებს ევროკავშირს, უკანასკნელი კი სარისკო იქნება არა მხოლოდ ქვეყნის მოსახლეობისთვის, არამედ მისი დასავლელი მოკავშირეებისთვისაც.

„ინტერპრესნიუსი“

თავდაცვის სამინისტრო აგვისტოს ომში წარმოებულ საბრძოლო მოქმედებებს შეაფასებს

საქართველოს თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ალასანიას განცხადებით, თავდაცვის სამინისტრო უახლოეს დღეებში აგვისტოს ომში წარმოებული საბრძოლო მოქმედებების შეფასებას იწყებს. მინისტრის განმარტებით, ეს იქნება არა პოლიტიკური შეფასება, არამედ კვლევა, თუ როგორ იმუშავა რეზერვმა და რატომ ვერ მოხერხდა სოფლების ევაკუაცია.

ირაკლი ალასანიას განცხადებით, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას ქართული არმიისთვის 8 მილიარდის მოხმარების საკითხიც. სამაგიეროდ, ორი აზრი არ არსებობს იმაზე, რომ ომი რუსეთმა დაიწო: **„საქართველოს წინააღმდეგ რუსეთმა აგრესიული სამომარი კამპანია დაიწყო და ოკუპაცია გაუკეთა. ამას კითხვის ნიშნის ქვეშ არავინ აყენებდა, მომავალშიც არავინ დააყენებს. ფაქტობრივი მასალა არის ისეთი, რომ ამას წყალი არ გაუვა. საერთაშორისო თანამეგობრობა არ ეთანხმება ომით შეცვლილ საზღვრებს, მაგრამ ჩვენ მაინც გვაინტერესებს, რატომ ვერ დაიცვა საქართველომ თავი. გვაინტერესებს, რათა მომავალში გვქონდეს რეალური დოქტრინა და აღარ განმეორდეს იგივე“.**

თავდაცვის მინისტრი გაერთიანებული შტაბის ყოფილ უფროსთან, გიგი კალანდაძესთან საუბრის დეტალებსაც იხსენებს: **„კალანდაძის მიმართ რაღაც გარკვეული სიმპატია მართლაც გამიჩნდა. არ მინდოდა დაჩაგრულიყო და ვუთხარი, თუ შენ მართალი ხარ და ეს დანაშაულები არ ჩაგიდენია, რაზეც ყველა საუბრობს, მე დაგიცავ და სისტემა დაგიცავს ყველანაირად, გვერდით დაგიდგებით, მაგრამ შენ უნდა ითანამშრომლო გამოძიებასთან-მეთქი. ეს იყო ერთადერთი, რაც მე რეალურად მას ვუთხარი. სხვა საუბარი არ მქონია. არც მჭირდებოდა მასთან სხვა საუბარი. ჩემს ბუნებაშიც არ ზის, ხელების გადაგრეხვით ვესაუბრო ვიღაცას“.**

ალასანიას თქმით, საზოგადოება გაღიზიანებულია და სწორედ მოქალაქეების შეკვეთაა, რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს სამართლიანობის აღდგენა. მიუხედავად ამისა, თავდაცვის მინისტრი საზოგადოებას მოთმინებისკენ მოუწოდებს და მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში, სიჩქარე და სულსწრაფობა შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს: **„ყველას ვთხოვ, მოთმინებით იყოს. ჩვენ თუ უსამართლო გზით, სულსწრაფობით დავიწყეთ სამართლიანობის აღდგენა, საბოლოო ჯამში, იმავე შედეგებამდე მივალთ, სადამდეც „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლები მივიდნენ“.**

„ვერსიანიუსი“

ჰოროსკოპი
12 აპრილი

ვერძი — კარგი დღეა ფინანსური ოპერაციებისა და კარიერული წინსვლისთვის; დიდია ალბათობა გავლენიან ადამიანებთან შეხვედრისა. დღის მეორე ნახევარში ცოტა მოეშვით და თავს დასვენების უფლება მიეცით. შეგიძლიათ, თეატრში ან კინოში წახვიდეთ, ანდა დრო მყუდროდ, ოჯახურ წრეში გაატაროთ.

კურო — დღეს განსაკუთრებით ორგანიზებული და ყურადღებიანი უნდა იყოთ, რათა დაწყებული საქმის წარმატებით დასრულება შეძლოთ, ნუ დაივიწყებთ მათ, ვინც გეხმარებოდათ. ხანმოკლე სამსახურებრივმა რომანმა, შესაძლოა, კოლეგებსა და უფროსობაში გაღიზიანება გამოიწვიოს.

ტყუპები — ტყუპებისთვის აქტიური, შემოქმედებითი დღეა. წარმატება გელით საფონდო ბირჟაზე, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის, თავი აარიდეთ პრობლემური საკითხების განხილვას, დღე კი საყვარელ ადამიანს მიუძღვენით, მით უმეტეს, რომ რომანტიკულ გარემოში დროის გატარება ძალიან სასარგებლო იქნება.

კირჩხიბი — შეიძლება დღეს ვალი დაგიბრუნონ ან ძვირფასი საჩუქარი მიიღოთ. ყურადღებით იყავით პარტნიორის არჩევისას. ურთიერთობა შეიძლება ხანმოკლე აღმოჩნდეს, მაგრამ მოვლენებს ნუ დააჩქარებთ — ჯერ არ დამდგარა კარდინალური ცვლილებების დრო.

ლომი — სავარაუდოდ, დღე კონფლიქტით დაიწყება, ამიტომ ემოციები მოთოკეთ და თავაზიანი იყავით კოლეგების მიმართ. თუ სამკურნალო პრეპარატები დაგჭირდათ, ყურადღება მიაქციეთ ვადას. არავითარ შემთხვევაში არ მიიღოთ ჭარბი დოზა.

ქალწული — დღეს თამამად წარმოაჩინეთ თქვენი ინიციატივა და სამომავლო გეგმები კოლეგებს გაუზიარეთ. საღამოს კი ეცადეთ, კარგად დაისვენოთ და მაქსიმალურად განიტვირთოთ, ეს დღეს აუცილებლად გჭირდებათ.

სასწორი — დღეს შესაძლოა ცვლილებები სამსახურში. არ არის გამორიცხული, ვიღაცამ არასწორად შეაფასოს თქვენი საქმიანი აქტიურობა და ზედმეტად თავდაჯერებულად მიგიჩნიონ. არაა გამორიცხული, მატერიალური პრობლემები შეგექმნათ, თუმცა ეს ყველაფერი დროებითია.

მორიელი — ამ ნიშნის წარმომადგენლები დღეს სიტუაციით მაქსიმალურად ისარგებლებენ, პირად ცხოვრებაშიც შესანიშნავი პერსპექტივა გეხსნებათ, თუკი საქმიან პარტნიორთან არსებულ მცირე პრობლემას მალევე მოაგვარებთ, საკუთარ ბედზე საწუწუნო აღარაფერი გექნებათ.

მშვილდოსანი — დღეს ერთ-ერთი ახლობლის საქციელი გაგაკვირვებთ, თუმცა თქვენს ქცევაშიც სპონტანურობა იგრძნობა. ამიტომ უმჯობესი იქნება, ყველა წვრილმანზე თუ არ გაამახვილებთ ყურადღებას.

თხის რქა — დღეს შესაძლოა, ორაზროვან სიტუაციაში აღმოჩნდეთ, რაც თქვენგან ტაქტსა და გამძლეობას მოითხოვს. ვერ მოახერხებთ უსიამოვნო, სერიოზული საუბრის თავიდან აცილებას, ამიტომ საღამო გაატარეთ მშვიდ გარემოში, რათა სამომავლოდ ენერგია აღიდგინოთ.

მერწყული — სერიოზული სამუშაოსა და გაბედული ჩანაფიქრების ასრულებისთვის ეს დღე საუკეთესოა. ნუ ეცდებით რთული სამუშაოსთვის თავის არიდებას, ამას მაინც ვერ მოახერხებთ. მეტი მოთმინება იქონიეთ და აუცილებლად მოგეცემათ შესაძლებლობა, დასახულ მიზანს მიაღწიოთ.

თევზები — დღეს უფროსობასთან ურთიერთობაში სიბრძნე და გამძლეობა გმართებთ. გულღია საუბარი დაგიბრუნებთ საკუთარი თავის რწმენას, ხოლო საქმიანი შეხვედრა, ფინანსურ კეთილდღეობას გპირდებათ.

ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ

შენდება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას" სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე"

„ყოველთა დედოფალი პანტანასას" ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი" ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი" კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწყალოთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

ჰოროსკოპი
13 აპრილი

ვერძი — შესანიშნავი დღეა საქმიანი შეხვედრისა თუ პაემნისთვის. რაც შეეხება სამსახურს, თავი შეიკავეთ ხელშეკრულებების გაფორმებისგან, სამაგიეროდ, უარი არ თქვათ შოპინგზე და მოულოდნელი საჩუქრით საყვარელი ადამიანი გაახარეთ. საღამო კი ოჯახურ კომპანიაში გაატარეთ.

კურო — კუროებს დღეს მშვიდად ყოფნა მოეთხოვებათ. სასიამოვნო და სასიხარულო აღმოჩნდება ურთიერთობა ნათესავებთან, დღის მეორე ნახევარში კი მეგობრების სტუმრობას ელოდეთ. რაც შეეხება საქმეს, მეტი გამბედაობა გამოიჩინეთ ფინანსურ ოპერაციებში და სასურველი შედეგიც არ დააყოვნებს.

ტყუპები — დღეს ძალიან დაკავებული ხართ და არ გყოფნით დრო მეგობრებთან ურთიერთობისთვის. წარმატებული დღეა შემოქმედებითი პროფესიის მქონე ტყუპებისთვის. ფინანსების მხრივაც არანაირი პრობლემა არ არსებობს. საღამოს ეცადეთ, მეგობრებს შეეხმიანოთ, ყურადღება მათაც სჭირდებათ.

კირჩხიბი — დღე საკმაოდ ეფექტურად ჩაივლის, თუკი თქვენს პოტენციალს სწორად მიმართავთ და არც ფიზიკურ დატვირთვაზე იტყვით უარს. მიმდინარე საქმეები არც ისე რთული, მაგრამ შემოსავლიანი აღმოჩნდება. დღის მეორე ნახევარში ფრთხილად იყავით საყოფაცხოვრებო ტექნიკის მოხმარებისას, დიდია ტრავმის მიღების ალბათობა.

ლომი — დღეს დაგეგმილი მგზავრობა, შესაძლოა, არ შედგეს ობიექტური მიზეზების გამო, ფინანსურ ოპერაციებშიც მეტი სიფრთხილე გამოიჩინეთ. დღის მეორე ნახევარი კი ოჯახის წევრებთან გაატარეთ, სტაბილურობის შეგრძნება დღეს აუცილებლად გჭირდებათ.

ქალწული — არ არის გამორიცხული, დღეს კოლეგებმა და ხელმძღვანელობამ არასწორად გაგიგონ, ამიტომ სჯობს, თავშეკავება გამოიჩინოთ ყველა საკამათო საკითხში და თქვენი სწორი შეხედულებები მათ სხვა დროს გაუზიაროთ. დღე პარტნიორებთან თანხმობის მიღწევასა და სულიერი სიმშვიდის მოპოვებას გპირდებათ.

სასწორი — სამსახურში დღეს განსაკუთრებით ფრთხილი და ყურადღებიანი იყავით, რადგან ვარსკვლავები გაფრთხილებენ, რომ თქვენი ხისტი ხასიათის გამო, უამრავ პრობლემას შექმნით. გარშემომყოფებთან ურთიერთობაში უფრო დამთმობი იყავით და უსიამოვნო სიტუაციასაც აიცილებთ თავიდან.

მორიელი — მიაქციეთ ყურადღება, რას ლაპარაკობთ. სატელეფონო საუბრებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება, კვლავ წამოიჭრება უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საკითხები, ხოლო საცხოვრებელი ადგილის შეცვლის თემა ძალიან აქტუალური გახდება.

მშვილდოსანი — ამ ნიშნის წარმომადგენლებს ფინანსური დანაკარგის დღე აქვთ— ყველაფერი კი თქვენი ზედმეტი თავდაჯერებულობის ბრალი იქნება, თუმცა დღის მეორე ნახევარში უმნიშვნელოვანესი შეხვედრა გელით, რომელიც ყველა არსებულ პრობლემას დაგავიწყებთ.

თხის რქა — დღე შესაძლოა, უსიამოვნებებით დაიწყოს, ამიტომ მოთმინება გამოიჩინეთ, რათა თავი აარიდოთ კონფლიქტს ახლობლებსა თუ ხელქვეითებთან. ბოლომდე მიიყვანეთ დაწყებული საქმე და შედეგიც არ დააყოვნებს.

მერწყული — დღე სასიკეთოა, თუ კარგად იშრომებთ, შედეგსაც სასურველს მოიმკით. დაწყებული საქმეების მოგვარებაში კი ახლობლების ან მეგობრების რეკომენდაციები დაგეხმარებათ. მთელი დღის განმავლობაში ყურადღებით იყავით, რადგან გახსნილი გონება და თავისუფალი აზროვნება აუცილებლად გჭირდებათ.

თევზები — დღე წარმატებას გიქადით სიყვარულში. კარგი დროა კულტურულ ღონისძიებებზე, წვეულებებზე წასასვლელად. დღეს განსაკუთრებით რომანტიკულ განწყობაზე ხართ და მოსაწყენი სამუშაოს შესრულება გეზარებათ.

ქართველი მწერალი

დაავადება

კომში ანუ..

ტყავის კარავი

ნავთობის კომპანია

ძაღლის ჯიში

ქალაქი ესპა ნეთში

კბილის ზედა ფენა

სასესხო ხელწე რილი

ტყვია ანუ..

თბილისის უბანი

მოს წავლის მამიდა

სასანთლე

ფუჭი უაზრო

---- ქავქა ვაძე

საქონლის ჯოგი

ზღვისპირა დასახლება აჭარაში

სოფელი ლანჩხუთ. რაიონში

რუსი ილუზიო ნისტი

ხილის თესლი

ყველაზე პატარა რიტი

ავეჯი

ამაღ ლებული განწყობა

რესტორანი თბილისში

ტაბლეტი ანუ..

ყურძნის ასმა

სამეგი ცინო მალაზია

ვერდის ოპერა

უმცროსი მეზღ ვაური

ადვილი

8	1	4	3	9	7	6	5	2
9	3	2	8	5	6	1	7	4
7	6	5	2	1	4	8	9	3
3	5	8	1	7	2	4	6	9
6	9	1	4	8	5	3	2	7
4	2	7	9	6	3	5	1	8
5	8	9	7	4	1	2	3	6
2	4	6	5	3	9	7	8	1
1	7	3	6	2	8	9	4	5

სტანდარტი

2	8	3	1	4	9	7	6	5
7	5	1	2	6	8	4	3	9
9	6	4	7	5	3	1	8	2
8	4	2	5	9	7	3	1	6
6	3	9	4	2	1	8	5	7
5	1	7	3	8	6	2	9	4
4	2	8	9	1	5	6	7	3
3	9	6	8	7	4	5	2	1
1	7	5	6	3	2	9	4	8

რთული

3	4	2	7	1	9	6	5	8
1	9	8	6	5	4	3	2	7
7	6	5	3	2	8	1	4	9
2	1	7	9	8	3	5	6	4
6	8	4	5	7	2	9	3	1
9	5	3	4	6	1	8	7	2
5	7	1	8	4	6	2	9	3
8	3	6	2	9	7	4	1	5
4	2	9	1	3	5	7	8	6

ექსპერტი

4	6	5	7	9	3	8	2	1
3	7	2	1	5	8	6	9	4
1	9	8	6	4	2	5	3	7
2	1	4	3	8	7	9	6	5
9	3	7	5	2	6	4	1	8
8	5	6	4	1	9	2	7	3
5	2	3	9	7	4	1	8	6
7	8	1	2	6	5	3	4	9
6	4	9	8	3	1	7	5	2



წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



ჰოროსკოპი

14 აპრილი

ვერძი — არ ღირს დღეს საზოგადოების ყურადღების ცენტრში ყოფნა, რადგან მათ შორის ბევრი ისეთი აღმოჩნდება, ვისი ნახვა მაინცდამაინც არ გაგახარებთ.

კურო — ვიდრე სამსახურის შეცვლას გადაწყვეტთ, ჯერ კარგად დაფიქრდით ამ ნაბიჯის მართებულობაზე. შესაძლოა, მოვლენები ისე რა განვითარდეს როგორც გეგმავდით და ისურვებდით, ამიტომ ნებისმიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, რჩევა ახლობელ ადამიანებს ჰკითხეთ.

ტყუპები — დღეს იმის გაკეთება მოგიწევთ, რაც არასოდეს გაგიკეთებიათ და ეს დიდ ენერგიას წაგართმევთ, სამაგიეროდ, დღეს აზრიანად გაატარებთ. საღამოს სჯობს, მეგობრებს ესტუმროთ და მათთან ერთად თეატრსა თუ კინოში წახვიდეთ.

კირჩხიბი — დღე შესაძლოა, „ცხელი“ მოგეჩვენოთ, რადგან ბევრი საინტერესო რამ მოხდება, თქვენ კი დიდი ძალისხმევის დახარჯვა დაგჭირდებათ, საღამოსთვის მაინც რომ გაერიდოთ მოვლენების ეპიცენტრს.

ლომი — ლომებისთვის დღე მშვიდი იქნება. თავისუფლად შეგიძლიათ, რეალობას დროებით გამოეთიშოთ და თავს განტვირთვის საშუალება მისცეთ. დღის მეორე ნახევარში კარგია იქნება, თუ სილამაზის სალონს ესტუმრებით.

ქალწული — შეხვედრა, რომელსაც კარგა ხანია ელით, დღეს აუცილებლად შედგება და ყველა მნიშვნელოვანი საკითხი თქვენს სასარგებლოდ გადაწყდება, მთავარია, ზომიერების გრძნობა არ დაკარგოთ და ყოველი სიტყვა მკაცრად აკონტროლოთ, რადგან დაუფიქრებელმა საქციელმა შესაძლოა, არასასურველი შედეგი მოიტანოს.

სასწორი — დღეს ისეთი ენერგიული იქნებით, რომ მათაც გააოცებთ, ვინც დიდი ხანია გიცნობთ. მათი გაოგნება კი უფრო მეტ სტიმულს მოგცემთ აქტიურობისთვის. დღეს გაუფრთხილდით ჯანმრთელობას, შესაძლოა, სასიცოცხლო ენერგია დაქვეითდეს და გადაიღალოთ.

ღრიანკალი — ამ ნიშნის წარმომადგენლებს ვარსკვლავები ურჩევენ, დღე ფიზიკურ შრომას მიუძღვნან, რადგან გონებრივი სამუშაოსგან დასვენება აუცილებელია. საღამო კი მშვიდ გარემოში გაატარეთ.

მშვილდოსანი — დღეს საბოლოოდ დარწმუნდებით, რომ ანგარიშვალდებული არავის წინაშე არ ხართ, თუმცა ზედმეტი თავდაჯერებულობაც არვარგა, კარგი იქნება, თუ ოჯახის წევრების მიმართ მეტ ყურადღებას გამოიჩენთ.

თხის რქა — ნიშნის წარმომადგენლებისთვის დღეს დიდია ალბათობა ოჯახის წევრებთან კამათისა. შეეცადეთ, თავი აარიდოთ ორმხრივ ბრალდებებს და, რაც მთავარია, კამათს პირველი ნუ დაიწყებთ.

მერწყული — დღეს ნაკლებად სასიამოვნო ინფორმაციას გაიგებთ, თუმცა ეცადეთ, ამან თქვენი ოპტიმიზმი და ბრძოლისუნარიანობა არ ჩაკლას, მით უმეტეს, რომ სამსახურში ყველაფერი იმაზე უკეთ მიდის, ვიდრე წარმოიდგენდით.

თევზები — ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის დღე საკმაოდ გრძელი და დამღლელი იქნება. კარგი იქნება გააცნობიეროთ, რომ თქვენს საქმეს სხვა ვერ გააკეთებს, ამიტომ ნაკლები იწუწუნეთ საკუთარ უიღბლობაზე და დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანეთ.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

შარლიზ ტერონი შეყვარებულია?



ჰოლივუდელი ვარსკვლავი, 37 წლის შარლიზ ტერონი, 2010 წელს სტიუარტ თაუსენდთან განშორების შემდეგ, მესამე წელია მარტოა. თავად არაერთხელ უთქვამს, რომ ოჯახის შექმნაზე ოცნებობს, მაგრამ, ჯერჯერობით, უფლისწული არსად ჩანს. არადა, მსახიობის თაყვანისმცემლებს არ სჯერათ, რომ ასეთი მშვენიერი ქალი მარტოსულია და ამიტომ ნებისმიერი მამაკაცი, რომელსაც პაპარაცები მის გვერდით შენიშნავენ, „ბოიფრენდის“ სიაში ხვდება. ამჯერად, სამხრეთაფრიკელი ლამაზმანი კომიკოს სეტ მაკფარლეინთან ერთად შენიშნეს. წყვილს შორის რომანზე ჯერ კიდევ „ოსკარის“ ცერემონიის შემდეგ ალაპარაკდნენ, როცა სეტი კულისებში ეარშიყებოდა ტერონს. ცოტა ხნის წინ კი, ტერონმა როლი მიიღო ვესტერნში „მილიონი მეთოდი დასავლეთში სიკვდილისთვის“, რომელსაც მაკფარლეინი გადაიღებს. ახლა სეტსა და შარლიზს სულ უფრო ხშირად ხედავენ ერთად, მეგობრები ამბობს, რომ ისინი ხშირად აწყობენ რომანტიკულ ვახშამს სუში-ბარებში.

ველოსიპედისტებს კაფე გაუხსნეს

შვეიცარიის ქალაქ ციურიხში სპეციალური კაფეები გახსნეს ველოსიპედისტებისთვის, სადაც მათ შეუძლიათ, დანაყრდნენ ან უბრალოდ, ფინჯანი ყავა მიირთვან ისე, რომ ველოსიპედიდან ჩამოვიდნენ. სასიამოვნო ბონუსია ისიც, რომ მათ ყავას უფასოდ სთავაზობს. ველოკაფე ციურიხის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ნაწილს წარმოადგენს და ასე, მთავრობა ცდილობს, ქალაქში სატრანსპორტო ვითარება გააუმჯობესოს.

„სექსუალური“ ქალი ბლანჟეთი

სუსტი სქესის ბევრი წარმომადგენელი უამრავ თანხას ხარჯავს, რათა არასასურველი თმა მოიშორონ და ბრწყინვალედ გამოიყურებოდეს. თუმცა გამონაკლისიც არსებობს: მაგალითად, 49 წლის გერმანელი ქალბატონი ბლანჟეს ატარებს და ამბობს, რომ ასეთი სექსუალური არასოდეს ყოფილა. ქალს სახეზე თმიანობა 21 წლის ასაკში, მშობიარობის შემდეგ დაეწყო. თუმცა ეპილაციასა და სხვა პროცედურებზე უარი თქვა და წვერი მოუშვა. ერთ-ერთ ბრიტანულ ტელეშოუში ქალბატონმა გულწრფელად აღიარა, რომ გარეგნობის გამო, ყველაზე მეტად დედა აკრიტიკებს. სახიდან თმის მოსაშორებლად უამრავი ხერხი ვცადე და ვერც მედიკოსებმა შეძლეს დახმარება. რამდენიმე წლის წინ უმუშევარი დავრჩი და გადავწყვიტე, წვერის ზრდისთვის ხელი აღარ შემეშალა, — ამბობს ქალბატონი. ამ გადაწყვეტილების მიღება ადვილი არ ყოფილა, რადგან არ იცოდა, როგორ მიიღებდა საზოგადოება, მაგრამ ყველაფერმა პოზიტიურად ჩაიარა და წვერიანი ქალბატონი ახლა ცირკში მუშაობს.

რძის პროდუქტი ინტელექტს ზრდის

ამერიკელმა და ავსტრალიელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ რძის პროდუქტი ადამიანის ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას უწყობს ხელს. მათ მიერ ჩატარებული გამოკვლევა ამტკიცებს, რომ ვინც რეგულარულად მოიხმარს რძეს, იოგურტს, ყველს, მაღალი ინტელექტით გამოირჩევა. როგორც სპეციალისტები აცხადებენ, ექსპერიმენტისას ვერ დადგინდა, არის თუ არა კავშირი პროდუქტებში ცხიმის რაოდენობასა და ინტელექტის მაღალ დონეს შორის, თუმცა ადრე ჩატარებული კვლევები მოწმობს, რომ მოწიფულ ასაკში ადამიანები, რომელთა სისხლი სასარგებლო ცხიმების საკმაო რაოდენობას შეიცავდა, ნაკლებად არიან მიდრეკილნი კოგნიტური ფუნქციების აშლილობის განვითარებისკენ.

სუდოკუ

ადვილი

	8	7	3					
			2		7	5	3	
	3				4		6	
	7				2	4	9	
		4				7		
	1	9	4				2	
	2		1				7	
	6	3	7		9			
					3	9	5	

სტანდარტი

				7				6
		9		8	2			7
	6						3	2
	8			1	7	9		
		3				7		
		2	5	4			1	
7	2						6	
6			4	3		2		
5				2				

რთული

		2				8		
			2					4
6		4	1		7			
		5	7	1				9
	9	6		3		7	2	
2				4	9	5		
			5		8	6		7
7					1			
		8				9		

ექსპერტი

3	5						7	
6		4						
			6		8			
		8		7		3		2
4			3		5			7
2		3		9		6		
			2		4			
						7		5
	3						2	1



სახლოს ნიანგები იცავენ

როგორც წესი, სახლის დაცვას ძაღლებს ან სიგნალიზაციას ანდობენ, თუმცა ტაილანდის ქალაქ ფხიტსანკულოში მცხოვრები მამაკაცი ნატიპი სხვაგვარად ფიქრობს. ბოლო 15 წელია, მისი სახლის ეზოში ორი ნიანგი დასეირნობს და ისინი შესანიშნავი დარაჯები არიან. ზოგადად, ქალაქში ქურდობა ჩვეულებრივი მოვლენაა, ნატიპის სახლში კი დაუკითხავად, ვერც მტერი შედის და ვერც — მოყვარე, რადგან რეპტილიები საკმაოდ აგრესიულები არიან. მართალია, ზაფხულში საშინელი სიცხე აწუხებთ, მაგრამ პატრონი მათ ანებივრებს და საათში ერთხელ, ცივ წყალში აბანავებს. ნიანგები თხრილში ცხოვრობენ, ხოლო როცა ოჯახის წევრები იძინებენ, ისინი ჭიშკართან წვებიან და დაუპატიჟებელ სტუმრებს აფრთხობენ.

პორნოვარსკვლავი პოლიტიკაში ბრუნდება

უნგრული წარმოშობის ცნობილი იტალიელი პორნოვარსკვლავი ილონა სტალერი, რომელიც ჩიჩოლინას სახელითაა ცნობილი, პოლიტიკაში დაბრუნების სურვილს გამოთქვამს და რომის მუნიციპალურ არჩევნებში მონაწილეობს. იტალიური მედიის ცნობით, 62 წლის ჩიჩოლინას საკუთარი კანდიდატურის წარდგენა ლიბერალური პარტიიდან სურს და როგორც ამბობს, ამ პარტიის პოლიტიკას სრულად იზიარებს. მუნიციპალიტეტში არჩევის შემთხვევაში, ჩიჩოლინა ერთსქესიანთა ქორწინების, პროსტიტუციის, „მსუბუქი“ ნარკოტიკის ლეგალიზებასა და პატიმრების ღირსების დაცვას შეეცდება. აღსანიშნავია, რომ ქალბატონი სტალერი იტალიის პოლიტიკურ პროცესებში 1987 წელს ჩაება და რადიკალური პარტიის სიით, პარლამენტში მოხვდა კიდეც. 2002 წელს იგი ჩრდილოეთ იტალიაში, ქალაქ მონცას თვითმმართველობის არჩევნებშიც მონაწილეობდა, შემდეგ კი, მშობლიური უნგრეთის დეპუტატად იყრიდა კენჭს, მაგრამ ვერ გაიმარჯვა. ცოტა ხნის წინ, ჩიჩოლინამ „ოპტიმისტი-ფუტურისტების“ პარტიის შექმნის შესახებ განაცხადა და მილანის მერის არჩევნებშიც აპირებდა მონაწილეობას, მაგრამ მოგვიანებით, არჩევანი რომზე შეაჩერა.

ამერიკელებმა სიცილის ჩემპიონატი ჩაატარეს

ამერიკის შეერთებულ შტატებში სიცილის მოყვარულებს შორის პირველი ჩემპიონატი გაიმართა. ღონისძიება კალიფორნიის ქალაქ სან-დიეგოში ჩატარდა, რომელიც გამოყენებითი და თერაპიული სიცილის ასოციაციის ყოველწლიური კონფერენციის ნაწილს შეადგენდა. ჩემპიონატის ორგანიზატორი, კანადელი რეჟისორი ალბერტ ნერენბერგია, რომელიც სიცილის უნარით დიდი ხანია დაინტერესებულია და ამ თემაზე დოკუმენტური ფილმიც კი გადაიღო. ადრე ნერენბერგი მსგავს ტურნირს კანადასა და იაპონიაში მართავდა, სიცილის პირველი ამერიკული ჩემპიონატის მონაწილეების მიზანი იყო, მაყურებლებიც გაეცინებინათ და როგორც ორგანიზატორი აღნიშნავს, კონკურსი ცინიკურ-დეპრესიულ ადამიანებს არასოდეს მოუგიათ.

ძაღლის ფეკალიებს ინტერნეტზე ცვლიან

მექსიკა მსოფლიოში პირველი ქვეყანა გახდა, სადაც ცხოველების ფეკალიებში მათი მფლობელები უფასო ინტერნეტს მიიღებენ. ადგილობრივმა ინტერნეტ-პორტალმა Terra დედაქალაქის პარკებს საინტერესო ექსპერიმენტი შესთავაზა. ოთხფეხა მეგობრების მოყვარულებს, რომელთაც ცხოველები მოსასაქმებლად პარკებში დაჰყავთ, საშუალება ეძლევათ, ინტერნეტის უფასო წუთები მიიღონ, თუკი ცხოველების ფეკალიებს აიღებენ. სეანსის ხანგრძლივობა დამოკიდებული იქნება ექსკრემენტების წონაზე. ინიციატივას ადგილობრივი ხელისუფლება ჯერ კიდევ განიხილავს, თუმცა მისი რეალიზების შემთხვევაში, მექსიკა პირველი ქვეყანა იქნება, სადაც ცხოველების ფეკალიებით ინტერნეტში შესვლას დაუშვებენ.

სპეციალური რეპორტაჟი ტრაბზონიდან

თვალებდათხრილი ღვთისმშობელი, სახეწაშლილი წმინდანები, წარწერებით აჭრელებული ფრესკები, დამახინჯებული ჯვრები და ღოცვისთვის დაწესებული გადასახადი მართლმადიდებლურ ტაძრებში

ლევან ხვედელიძე, სპეციალურად „ვერსიისთვის“ ავსტრიიდან რეპორტაჟი გვ.9

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია,
დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.